ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: roland_jalagania@yahoo.com

№145 (204) 15-22 ნოემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

დიქტატურის “საყმაწვილო სენი” საქართველოში

უფრო მართებული იქნებოდა, ამ წერილისათვის დაგვერქმია **“საყმაწვილო სენი საქართველოს სომხურ მოსახლეობაში”**, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მართლაც სამარცხვინო **“დიქტატურის ხეს”** წყალს უხვად უსხამენ სწორედ მოსყიდული და არაკეთილსინდისიერი ქართველები, რითაც საკუთარი კეთილდღეობისათვის იბრძვიან და სრულიადაც არ აწუხებთ ის ამბავი, რომ მათი დამდუპველი პოლიტიკის გამო ქვეყანა სულს დაფავს და უკვე განადგურების პირსაა მისული.

ყველასაგან, საკუთარი ოჯახის წევრებისაგანაც კი მოძულებული (გაიხსენეთ ბიძინა ივანიშვილის მიერ ინტერვიუში ნათქვამი: **“სააკაშვილს ახლა საკუთარი დედაც კი არ მისცემს ხმასო”**) საქართველოს მთელი **“ნაციონალური”** მოძრაობა მხოლოდ იმაზე ფიქრში ათენ-ადამებს, რომ როგორ მოახერხონ არჩევნების მორიგი გაყალბება, რათა კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობით გავიდნენ პარლამენტში და **“ერთხმად”** მიიღონ ქვეყნის დამაქცევარი კანონები. არა და, მართლა დაიღუპებიან, თუ საკონსტიტუციო უმრავლესობით ვერ გავიდნენ, რადგან მთელი მათი სიბოროტე და უკანონობა გამოაშკარავდება, რისთვისაც ქართველი ხალხი ძალიან მკაცრად მოსთხოვს პასუხს.

დასაღუპად განწირული კაცი კი ყოველგვარ უმსგავსოებაზე წავა, რათა თავისი უბადრუკი ყოფა გაიხანგრძლივოს! ამიტომაც არიან საშიში მოსვენებადაკარგულები (სახე დიდი ხანია რაც დაკარგეს) ნაციონალები და მათი **“ნეტარღიმილიანი”** ბელადი სააკაშვილი, რადგან არა მხოლოდ პოლიტიკური აღსასრულის მოახლოებას გრძნობენ, რადგან იმდენი მკვლელობა, უკანონობა და უბედურებები აქვთ ჩადენილი საქართველოში, რომ მათ უსაფრთხოებაზე ვერავინ ვერ აიღებს ასპროცენტიან გარანტიას!

თავიდან უნდა ეფიქრათ ამაზე, ვიდრე განსაკუთრებული ცინიზმითა და თავხედობით შეუდგებოდნენ უდანაშაულო ადამიანთა დამცირება-გაუბედურებას.

რუსებს აქვთ ერთ-ერთი შესანიშნავი გამოთქმა: **“Дуракам закон не писан”,** რაც დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანს ჭკუა არ მოეკითხება, მაშინ მას ნურც კანონების მოთხოვნათა დაცვაზე აგებინებ პასუხსო.

– აბა, როგორ მოხდა, ასეთი კაცი რომ მოვიდა ხელისუფლებაშიო? – იკითხავს ობივატელი და მართალიც იქნება. მაგრამ ამ შეკითხვაზე პასუხი უკვე იმ ედუარდ შევარდნაძემ უნდა გაგვცეს, რომელმაც უამრავჯერ მოატყუა ქართველი ერი და ეს მოტყუებათა კასკადი დააბოლოვა იმით, რომ თავზე წამოგვასვა ავადმყოფური თავმოყვარეობის ძალაუფლებაზე მანიაკალურად შეყვარებული ადამიანები და დაახლოებით ასეთი რამ გვითხრა: **“მე თუ არ გინდივართ, ისე გაგიხდით საქმეს, რომ კვლავ მე შემომნატროდეთო”.** მონატრების რა გითხრათ, მაგრამ დღეს მთელი საქართველო მკვდარ-ცოცხალს რომ უტრიალებს შევარდაძეს, ამგვარი პოლიტიკური მანიპულაციისათვის, ესეც ფაქტია. ამიტომ, რამდენი ხნის მოსროლილიც არ უნდა იყოს იგი პოლიტიკურ სანაგვეზე, შევარდნაძეს მაინც მოუწევს ქართველი ერის ნინაშე პასუხის გება პოლიტიკური თაღლითობისათვის, იმიტომ, რომ ბუნებაში არავითარი **“ვარდების რევოლუცია”** არ მომხდარა და ამ მართლაც პოლიტიკურმა თაღლითმა ბინძური გარიგების ფასად მოიყვანა საქართველოს პრეზიდენტად სომეხი სააკაშვილი და ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო და ხალხი სომეხი რეაქციონერებისა და რევანშისტების სათარეშო პოლიგონად აქცია. ამის თქმის უფლებას მაძლევს თუნდა ის ფაქტი, რომ სააკაშვილი ახორციელებს სომეხთა მრავალსაუკუნოვან ოცნებას საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის თაობაზე, რათა აღმოსავლეთ საქართველო სომეხთა სამოქმედო არეალად იქცეს, რაც ასევე ეჭვის ქვეშ აყენებს აჭარის მთავალსაც, რომელიც უკვე სომხებითაა გადავსებული.

ჩვენ კი, ქართველები, იმდენად ბრიყვულად შევეცქერით ყოველივე ამას, რომ აშკარად გამოთაყვანებული და ავადმყოფი საზოგადოების შთაბეჭდილებას ვტოვებთ.

სხვა რა შეიძლება უწოდო იმ ერს, რომელიც 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მიერ ომის პროვოკაციულად გაჩაღებას და საქართველოს ძირძველი ტერიტორიების იურიდიულად დაკარგვას **“დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად”** შეაფასებს და სააკაშვილის მიერ გამართულ ჩარფუზანაში ჩაებმევა!

განა ასეთ საქართველოს არ მიახალა მწერალმა დაურიდებლად: **“ფურთხის ღირსი ხარო”**?

მავანთაგან ხშირად მესმის: სააკაშვილი სომეხი არ არის, მაგრამ იმდენი ვუძახეთ, სომეხი ხარო, რომ შეგვიძულა და ამიტომაც აკეთებს სომხურ საქმესო. არა მგონია ეს სიმართლე იყოს. ჩვენ ჯერ კიდევ 2000 წელს გავაფრთხილეთ საზოგადოება იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი სომეხი იყო, მაგრამ მაშინ ყური არავინ გვათხოვა, ვიდრე რობერტ სტურუამ არ თქვა: **“სომეხია და რა ვქნათ”**-ო.

განა შეიძლება გამარჯვებულად და წარმატებულად ჩაითვალოს (თუნდაც სომეხი ეროვნების) პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც რვა წლის განმავლობაში მოახერხა მხოლოდ ის, რომ უკიდურეს გაჭირვებამდე დაიყვანა ქართველი ერი, დაცალა საქართველო ქართველებისაგან, ყველა სტრატეგიული ობიექტი მიჰყიდა **“მტრად”** აღიარებულ რუსებს, საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა იმ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში ქველმოქმედების სახით საქართველოს ერთი მილიარდ ორასი მილიონი დოლარი დაახარჯა (რამაც საშუალება მისცა სააკაშვილის გარემოცვას, მეთვისებინა საბიუჯეტო სახსრები), უსაშველოდ გაზარდა ქვეყნის საგარეო ვალი, საკუთარი ოჯახის წევრებს ჩაუგდო ხელში ენერგომატარებლებით ვაჭრობაზე მონოპოლია და მონოპოლიური სისტემების შექმნით ქვეყანა არნახული კორუფციის ქსელში გახვია?..

ითმენთ ყოველივე ამას? მოითმინეთ, და უკარით ტაში სააკაშვილს, ვიდრე სული არ გაგძვრებათ!

სული კი მალე გაგძვრებათ, თუ **“ნაციონალები”** კვლავ შეინარჩუნებენ ძალაუფლებას!

განა ამისათვის არ მოირგეს ჩოხასავით ქვეყნის კონსტიტუცია?

მაგრამ, უკვე გრძნობენ, რომ კოვზი ნაცარში უვარდება, რადგან ქვეყნის პოლიტიკურ ცისკიდურზე ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდა. მალე, ქართულ პოლიტიკაში საქართველოზე უზომოდ შევარდნილი კიდევ ერთი ავტორიტეტული პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია გამოჩნდება, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს **“ნაციონალებისა”** და მათი ბელადის პოლიტიკურ ფინალის მოახლოებას.

ჯერჯერობით კი არ იმჩნევს **“ნეტარი”** სააკაშვილი მის თავზე მოქუფრულ პოლიტიკურ ღრუბლებს, თუმცა, დიდი სტრესის შემდეგ, საკმაოდ შეერია ჭაღარა. არ იმჩნევს, და კვლავაც აგრძელებს სახელისუფლებო შოუებს, დაწყებული, ხალხის წინაშე **“ტრუსიკ-მაიკით”** ტანტალით და სამთავრობო სხდომების ბაღ-ვენახებში გამართვით. ამას წინათ კი, ყვარელის სკოლაში მისული, ერთ-ერთ მოსწავლეს შეპირდა, რომ მთავრობის მომავალ სხდომას შენს კლასში გავმართავო!

ბავშვებს რას ერჩის ეს დალოცვილი, მათ ხომ თავიანთი საქმე აქვთ და სრულებითაც არ ეპიტნავებათ უაზრო და უშედეგო მთავრობის სხდომაზე დასწრება?

ნეტავი თავად თუ ხვდება მაინც, რომ ამგვარი სეირის მოწყობა ღრმად მარხავს მიწაში მის ისედაც ლამის არარსებულ პოლიტიკურ რეიტინგს?

ვის აწონებს თავს ამგვარი **“ტინგიცობით”**?

ალბათ შიმშილისაგან ჯანგაცლილ ქართველობას.

განა მართლა მისაფურთხებელი არ არის ის ქვეყანა, სადაც უმაღლესი ხელისუფალი დაუწესებს ძალოვანებს, რომ ბიუჯეტში ჯარიმებითა და საპროცესო გარიგებებით ერთი მილიარდი ლარი უნდა შემოიტანოთო?

რომელ კანონზე და ობიექტურ სასამართლო სისტემაზე შეიძლება საუბარი ასეთ ქვეყანაში?

დავიჯერო, მართლა ისე დაძაბუნდა ჩემი ერი, რომ ამ უმსგავსოებას ტაშის კვრითა და **“მიშა, მიშა”**-ს ძახილით ეგებება? ვიცი, რომ დაქირავებულია ეს **“აღტაცების გამომხატველი”** პუბლიკა, რომელთაც ავტობუსებით დაატარებენ მიშას კვალდაკვალ, მაგრამ ნუთუ მათ არა ჰყავთ ოჯახის წევრები, რომლებიც განუმარტავდნენ, რომ ამგვარი ქმედება, თუნდაც გარკვეული საზღაურის საფასურად, სამარცხვინო და საძრახისი საქციელია?

ნუთუ ოჯახი არა აქვს იმ მეგრელ ქალბატონს, ანაკლიაში ზღვიდან ამოსული მიხეილ სააკაშვილის დანახვაზე მისკენ აღტაცებული რომ გაიქცა, ფეხი დაუცდა და წელს ქვემოთ ჩამოეპროწიალა **“ტრუსიკ-მაიკიან”** პრეზიდენტს?

ნუთუ არ იცით, რა არის სირცხვილი ოდითგან კდემამოსილი ქართველი ქალისათვის?

როგორ გგონიათ, არ იმსახურებს ფურთხს ამგვარი საქართველო?

ქვეყანაში შექმნილი განუკითხაობის გამო საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესმა შემდეგი შინაარსის წერილით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს:

„ბატონო პრეზიდენტო!

უკანასკნელ წლებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად, მილიონობით ჩვენი თანამემამულე აღმოჩნდა თავისი ისტორიული სამშობლოს – საქართველოს – ფარგლებს გარეთ. მათი უმრავლესობა პატიოსანი და წესიერი ადამიანია, რომლებიც საზღვარგარეთ მძიმე შრომის ფასად ცდილობენ, იშოვონ საარსებო წყარო და გადაარჩინონ ოჯახები შიმშილისა და სიღატაკისაგან.

ეს ხალხი ყოველდღიურად გზავნის საქართველოში მილიონობით დოლარს, რაც ავსებს ეროვნულ ბიუჯეტს და ამცირებს სოციალური დაძაბულობის სიმწვავეს ქვეყანაში.

ეს ადამიანები, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას დიდება და მსოფლიოში აღიარება მოუტანეს, საქართველოს მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის „ოქროს ფონდს“ წარმოადგენენ.

ესენი არიან მსხვილი ბიზნესმენები და მეცენატები, ასევე, მთელი რიგი საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებო პროგრამების სპონსორები.

დაბოლოს, ეს ადამიანები, მიუხედავად მათი ამჟამინდელი მოქალაქეობისა, პოლიტიკური შეხედულებებისა და სიმპათიებისა, ქვეყნის პატრიოტები არიან და მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყნის ძლიერ, ერთიან, დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნას, რომელიც უზრუნველყოფდა მისი ყველა მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

განა თქვენ არ იზიარებთ ამ ფასეულობებს?

დღეს ქვების შეგროვების დრო დადგა, რათა გაერთიანდეს ჩვენი დატანჯული და მრავალ უბედურებაგამოვლილი ერი, რომელიც ბედის უკუღმართობის გამო სხვადასხვა ქვეყანასა და კონტინენტზეა მიმოფანტული.

სამშობლოში დაბრუნების და მოქალაქეობის უფლებები საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს წარმოადგენენ და ისინი ასახულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-13 და მე-15 მუხლებსა და „საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომელთა ტექსტიც გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზეა მიღებული და უფლებების მთავარ გლობალურ განსაზღვრებას წარმოადგენს, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს გააჩნია.

ადამიანის მოქალაქეობის უფლება და მისი აღდგენა, ასევე, ასახულია „მოქალაქეობის შესახებ ევროპის კონვენციის“ მე-4 და მე-9 მუხლებში, რომლებიც ავალდებულებს წევრ-ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოსაც), „ხელი შეუწყოს ყოფილ მოქალაქეებს მოქალაქეობის აღდგენაში...“

ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის სახელით, რომელიც აერთიანებს საზღვარგარეთ არსებული ქართული დიასპორების 450 ათასზე მეტ წარმომადგენელს, მოგიწოდებთ, შეასრულოთ თქვენი კონსტიტუციური ვალი და საერთაშორისო ვალდებულებები და უმოკლეს ვადებში მისცეთ საქართველოს მოქალაქეობა ყველა თანამემამულეს, რომლებსაც სურთ სამშობლოში დაბრუნება და ჩვენი სამშობლოს განვითარებასა და აყვავებაში თავისი წვლილის შეტანა!..“.

მაგრამ, როგორც საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესმა, ასევე ყველა ქართველმა და არაქართველმა ძალიან კარგად იცის, რომ **“Дуракам закон не писан”,** და ამგვარ მოთხოვნებზე სააკაშვილს არავითარი რეაგირება არ ექნება, რადგან იგი მხოლოდ ჩაკეტილ პოლიტიკურ სივრცეში ახერხებს არსებობას და ამ პოლიტიკური სივრცის გახსნა მისი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის პოლიტიკური სიკვდილის წინაპირობა იქნება.

ძნელად წარმოადგენია, რომ ქართველი ერის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცეს სააკაშვილებს, ბოკერიებს, მინაშვილებს, წიკლაურებს, მოლაშხიებს და სხვა იმ მოძალადე პოლიტოსებს, რომლებიც მხოლოდ არჩევნების გაყალბებით ახერხებდნენ პოლიტიკურ ოლიმპზე ყოფნას!

არა და, უკვე იგრძნობა, რომ ქართველი ხალხი გამოდის ლეტარგიული ძილის მდგომარეობიდან და უღვივდება საკუთარი სამშობლოს დაბრუნების იმედი!

რადიშ თორდია – ოსტატის ვალიტრა

რადიშ თორდია თანამედროვე ქართულ მხატვრობაში 60-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. იმ პერიოდში, ხელოვნება, დღევანდელივით აღვირახსნილი არ გახლდათ, მაგრამ იდეოლოგიურ კრიტიკას, მხატვრის შემოქმედება, განსაკუთრებით რამდენიმე მისი ნახატი, მაინც ვერ გადაურჩა. თუმცა, როგორც თავად მხატვარი ბრძანებს, მას კომუნისტური რეჟიმის დროს დიდი წნეხი არ უგრძვნია – 60-იანი წლების შემდეგ საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ქმნიდნენ შედევრებს...



1936 წელს, აბაშასთან, სოფელ ნორიოში დაიბადა. ამ დროს, რეპრესიების გამო, ხალხს ყველაფრის დაუძლეველი შიში ჰქონდა და კარზე დაკაკუნებისას მხოლოდ დახვრეტასა და დაჭერაზე ფიქრობდა, ცოტა რომ წამოიზარდა, დიდი სამამულო ომიც დაიწყო...

ხატვამ ისეთ პატარა ასაკში გაიტაცა, რომ არც კი ახსოვს, როდის დაიწყო – ალბათ 4-5 წლის ასაკში. პირველი ნახატი – თამაში **"კლასობანა"**, რომელიც იმ დროს განსაკუთრებით გოგონებში იყო პოპულარული, საკუთარი სახლის კედელს მიახატა. ამაზე დედა გაუწყრა და მისი **"დებიუტის"** წაშლა დააპირა, მაგრამ მამამ არ დაანება და ის ნამუშევარი დიდხანს **"ამშვენებდა"** ფასადს. სახატავ მასალად ნახშირი და აგურის ნატეხები გამოიყენა და ამიტომ, მისი **"შემოქმედების"** დასაწყისში, ძირითადად, ეს ორი ფერი – შავი და აგურისფერი დომინირებდა.

შემდეგ იყო სკოლა, რომელივ მისი სახლიდან 4-5 კილომეტრში მდებარეობდა, ამიტომ ზამთარში სახლიდან პირველი ნათებისას გადიოდა. დაწყებითი განათლება კალმების, რვეულებისა და წიგნების გარეშე დაიწყო. საწერ საშუალებად, მელნის ნცვლად, ანწლს წურავდა და მის წვენს იყენებდა. რვეულებად კი – აბრეშუმის ჭიისათვის გასაფენ უხარისხო ფურცლებს. პირველი წიგნი, რომელიც საჩუქრად მიიღო, სსრკ ისტორიის სახელმძღვანელო იყო, ოცდაათიან წლებში გამოცემული. მასწავლებელმა მასში განთავსებულ **"ხალხის მტრის"** უამრავ ფოტოს ქაღალდი გადააკრა, არ დაგვიჭირონო... მეოთხე კლასში ხატვის, როგორც დისციპლინის, სწავლა დაიწყო. თუმცა, პედაგოგი, ხატვის ნაცვლად, ბავშვებს ხაზვას ასწავლიდა. ერთხელ ასანთის კოლოფის დახატვა მოინდომა და ისიც არ გამოუვიდა, რადიშს უხმო და დაახატინა. აბაშაში, მისი სახლის მიღმა, იპოდრომი იყო, რადიშიც მეტწილად იქ იყო. ალბათ ამიტომ, ძალიან უყვარდა ცხენების ხატვა, რაც დღემდე გამოჰყვა. მასთან ერთი ბავშვი სწავლობდა, რომელიც ცხენებს კარგად ხატავდა და რადიშიც ოცნებობდა, ოდესმე მასავით დაეხატა.

პირველად თბილისში რომ ჩამოიყვანეს, მეხუთე კლასში სწავლობდა. ზოოპარკში გაასეირნეს. პირველად იქ ნახა **"ცოცხალი"** მხატვარი. მოშორებით იჯდა, წინ **"ეტიუდნიკი"** ედგა და თეთრ ფარფლებიან ქუდში გამოწყობილ ქალს ზეთის საღებავებით ხატავდა. ეს გახლდათ მისი პირველი შეხვედრა პროფესიონალ ფერმწერთან. ზურგის მხრიდან ჩუმად მიუახლოვდა და უყურა, ეს ქალი როგორ დახატა. შემდეგ, როდესაც იგი რამეს ხატავდა, თავიდან იწყებდა და ბოლოში გადიოდა. იმ კაცმა კი ნახატი ბოლომდე შეასრულა და უცებ ფუნჯი გადაუსვა. ბავშვი გაოცებული დარჩა. ის კაცი დღესაც თვალნათლივ ახსოვს. მასთან შეხვედრა რადიშ თორდიასათვის ნამდვილი დღესასწაული იყო და ამის შემდეგ საბოლოოდ გადაწყვიტა მხატვარი გამხდარიყო.

როცა რვა კლასი დაამთავრა, გაზეთში წაიკითხა განცხადება, იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი მიღებას აცხადებდა. ოჯახს გამოუცხადა, რომ იქ სურდა სწავლის გაგრძელება. მაგრამ უფროსებმა დიდ ქალაქში მისი გაშვება არ ინდომეს. ახსოვს, მაშინ მამა იხმო და სერიოზულად ჰკითხა, მართლა სურდა თუ არა მხატვრობა, როცა მისგან მტკიცე პასუხი მიიღო, უთხრა – თბილისში წასასვლელად გამზადებულიყო. თუმცა, ვიდრე ქალაქში წამოვიდოდა, მანამდე ერთ აბაშელ ბიჭთან მივიდა. ის ნიკოლაძეში სწავლობდა და, როგორც უკვე გამოცდილს, მისი ნახატები უჩვენა. პირველად მასთან ნახა საღებავები. ამ ბიჭმა გაუკეთა **"ეტიუდნიკი"** და რამდენიმე საღებავიც აჩუქა. მანამდე რადიში მხოლოდ კომპოზიციებს ხატავდა, მან კი დოქი დაახატინა და უთხრა, რომ აქედან უნდა დაეწყო ხატვის სწავლა. ის ნახატი დღემდე ახსოვს.

მის ხსოვნაში თუ ვინმემ მყარად დაიმკვიდრა ადგილი, ეს ბაბუაა. დედამისის მამის ძმა იყო. დედა ადრე დაობლდა, ბაბუამ გაზარდა და მამობა გაუწია. უკეთილშობილესი, სევდიანი, იშვიათად მომღიმარი ადამიანი იყო. რადიშს ძალიან უყვარდა არდადეგებზე სოფელში მასთან ჩასვლა. ერთხელ, ახსოვს, ნაშუადღევს მინდორში, პატარა მომცრო ბორცვზე იჯდა. ხარები საბალახოდ ჰყავდა გაშვებული და ისვენებდა. დოქი მისცა და წყლის მოსატანად გააგზავნა. უკან მობრუნებულმა ასეთი რამ იხილა – ბაბუას პაწაწინა ლურჯი ყვავილი ეჭირა ხელში, სითბოთი სავსე თვალებით შესცქეროდა, ნაზად ეფერებოდა და თითქოს რაღაცაზე ესაუბრებოდა. ზურგით იჯდა. როცა მისი მისვლა შენიშნა, ყვავილი სასწრაფოდ დადო და ჩვეული მკაცრი, მამაკაცური სახე მიიღო. ეს სურათი სამუდამოდ აღებეჭდა მეხსიერებაში. მისი ნამუშევარში – **"ბაბუაწვერა"** სწორედ ეს ეპიზოდი გადმოსცა. მის შექმნას რამდენიმე წელი ცდილობდა, უნდოდა მისეული ხსოვნა და განცდა დეტალურად გადაეტანა ტილოზე, თუმცა, ვერ ახერხებდა. საბოლოოდ ნახატი შეიქმნა, მაგრამ ბაბუას, ლურჯი ყვავილის ნაცვლად ბაბუაწვერა ეჭირა ხელში...

სამხატვრო აკადემიის პირველ კურსზე სწავლობდა, როცა პრაქტიკებზე მოსკოვში წაიყვანეს. იქ ნახა პირველად ევროპული კულტურის შედევრები. ამ საოცარი ხელოვნებისა და საუცხოო მხატვრული ტილოების ხილვამ მის შემოქმედებაში დაბნეულობა გამოიწვია და მის ნამუშევრებს რამდენიმე მხატვრის გავლენაც დაეტყო. მეორე წელს, ასევე პრაქტიკებზე, მოსკოვში, მამამ კოსტუმის საყიდლად ოცდახუთი მანეთი გაატანა, მან კი ბუკინისტებში გოგენის რეპროდუქციების ალბომი იყიდა. აკადემიაში ბოლო სადიპლომოც გოგენის გავლენით გააკეთა. მოგვიანებით, ამას თავისთავად გაერიდა. პროფესიონალ მხატვრად ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებულ გავლენას ხელოვნების ნიმუშები და პიროვნებები ახდენენ. მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ტასილიის ფრესკების რეპროდუქციების ხილვამ. ეს პირველყოფილი ადამიანის მიერ დახატული ნამუშევრებია, რომელზეც იმდროინდელი ყოფის სცენებია გამოსახული. დღესაც გასაოცარი და ამოუცნობი ფენომენია, გამოქვაბულში მცხოვრებმა ადამიანმა ფიგურების ასეთ გასაოცარ პლასტიკას როგორ მიაღწია. მაგრამ, განსაკუთრებული და მიუწვდომელი მხატვარ რადიშ თორდიასათვის – ლეონარდო და ვინჩი და ფიროსმანია. ისინი თითქოს არაამქვეყნიური ადამიანები იყვნენ, დედამიწაზე ჩამოვიდნენ, შედევრები შექმნეს და გაუჩინარდნენ... წარმოუდგენელია მათი ნიჭისა და შემოქმედების ახსნა. პირველად **"საიდუმლო სერობა"** რომ ნახა, გაოცდა. დაუჯერებელია, რომ ის მოკვდავი ადამიანის მიერ იყოს შექმნილი, ამიტომ ლეონარდო, მიქელანჯელოსა და რაფაელთან ერთად, ღვთიურ მხატვრებად არიან შერაცხული და **"მოკვდავ ღმერთებს"** უწოდებენ იტალიაში. ლეონარდოს მეორე შედევრი **"ქალი ყარყუმით"**, რომელიც კრაკოვის მუზეუმშია დაცული, მხატვრობის, ფერწერის ყველა კანონის დარღვევითაა დახატული, მაგრამ გენიალურია. ლეონარდოს შემოქმედებას განსაკუთრებული ძალა და ენერგია აქვს. რადიშ თორდიას უამრავ მხატვარზე შეუძლია ილაპარაკოს, ახსნას, თუ რატომ მოსწონს და რატომ არის კარგი, მაგრამ ამ გენიოზზე ვერაფერს ამბობს. იგი მისთვის შემოქმედების ღმერთია... ამის თქმა შეუძლია ფიროსმანზეც. მის ძალასა და ენერგიას ყოველთვის გრძნობს. ათასი მხატვრის ნამუშევარში სწორედ ის იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, გიჭერს და გიზიდავს ანდამატივით...

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, საქართველოში ყველაზე ნაკლებად იგრძნობოდა იდეოლოგიური წნეხი. თუმცა, ამ **"წნეხშიც"** იყო რაღაც დადებითი – შემოქმედს უფრო მეტად განაწყობდა ბრძოლისათვის. 60-იან წლებში კი, კომუნისტებმა **"არტახები მოუშვეს"** და შემოქმედ ადამიანებსაც მეტი თავისუფლება მიეცათ.

1966 წელს მხატვართა კავშირის წევრად მიიღეს. ხუთ წელიწადში ერთხელ მხატ-

ვართა ყრილობა იმართებოდა. ყრილობის გახსნას წინ გამოფენა უძღოდა, რომლის შემდეგ საბჭოთა ცენზორები შემოქმედთა ბედს წყვეტდნენ. გამოფენაზე **"ბაბუაწვერა"** გაიტანა და... ნამუშევარმა საშინელი კრიტიკა დაიმსახურა. ეგონა, დაჭერას ან მხატვართა კავშირიდან გარიცხვას ნაღდად ვერ გადაურჩებოდა. **"კრიტიკოსების"** გამოტანილი განაჩენისაგან კონსტანტინე გამსახურდიას შეფასებამ იხსნა. თუმცა, მერე **"ბაბუაწვერა"** გერმანიაშიც გააგზავნეს და საბჭოთა ენციკლოპედიაშიც დაბეჭდეს.

მოგვიანებით, მხატვართა კავშირის მდივნის სავარძელში აღმოჩნდა. ეს გადაწყვეტილება მხატვართა ყრილობაზე მიიღეს. ხუთი წლით მხატვართა კავშირის მდივნობა **"მიესაჯა"**. ნანატრი სახელოსნო, რომლის გასაღებიც ცოტა ხნით ადრე მისცეს, ფაქტობრივად **"ჩამოართვეს"**, რადგან აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ვეღარ ახერხებდა. **"თავისუფლება"** ხუთი წლის შემდეგაც ვერ მოიპოვა. მხატვრებმა და მხატვართა კავშირმა კარგად მუშაობისა და პროგრესულობისათვის **"სასჯელი"** იმავე დროით გაუხანგრძლივა...

მისი საყვარელი ფერი ნარინჯისფერია. აკადემიაში სწავლისას ყველა ნამუშევარს ამ ფერში ასრულებდა. ამიტომ ზედმეტსახელად **"ორანჟი"** შეარქვეს. ფერები ორი ჯგუფისაა: ცივი და თბილი. ცივი ფერები ლურჯისკენ იხრება, თბილი კი – ნარინჯისფერისკენ. ლურჯისკენ მიდრეკილი ფერები ენერგიას იღებენ და შთანთქავენ, ნარინჯისფერისკენ მიდრეკილნი კი გასცემენ. რადიშის ნამუშევრები თბილი ფერებისკენ იხრება და დომინანტიც ნარინჯისფერია. გერმანიის ქალაქ კიოლნში მქონდა გამოფენა. მისი შემოქმედების თაყვანისმცემელმა და გამოფენის ორგანიზატორმა, გახსნაზე, ასეთი სიტყვა ბრძანა: **"ამ ავტორის ნამუშევარი შევიძინე. ყოველ დილით, სამსახურში წასვლამდე, ნახატის წინ ხუთი წუთით ვჩერდები და ვუყურებ. ამით იმდენ ენერგიას ვიღებ, რომ მერე მთელი დღე მყოფნის".**

თვლის, რომ საქართველოში თავისუფლება საკმაოდ ადრე მოვიდა. ძველმა თაობამ მისი ფასი კარგად იცოდა და ამიტომ, განსაკუთრებით განიცდიდა მის დაკარგვას, მოპოვებულს კი საგულდაგულოდ უფრთხილდებოდა. რადიშის აზრით კი, ჩვენს ეპოქაში, ამ სიტყვის მნიშვნელობა სხვაგვარად გაიგეს. ახლანდელი თაობის ზოგიერთ ახალგაზრდას ხატვა, ტილოსა და ფერის გარეშე – ინსტალაციებით სურს ისწავლოს. თავისუფლების ამგვარი გაგება ქვეყანას, ადამიანს სიკეთეს არ მოუტანს. რადიში სამხატვრო აკადემიაში სტუდენტებს ეუბნება, **"თავის უფალი"** როცა ხარ, ორჯერ მეტად უნდა იშრომო და ისწავლო, მაქსიმალურად ცდილობს მათში ინდივიდუალურობის გაღვიძებას...

დღეს რადიშ თორდიას პროფესია მხატვრობაა და ამას იგი მშობლებს უმადლის. მათ რომ სასწავლებლად არ გაეშვათ, ახლა სად და როგორ იქნებოდა, კაცმა არ იცის. არც ოჯახის თანადგომის გარეშე შეიქმნებოდა მისი ფერწერა.

– დილით, როცა სახელოსნოში მიდიხარ, ერთ უსიამოვნო სიტყვას შეუძლია მთელი ღამის ჩანაფიქრი დაგინგრიოს, – ამბობს ხელოვანი.

სრული ჭეშმარიტებაა – დადებითი მუხტი ოჯახიდან მოდის, რაც მოგვიანებით ნახატებში აისახება. რადიშ თორდიას, ამ მხრივაც, ძალიან გაუმართლა.

P.S. ცოტა ხნის წინ, კომპანია "მაგთის" ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, რადიშ თორდიას ნამუშევრების ალბომი გამოიცა. როცა მხატვარი ასაკში შედის, მაშინ განსაკუთრებით სურს, რომ საკუთარი ნაშრომი, ნამოღვაწარი ერთად თავმოყრილი იხილოს, რადგან უამრავი ტილოა სხვადასხვა ადგილას გაფანტული. ალბომის გამოცემა შემოქმედის ოცნება იყო და კომპანია "მაგთიმ" ეს ოცნება რეალობად უქცია, თან ძალიან მარტივად. მხატვარი კიდევ ერთხელ უხდის დიდ მადლობას აღნიშნულ კომპანიას, თანადგომისა და კეთილი საქმისათვის.

სტატია შექმნილია
მარიკა ჩიტიშვილის
წერილის საფუძველზე



პრიორიტეტი ბევრნაირია, ქვეყანა — დიდი

22 წლის წინ ქართველი საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით ენგურზე მშენებარე ხუდონჰესის მშენებლობა შეწყდა. მაშინ საზოგადოება და სპეციალისტთა უმეტესობა თვლიდა, რომ ენგურზე საქართველოს მასშტაბით სიდიდით მეორე ჰესის აგება დამღუპველად იმოქმედებდა სვანეთის ბუნებრივ ინფრასტრუქტურაზე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. როგორც ჩანს, ომებმა და უკიდურესმა გაჭირვებამ მოსახლეობა უფრო პრაგმატული გახადა, ამიტომ 1999 წელს ხუდონჰესის თემის **„გაცოცხლებას“** საზოგადოებაში ვნებათაღელვა აღარ გამოუწვევია. მაშინ ედუარდ შევარდნაძეს ეახლნენ ფინანსური კორპორაცია **„ფის-ჯგუფის“** წარმომადგენლები, რომლებიც ერთ-ერთმა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **„გამოჩხრიკა“** საიდანღაც. კორპორაციის წარმომადგენლები სამშენებლო სამუშაოებში 500 მილიონი დოლარის ჩადებას ვარაუდობდნენ. როგორც ცნობილია, პროექტი ჩაშალა და 2005 წლამდე აღარავის უხსენებია. 6 წლის წინ კი უკვე რევოლუციურმა ხელისუფლებამ კვლავ წამოწია თემა და ახალგაზრდული ენერგიითა და ჩვეული მასშტაბურობით შეუდგა მის განხორციელებას. გამოცხადდა, რომ დაგეგმილია ჰესის მშენებლობის განახლება და სამუშაოებს ინდური კომპანია **„კონტინენტალ ენერჯი“** დააფინანსებს, რომელიც პროექტში მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციას ჩადებს. ხელშეკრულება კი მის შვილობილ ქართულ-ინდურ კომპანია **„ტრანს-ელექტრიკთან“** გაფორმდა (ამ ორ კომპანიას შორის როგორც **„სისხლისმიერი“**, ისე სხვა ნებისმიერი კავშირების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ძალზე რთული გამოდგა).

მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და მომავალი წლისთვის მშენებლობაც დაიწყება. მიმდინარე წლის აპრილში მშენებლობის განახლებაზე განცხადება მთავრობის სხდომაზე გაკეთდა, რამდენიმე კვირის წინ კი ჩვენი სამთავრობო დელეგაცია ინდოეთშიც იმყოფებოდა დეტალების დასაზუსტებლად. მაგრამ საზოგადოებაში და, განსაკუთრებით – სპეციალისტთა წრეებში, კვლავ გაისმა პროტესტის ხმა ხუდონჰესის მშენებლობის გამო:

„ვაპირებთ მესტიაში კურორტულ-სარეკრიაციო ზონის განვითარებას? თუ ვაპირებთ, წყლის სარკის გაფართოებისას მომატებული ტენიანობის შედეგად მესტიაში გვექნება სველი თოვლი, რომელზეც სრიალი არათუ რეკომენდებული, არამედ აკრძალულია. ამის კარგი მაგალითია შაორი, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა ტენიანობა რაჭაში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს სასაზღვრო ზონაა და ქვეყნის ერთ-ერთი კარიბჭე. ასევე ახლოა კონფლიქტურ ზონებთან“, – აცხადებს **„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები“** საქართველოს თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელს მანანა ქოჩლაძეს კი მიაჩნია, რომ ხუდონჰესის მშენებლობის განახლებით გიგანტომანიის საბჭოურ ინერციასთან გვაქვს საქმე: **„1989 წელს ხუდონჰესის მშენებლობა შეწყდა. ამის მიზეზი ქართველი საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გარდა, ისიც იყო, რომ საბჭოთა კავშირი იშლებოდა და ჰესის მშენებლობის დაფინანსებაც შეწყდა. მით უმეტეს, ხუდონჰესი არ ყოფილა იმაზე გათვლილი, რომ საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას მომსახურებოდა. მას რუსეთში პიკური დატვირთვები უნდა შეემცირებინა. ყველაზე მნიშვნელოვანი და მძიმე არის ის, რომ ვერ გამოვსულვართ საბჭოთა მენტალობიდან და ამ გიგანტომანიიდან, რომლითაც საბჭოთა კავშირი იყო დაკავებული. ხუდონი იყო საბჭოთა პროექტი და 21-ე საუკუნეში ვიყენებთ იმავე პროექტს, მაშინ, როდესაც მიზანშეწონილია უფრო ეფექტური და ეკოლოგიურად შედარებით უსაფრთხო მცირე ჰესების აშენება, რისი საშუალებაც საქართველოში მდინარეთა რაოდენობის გათვალისწინებით ნამდვილად გვაქვს. ამასთან, მსოფლიოში დიდ ჰესებს უკვე აღარავინ აშენებს.“**

ესენი არასამთავრობოები არიან და იქნებ აჭარბებენ. მაგრამ ასევე არსებობს ენერგეტიკის სამინისტროსა და შვეიცარიული კომპანია **„blr**-ის“ მიერ 2008 წელს ერთობლივად გაკეთებული ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოკლე ანგარიში, სადაც ვკითხულობთ: **„პროექტის განხორციელება, სავარაუდოდ, ზეგავლენას იქონიებს ადგილობრივ კლიმატზე. დაიწყება წყალსაცავის თავზე ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება. კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყეების გაჩეხა დიდი წვიმების შემთხვევაში გაზრდის მეწყრიანობის რისკს, ხოლო ზამთრობით – ზვავსაშიშროებას. მშენებლობის ადგილებსა და მიმდებარე მიდამოებში არსებული მცენარეული საფარი განადგურდება. ამას თან მოჰყვება ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი საცხოვრებელი გარემოსა და ბიომრავალფეროვნების მოშლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაცული მცენარეული სახეობებისა და ველური ბუნების განადგურება. ხაიშისა და სხვა სოფლებისა და დასახლებების მოსახლეობის ნაწილი (პირდაპირი ზემოქმედება ვრცელდება 450-მდე კომლზე) მთლიანად დაკარგავს მიწას და უძრავ ქონებას. კულტურულად მნიშვნელოვანი ადგილების მოშლა უარყოფითად იმოქმედებს მოსახლეობის ადგილ-მამულის, ისტორიის, კულტურის, მოგონებების აღქმაზე, თვითმყოფადობაზე. რეგიონში რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლია. ხალხისთვის ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ადგილები, როგორებიცაა ეკლესიები და სასაფლაოები“.**

გარდა ამისა, არსებული კანონმდებლობით ინვესტორმა გარემოზე ზემოქმედება უნდა შეისწავლოს და წარმოადგინოს დასკვნა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი მშენებლობის შედეგად გარემოზე ზემოქმედების მასშტაბები. დღემდე ინვესტორს მსგავსი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. მხოლოდ ენერგეტიკის მინისტრის განცხადება მოვისმინეთ, რომ აშენდება სადგური, რომელიც 650 მეგავატ ენერგიას გამოიმუშავებს. ეს არის 20% იმ ენერგიისა, რომელსაც საქართველო დღეს მოიხმარს. საერთოდ კი ქვეყნის მასშტაბით ამჟამად ენერგორესურსების მხოლოდ 18%-ს ვიყენებთ. ასეთი დაბალი მაჩვენებელი არც ერთ განვითარებულ ქვეყანას არა აქვს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი კი აცხადებს: **„ხუდონჰესის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურმა შესწავლამ დაადასტურა, რომ ხუდონჰესის მშენებლობა არის მომგებიანი. საკმაოდ რთული იქნება მისი განხორციელება, მიუხედავად ამისა, მისი აშენება ტექნიკურად შესაძლებელია და ეკონომიკურადაც მისაღები“.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი გადაწყვეტილია. ეს მაშინ, როდესაც ინვესტორს ნებართვისათვის საჭირო გარემოზე ზემოქმედების დასკვნა არ წარმოუდგენია. თუმცა, გინდ წარმოადგინე, გინდ – არა. გადაწყვეტილებას მაინც ის იღებს, ვისთვისაც ამ პროექტში მხოლოდ ორი პრიორიტეტი არსებობს,– ტექნიკურად შესაძლებელი, ეკონომიკურად მომგებიანი. სხვათა შორის, ჯერ არც ის უთქვამს არავის, მშენებლობის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე მხოლოდ რამდენიმე ათეული **„ლაფათკიანი“** ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება თუ ქართველი სპეციალისტებიც იმუშავებენ, არც ის – ფინანსურად ვისთვის იქნება მომგებიანი (ამბობენ, ქვეყნისთვისო, მაგრამ **„ქვეყანა დიდია“**).

დავით შალიკაშვილი

ზუგდიდელ გარემოვაჭრეებზე ზეწოლა გრძელდება

ქალაქ ზუგდიდის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა ადგილობრივ გარემოვაჭრეებს საქმიანობის შეწყვეტა კატეგორიულად მოსთხოვა. როგორც გარემოვაჭრეები აცხადებენ, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლევან მესხია მათ სავაჭრო საქონლის მდინარეში გადაყრით დაემუქრა, იმ შემთხვევაში, თუ საქონელს არ აიღებდნენ და ამ **„აკრძალულ“** საქმიანობას არ შეწყვეტდნენ.

მათი განცხადების შესაბამისად, გარემოვაჭრეები ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას მხოლოდ ალტერნატიული სავაჭრო ფართის გამოყოფის ან მათი დასაქმების შემთხვევაში დატოვებენ. **„ჩვენი შემოსავლის ერთადერთი წყარო ეს არის და თუ აქედან აგვყარეს, რა ვქნათ, რით ვიშოვოთ ლუკმაპური, თორემ არცერთ ჩვენგანს აქ ჯდომა არ უხარია“,** – აცხადებენ გარემოვაჭრეები.

ზუგდიდის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ლევან მესხიას თქმით კი, მათი ქმედება სრულიად კანონიერია, რადგან მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გარევაჭრობა, ქვეყნის კანონმდებლობით, კატეგორიულად იკრძალება.

საქინფორმი

ლადო პაპავა: „ხელისუფლება ამ გზით ლადო გურგენიძის ბიზნესს აძლიერებს“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები ამიერიდან ხელფასს **„ქართუ ბანკის“** ნაცვლად, **„ლიბერთი ბანკის“** ბარათებით მიიღებენ. 28 ოქტომბერს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები **„ლიბერთი ბანკის“** ბარათების ასაღებად აკადემიაში დაიბარეს.

„ქართუ ბანკიდან“ სახელფასო ანგარიშის **„ლიბერთი ბანკში“** გადატანა ამ დღეებში განხორციელდა. მეცნიერებათა აკადემიაში არ აკონკრეტებენ, თუ რა გახდა ბანკის შეცვლის მიზეზი და, ასევე, არ ასახელებენ ზუსტ დროს, თუ როდის გადაწყდა სახელფასო ანგარიშის ერთი ბანკიდან მეორეში გადატანა.

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები დღემდე **„ქართუ ბანკის“** ბარათით ორი ტიპის შემოსავალს იღებდნენ – სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ხელფასსა და ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდის მიერ დაწესებულ გრანტს.

როგორც ცნობილი გახდა, საქველმოქმედო ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტი აკადემიკოსისათვის ყოველთვიურად 1000 ლარით არის განსაზღვრული, ხოლო წევრ-კორესპონდენტისთვის – 500 ლარით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლადო პაპავამ **tribuna.ge**-თან საუბარში აღნიშნა, რომ აკადემიაში **„ლიბერთი ბანკის“** ბარათის ასაღებად იყო დაბარებული. პაპავას განმარტებით, სახელფასო ანგარიშის **„ლიბერთი ბანკში“** გადატანის მიზეზი უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ **„ხელისუფლება ამ გზით ლადო გურგენიძის ბიზნესს აძლიერებს“.** ცნობისათვის, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე **„ლიბერთი ბანკის“** პრეზიდენტია. როგორც **tribuna.ge**-ს სანდო წყარომ განუცხადა, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები **„ლიბერთი ბანკის“** სახელფასო ბარათების დარიგების შემდეგ ველარ აიღებენ **„ქართუს“** სოციალურ დახმარებას.

ცვლილებები სპეციალურ და საგანგებო სატელეფონო ნომრებში

საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებში ნუმერაციის ერთიანი სისტემის ახალი დებულების შესაბამისად, 2011წლის 15 ნოემბრიდან იწყება ქვეყნის ფიქსირებული ადგილობრივ და მობილურ სატელეფონო ქსელებში **1xx(xxx)** ფორმატის სპეციალური და საგანგებო მოკლე ნომრების (კოდების) დანერგვის სამუშაოები.

ცვლილების პირველ ეტაპზე ექსტრემალური (საგანგებო) სამსახურების **0x(x)** ფორმატის მოკლე სპეციალური ნომრები შეიცვლება **1xx** ფორმატის მოკლე სპეციალური ნომრებით:

სახანძრო-სამაშველო სამსახურის ნომრები - 111;

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნომრები - 113;

გაზის საავარიო სამსახურის ნომერი - 114;

საპატრულო პოლიციის ნომერი - 122;

დაცვის პოლიციის ნომერი - 125.

გარდამავალ ეტაპზე, 2011 წლის 15 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე, ძველი **0x(x)** ფორმატის და ახალი **1xx** ფორმატის მოკლე ნომრების ერთდროული მოქმედება უზრუნველყოფილი იქნება, დეკემბრიდან კი ექსტრემალური (საგანგებო) სამსახურების მხოლოდ ახალი **1xx** ფორმატის მოკლე ნომრები იმუშავებს.

ასევე, 2011 წლის 10 დეკემბრიდან 15 დეკემბრის პერიოდში განხორციელდება ეროვნული პრეფიქსის („8“) შეცვლა პრეფიქსებით „0“ (ქვეყნის შიდა ზარებზე) და „00“ (საერთაშორისო ზარებზე).

გარდა ამისა, შეიცვლება ოპერატორების არჩევის **8xx** (მაგალითად: 8-07, 8-16, 8-10 და ასე შემდეგ, საერთაშორის ოპერატორების კოდები) **10xx** ფორმატის პრეფიქსული კოდებით. საერთაშორისო ოპერატორი 8-07 გახდება 10-07; საერთაშორისო ოპერატორი 8-16 გახდება 10-16; საერთაშორისო ოპერატორი 8-10 გახდება 10-10 და ასე შემდეგ.

დამატებითი ინფორმაციისთვის აბონენტს შეუძლია მიმართოს ელექტრონული კომუნიკაციების საოპერატორო კომპანიების საცნობარო სამსახურებს. ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

იერი
ეროვნული ბიბლიოთეკა



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

სკკპ ცეკას პარტიული კონტროლის კომიტეტმა გამოსცა შემდეგი რეკომენდაცია:

"1. საიდუმლო დოკუმენტების საერთაშორისო ურთიერთობათა კანონის დარღვევებისათვის და სსრკ საგეგმო კომიტეტის აპარატში გამხრწნელი გარემოს შექმნის გამო, რამაც გამოიწვია საიდუმლო დოკუმენტების დაკარგვა, ა.ნ. ვოზნესენსკი გაირიცხოს სკკპ ცეკას წევრობიდან.

2. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 9 აპრილის ბრძანებულების თანახმად, სსრკ საგეგმო კომიტეტში გამოვლენილი სერიოზული დარღვევების გამო, ვოზნესენსკის, როგორც მთავარი დამნაშავის საქმე გადაეცეს სასამართლოს, ასევე..." – და შემდეგ ჩამოთვლილი იყო საგეგმო კომიტეტის სხვა მაღალჩინოსანთა გვარები: პანოვი, კუპცოვი, ორეშკინი, ბელოუსი...

აი, რისთვის დააპატიმრეს 1949 წლის ოქტომბერში ვოზნესენსკი და მისი ყოფილი თანამშრომლები, მაგრამ 1950 წელს, როგორც მე მესმის, იგი დახვრეტილი იქნა არა მხოლოდ ამ დანაშაულებისათვის. გამოძიების პერიოდში ალბათ სხვა მრავალი ფაქტიც გამოვლინდა...

მათ, ვისაც ჩემს ამ ბოლო წინადადებაში ეჭვი შეეპარებათ, შეუძლიათ წაიკითხონ დოკუმენტების კრებულში: **"სსრკ პოლიტბიურო და მინისტრთა საბჭო. 1945-1953 წლები"** გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულის კადრების ხაზით, სსრკ საგეგმო კომისიაში, ე.ე. ანდრეევის წერილი, სსრკ საგეგმო კომისიაში ჩატარებული შემოწმებისა და კადრების შეცვლის თაობაზე (გვ. 301-305). ეს გახლავთ არა მხოლოდ წესიერი, არამედ ჭკვიანური დოკუმენტიც, რომელიც უდავოდ კომპეტენტური ადამიანის მიერაა შექმნილი. მასში გადმოცემული სავალალო მდგომარეობა, რომელიც სუფევდა სსრკ საგეგმო კომიტეტში, არამც თუ სამწუხაროა, არამედ პოლიტიკურადაც ფრიად სავალალოა.

ახლა კი შევაჯამებ ზოგიერთ მოვლენებს და მოგაწვდით როგორც **"ინფორმაციას განსჯისათვის"**. საუბარია 1945-1950 წლების მოვლენათა ვერსიებზე, რომელთა კვლევას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

ალექსეი სერგეის ძე შჩერბაკოვი წმინდა წყლის რუსი ადამიანი იყო და, მიუხედავად **"აპარატული"** წარმოშობისა და აპარატში ხანგრძლივად მუშაობისა, მაინც არ გახლდათ აპარატის ჭია. მას შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა და, ამასთან, შეეძლო მოვლენათა ღრმა ანალიზი, რითაც ფრიად სახიფათო ძალას წარმოადგენდა პარტოკრატიისათვის. 1925-1930 წლებში შჩერბაკოვი ნიუგოროდის საოლქო კომიტეტში მუშაობდა უდანოვის ხელმძღვანელობით. შემდეგ კი, გარკვეული პერიოდის მანძილზე – იყო ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი. იგი **"ახალგზარდა"** კადრად მიაჩნდათ, ისე კი, ბერიაზე მხოლოდ ორი წლით უმცროსი გახლდათ.

უდანოვი შჩერბაკოვის დაზე იყო დაქორწინებული. ასე რომ, ისინი **"ერთმანეთის"** ადამიანები იყვნენ ყველა ასპექტში. სხვადასხვა **"მკვლევარები"** წერდნენ უთანხმოებაზე უდანოვსა და შჩერბაკოვს შორის, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს უფრო პოლიტიკური **"კვამლის საფარი"** გახლდათ, ვიდრე რეალური კონფლიქტი. ფაქტიურად, საქმე კი, ასე წარმომიდგენია...

ალექსანდრე შჩერბაკოვი – როგორც სტალინის პარტიის მეტნაკლებად თანმიმდევრული წარმომადგენელი იდეოლოგიისა და კულტურის სფეროში – აღორძინებულმა შავ-ბნელმა ძალებმა გზიდან ჩამოიშორეს 1945 წელს. უდანოვიც ხელს უშლიდა იგივე ძალებს და იგი თავიდან მოიშორეს 1948 წელს.

პერსპექტივაში, გადაგვარების გზაზე მდგარმა ელიტამ (მისი მძლავრი ებრაელური ფრთის ჩათვლით) აქცენტი გააკეთა **"კუზნეცოვ-ვოზნესენსკის ტანდემზე"**, მაგრამ ამის თაობაზე შეიტყო სტალინმა, რომლის შედეგადაც შეიქმნა **"ლენინგრადის საქმე"**.

როცა კუზნეცოვისა და ვოზნესენსკის გასათამაშებელი ბანქო გაიჭრა, დაიწყეს ახალი ვარიანტის ძებნა. არჩევანი არც თუ ისე დიდი იყო: მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ბულგანინი, ხრუშჩოვი (1949 წლიდან ცეკას მდივანი და მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივანი)... პარტოკრატიას, ავად თუ კარგად, შეეძლო ყველა ამათგანის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება.

ბერია თავიდანვე გამორიცხული იყო – ეს იყო სწრაფი და დიდი შესაძლებლობების მქონე გონების ადამიანი, რომელსაც შეეძლო თავშივე გაეშიფრა პარტოკრატიის შავ-ბნელი მიზნები.

კაგანოვიჩი ემოციური და ფრიად გულღია პიროვნება გახლდათ და, როგორც მოლოტოვი, ინტრიგის მთავარი როლის ფიგურად არც ის გამოდგებოდა. ამასთან, ისინი საბჭოთა მთავრობის ხაზგასმით ერთგულები იყვნენ და, ამდენად, მიდრეკილებებს არ ავლენდნენ ინტრიგების მიმართ.

მიქოიანი იმდენად ფრთხილი პერსონა გახლდათ, რომ იგი მხოლოდ გამარჯვებულის მხარეს თუ დაიკავებდა.

არც ბულგანინის პიროვნება ხიბლავდა ვინმეს. რჩებოდნენ მალენკოვი და ხრუშჩოვი. მალენკოვი არ იყო თავქარიანი, მაგრამ ამბიციით არ გამოირჩეოდა და საკმაოდ დიდ ინერტულობას ავლენდა. ხრუშჩოვი ბნელი, გაუნათლებელი პიროვნება იყო, თან საკმაოდ ცბიერი და დიდი ნაძირალა.

მე ვფიქრობ, სწორედ ამიტომაც შეჩერდა არჩევანი ხრუშჩოვზე. იგი ყველაზე მეტად გამოდგებოდა როგორც შიდასაკავშირო, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე ჟონგლირებისათვის. იგი შესაფერისი კანდიდატი იყო მათთვის, ვინც 50-იან წლებში აყალიბებდა პარტოკრატთა **"პარტიას"** და რუსეთის საგარეო მტრებისთვისაც, რომელთაც უკვე ჩანერგილი ჰყავდათ დედაქალაქის ელიტაში საკუთარი **"გავლენის აგენტები"**. პერსპექტივაში, სწორედ ამიტომ გაკეთდა აქცენტი ხრუშჩოვზე!

ვიმეორებ – პერსპექტივაში! სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა აუცილებელი შეიქმნა ბერიას გზიდან ჩამოშორება, რადგან ბერია გახლდათ ერთადერთი ადამიანი სტალინის შემდეგ, რომელიც გახლდათ საბჭოთა კავშირის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერების მყარი გარანტი!

ასე რომ, უკვე 1950 წელს ობიექტურად იყო დაგეგმილი ლავრენტი ბერიასა და ნიკიტა ხრუშჩოვის დაპირისპირება. თუმცა, არც 1951 წელს, არც 1952 და არც 1953 წელში, ხრუშჩოვს, როგორც მე მიმაჩნია, ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნდა პოლიტიკურ **"კულისებში"** გაკეთებულ ამ არჩევანზე. უფრო მეტიც, იგი ისე ჩავიდა საფლავში, რომ ვერ გაიგო, თუ როგორ დაიწყეს მისი უროსავით თავით საბჭოთა კავშირის კედლების ნგრევა...

ინტრიგების თემას მე კიდევ დავუბრუნდები, ახლა კი მკითხველს შევახსენებ, რომ შავბნელი ინტრიგების გარდა ქვეყანაში მაშინ ვითარდებოდა შემოქმედებითი პროცესები, იზრდებოდნენ ახალი თაობები. და ომისშემდგომ ენთუზიასტთა თაობების წინაშე მშვენიერი პერსპექტივა იყო გადაშლილი!

ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისათვის, რომ სტალინის სოციალიზმი საზოგადოებისათვის დაეხატათ პრინციპულად ყაზარმულად, როგორც სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა მხოლოდ ტერორსა და შიშს. მაგრამ სიმკაცრე ხომ გარემო პირობებით იყო განპირობებული. ხოლო დემოკრატიზაციის მთავარი იდეოლოგი და პრაქტიკოსი ქვეყანაში ყოველთვის იოსებ სტალინი იყო.

აი, წინ მიდევს ყდებგაცვეთილი წიგნი... **"ვ.ა. კარპინსკი. სსრკ კონსტიტუცია. საშუალო სკოლების მე-7 კლასის სახელმძღვანელო. მეოთხე გამოცემა, ჩასწორებული. მოსკოვი, სასკოლო გამომცემლობა. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1953 წლის 3 ივნისს, ტირაჟი 2 მილიონი ეკზემპლარი".** გადავშალოთ 156-ე გვერდი, სადაც სწერია:

"კონსტიტუციამ უზრუნველყო საბჭოთა მოქალაქეები ხელშეუხებლობით, საცხოვრებელი ბინით, მიმოწერის საიდუმლოებით (სტატიები 127 და 128). **საბჭოთა კავშირში დაუშვებელია ვინმეს დაპატიმრება სასამართლოს დადგენილებისა და და პროკურორის სანქციის გარეშე. ვერავინ შევა მოქალაქის ბინაში ზემოთმითითებული, კანონით გათვალისწინებული სანქციების გარეშე..."**

შეიძლება კი, რომ პოლიტიკური სისტემა, რომელიც უკანონობასა და თვითნებობაზეა დამყარებული, გამოდგეს სახელმძღვანელო თემად ყმაწვილებისათვის?

ნუთუ ვინმეს მოუბრუნდება ენა, რომ ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი გასცეს?

მაგრამ, წინასწარ კარგად ვიცი, რომ ვიღაცეებს ეყოფათ თავხედობა და იტყვიან **"ჰო"**-ს. **"მოდემოკრატო ინტელიგენტს"** სარი რომ გაჩხირო უკანალში, მაინც მოჰყვება იმის მტკიცებას, რომ **"სამოცდაათი წელიწადი მონობაში გაატარა"**, თუნდაც იგი დაბადებიდან სამოცი წლისაც არ იყოს.

აი, კიდევ ერთი ციტატა აღნიშნული წიგნიდან...

"აუცილებელია... მივაღწიოთ საზოგადოების კულტურულ ზრდას, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოების ყველა წევრს, რომ განვითარდეს სულიერად და ფიზიკურად, რათა საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ განათლების მიღების საშუალება, რათა შეეძლოთ საზოგადოებრივი აღმშენებლობის პროცესებში აქტიური მონაწილეობის მიღება, შეეძლოთ თავისუფლად აირჩიონ პროფესია, რათა მთელი ცხოვრება არ იყვნენ მიჯაჭვული ერთ ადგილს.

რა არის საწირო ამისათვის?

არასწორი იქნებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ საზოგადოების წევრის ასეთი სერიოზული კულტურული ზრდა მოხდება შრომის დღევანდელი პირობების სერიოზული ცვლილების გარეშე. საამისოდ საჭიროა სამუშაო დღის შემცირება, ჯერ თუნდაც 6 საათამდე, შემდეგ კი 5 საათამდე. ეს საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოების წევრს ჰქონდეს მეტი თავისუფალი დრო, რაც მას სჭირდება მრავალმხრივი განათლების მისაღებად. ამისათვის, შემდგომში, საჭირო იქნება ზოგადი პოლიტექნიკური განათლების მიღება... ამას კი, თავის მხრივ, სჭირდება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გაზრდა, როგორც მინიმუმი, ორჯერ მაინც, როგორც ფულადი ანაზღაურების გაზრდის, ასევე პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების განუხრელი კლებით.

ასეთია კომუნიზმზე გადასვლის ძირითადი მოსამზადებელი პირობები..."

ექნება კი ტირანს იმის სურვილი, რომ სახალხო მასა იყოს განათლებული? თან განათლებული იმდენად, რომ გაქრეს **"ელიტის"** მცნება, იმიტომ, რომ საზოგადოების ყველა წევრი საკმაოზე მეტად განათლებულია, რომელიც საზოგადოების სხვა განათლებულ წევრებთან გაერთიანდება და არავის მისცემს უფლებას, რომ გამოსახოს საკუთარი პერსონიდან **"კვინტენსეცია"**, **"საზოგადოების ნაღები"**, **"ხალხის მსახური"**, **"მიწის მარილი"** და ა.შ.

მაგრამ, ეს ხომ სტალინის ნაწარმოებია – **"სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში"...**

1952 წელი.

აი, რითი მიდიოდა სტალინის სსრკ კომპარტიის XIX ყრილობაზე, რომელიც პირველი ომისშემდგომი, მის სიცოცხლეში კი უკანასკნელი ყრილობა გახლდათ, რომელიც ბოლშევიკებმა ჩაატარეს. ამასთან, საბჭოთა კავშირის შემდგომი სოციალური განვითარების საკითხებში სტალინს ზუსტად იგივე ხედვები გააჩნდა, როგორიც ფიზიკოს ეინშტეინს. მე გავაცნობ მკითხველს დიდი ფიზიკოსის ზოგიერთ გამონათქვამს:

"კაპიტალისტური წყობის ეკონომიკური ანარქია... არის ყველა სიბოროტის თავი და თავი... მე მიმაჩნია, რომ არსებობს ამ სიბოროტესთან ბრძოლის ერთადერთი გზა – სოციალისტური ეკონომიკის დამკვიდრება, განათლების სისტემასთან ერთად, რომელიც საზოგადოების სასიკეთოდ იქნება მიმართული..."

სკკპ XIX ყრილობა მოსკოვში მიმდინარეობდა 1952 წლის 5-დან 13 ოქტომბრამდე. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის საბუროვის მოხსენების მიხედვით ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლედის დირექტივები 1951-1955 წლებისათვის. სკკპ წესდებაში შესატანი ცვლილებების გამო მოხსენებით გამოვიდა ხრუშჩოვი, მოხსენებით გამოვიდა ასევე ბერიაც.

14 ოქტომბერს სტალინმა შემაჯამებელი მოხსენება გააკეთა.

ყრილობაზე ჩამოყალიბდა პარტიის პროგრამის შექმნაზე მომუშავე კომისია, შემდეგი შემადგენლობით: ი.ბ. სტალინი (თავმჯდომარე), ლ.პ. ბერია, ლ.მ. კაგანოვიჩი, ო.ვ. კუუსინენი, გ.მ. მალენკოვი, ვ.მ. მოლოტოვი, პ.ნ. პოსპელოვი, ა.მ. რუმიანცევი, მ.ზ. საბუროვი, დ.ი. ჩესნოკოვი, პ.ფ. იუდინი.

კომისიაში ლავრენტი ბერიას ყოფნა და ნიკიტა ხრუშჩოვის არყოფნა, იგივე ასოციაციას აღძრავს, როგორსაც ვიაჩესლავ მოლოტოვის ყოფნა და ანასტას მიქოიანის არყოფნა. მაგრამ, მთავარი გახლდათ საკადრო შედეგები, რომელიც დაიწყო საკავშირო კომპარტიის (ბ) ყრილობად, და დამთავრდა სკკპ ყრილობად. მაშინ თვლიდნენ, რომ პარტიას მხოლოდ სახელი შეეცვალა და იმასაც, რომ ამ ყრილობაზე პარტია, უბრალოდ, დაიმარხა. შემდგომი, სკკპ მეოცე ყრილობა უკვე გახლდათ არა ლენინ-სტალინური ფორმაციის კომუნისტთა ყრილობა, არამედ მოზეიმე პარტოკრატიის პირველი ყრილობა.

1952 წლის 16 ოქტომბერს ყრილობამ პოლიტბიუროს ნაცვლად აირჩის სკკპ ცეკას პრეზიდიუმი, ხალხის არაბუნებრივად დიდი ოდენობით: ვ.მ. ანდრიანოვი, ა.ბ. არისტოვი, ლ.პ. ბერია, ნ.ა. ბულგანინი, კ.ე. ვოროშილოვი, ს.დ. იგნატიევი, ლ.მ. კაგანოვიჩი, დ.ს. კოროტჩენკო, ვ.ვ. კუზნეცოვი, ო.ვ. კუუსინენი, გ.მ. მალენკოვი, ვ.ა. მალიშევი, ლ.გ. მელნიკოვი, ა.ი. მიქოიანი, ნ.ა. მიხაილოვი, ვ.მ. მოლოტოვი, მ.გ. პერვუხინი, პ.კ. პონომარენკო, მ.ზ. საბუროვი, ი.ბ. სტალინი, მ.ა. სუსლოვი, ნ.ს. ხრუშჩოვი, დ.ი. ჩესნოკოვი, ნ.მ. შვერნიკი, მ.ფ. შკირიატოვი.

პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები გახდნენ: ლ.ი. ბრეჟნევი, ა.ი. ვიშინსკი, ა.გ. ზვერევი, ნ.გ. იგნატოვი, ი.გ. კაბანოვი, ა.ნ. კოსიგინი, ნ.ს. პატოლიჩევი, ნ.მ. პეგოვი, ა.მ. პუზანოვი, ი.ტ. თევოსიანი, პ.ფ. იუდინი.

კანდიდატებსა და წევრებთან ერთად ცეკას პრეზიდიუმის შემადგენლობა გაიზარდა 36 კაცამდე, ამასთან, ეს შემადგენლობა წამოაყენა სტალინმა და მასში შეყვანილ იქნა მრავალი ახალგაზრდა ადამიანი (თუნდაც ჩესნოკოვი). გარდა ამისა, სტალინისავე წინადადებით, საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით ჩამოყალიბდა სკკპ ცეკას პრეზიდიუმთან არსებული არასაწესდებო ბიურო ბერიას, ბულგანინის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, პერვუხინის, საბუროვის, სტალინისა და ხრუშჩოვის მონაწილეობით.

აქედან ჩანს, რომ ბიუროს შემადგენლობაში არ შედიოდნენ ისეთი მსხვილი ფიგურები, როგორებიც იყვნენ მოლოტოვი და მიქოიანი. სტალინმა ისინი სერიოზულად გააკრიტიკა 16 ოქტომბრის პლენუმზე და სავსებით სამართლიანადაც გააკრიტიკა (რაც, როგორც ახლა **"დემოკრატიული მკვლევარები"** ამტკიცებენ, სრულებით არ გახლდათ ამ ადამიანებისათვის რეპრესიებისა და დევნის წინამძღვარი).

მომავლისათვის შედარებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ პლენუმმა ჩამოაყალიბა **"ხელმძღვანელთა ხუთეული"**: ბერია, ბულგანინი, მალენკოვი, სტალინი, ხრუშჩოვი. ბერია აქ პირველ ადგილზე იდგა, ხრუშჩოვი – ბოლოზე. მაგრამ ეს განპირობებული იყო მხოლოდ ანბანური თანმიმდევრობით – მათი გვარების პირველ ასოთა შესაბამისად.

ცეკას სამდივნო შემდეგნაირად გამოიყურებოდა: არისტოვი, ბრეჟნევი, იგნატოვი, მალენკოვი, მიხაილოვი, პეგოვი, პონომარენკო, სტალინი, სუსლოვი, ხრუშჩოვი.

გენერალური მდივანი არ აურჩევიათ. ამასთან, სტალინმა სურვილი გამოთქვა, რომ გამოსულიყო ცეკას სამდივნოს შემადგენლობიდან, მაგრამ ამას არავინ დაეთანხმა. **"მკვლევარები"** სტალინის ამ ნაბიჯს აფასებენ როგორც თანამებრძოლთა ერთგულების შემოწმების იეზუიტურ მეთოდს, მაგრამ გამორიცხულია, სტალინს არ სცოდნოდა, რომ მის ამ სურვილს მხარს არავინ დაუჭერდა. მაშინ ხომ სტალინის შემცვლელი ნამდვილად არავინ იყო, თვით ბერიაც კი!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ეშაფოტზე – ძალმომრეობის მატიანე

XVII საუკუნის დასაწყისისთვის ინგლისში ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ქვეყანა თავისი ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს და დრამატულ პერიოდში შედიოდა. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ეს იყო უდიდესი გადატრიალებების, სამოქალაქო ომების, პოლიტიკური და რელიგიური გარდაქმნების საუკუნე.

მიუხედავად წლითიწლობით ვითარების დაძაბვისა, ვერც ერთი პოლიტიკოსი მომავლის ყველაზე თამამ პროგნოზებშიც კი ვერ დაუშვებდა, რომ სულ მალე მეფე ართურისა და კამელოტის, რიჩარდ III ლომგულის, ჰენრი VIII-ისა თუ ელიზაბეტ I-ის ქვეყანაში მონარქის სისხლი დაიღვრებოდა.

1625 წელს ინგლისის მეფე ჯეიმზ I სტიუარტი გარდაიცვალა. სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, ოცი წლის ჩარლზ I. ჩარლზი 16 წლის ასაკში გახდა ტახტის მემკვიდრე, მას შემდეგ, რაც მისი ორი უფროსი ძმა გარდაიცვალა. ბავშვობისას დამჯერი, მშვიდი და უწყინარი იყო. ახალგაზრდობის წლებში კი თეოლოგიურმა დისპუტებმა და საბრძოლო ხელოვნებამ გაიტაცა. ახალგაზრდა მეფე მამაცი იყო, განსწავლული, სამხედრო საქმეში ბრწყინვალედ გარკვეული მონარქი. თუმცა ახასიათებდა ქედმაღლური დამოკიდებულება ქვეშევრდომებისადმი.

ეს გარკვეულწილად აფრთხობდა მისადმი ერთგულად განწყობილთ. ამასთან, მეფეს უჭირდა საუბრისას შესაბამისი ტონის შერჩევა: უკან იხევდა და დამთმობი ხდებოდა მაშინ, როდესაც პრინციპულობა იყო საჭირო, ხოლო დათმობებზე წასვლის საჭიროებისას უკომპრომისობას იჩენდა. საბოლოო ჯამში, ამან მეფის მრავალი მნიშვნელოვანი შეცდომა განაპირობა. ჩარლზ I გულმხურვალე ქრისტიანი იყო. ღრმად სწამდა, რომ სამეფო ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად ღვთისგან მომდინარეობდა, მონარქი კი მხოლოდ უფლის სამსჯავროზე აგებდა პასუხს. ჩარლზი დარწმუნებული გახლდათ, რომ მეფის ხელისუფლება აბსოლუტური უნდა ყოფილიყო. არც ერთ მიწიერ სტრუქტურასა თუ ინსტიტუციას (პირველ რიგში კი პარლამენტს) არ ჰქონდა უფლება, ღვთივდადგენილი ხელისუფლება შეეზღუდა.

ჩარლზ I, მიუხედავად თავისი არაკეთილგანწყობისა პარლამენტისადმი, დამოკიდებული აღმოჩნდა მასზე. პარლამენტი ფლობდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ბერკეტს – სუბსიდიებს. მეფე იძულებული იყო, ფინანსებისთვის საკანონმდებლო ორგანოსთვის მიემართა. თავის მხრივ, პარლამენტი ამ მდგომარეობით სარგებლობდა და სამეფო პოლიტიკაში მაქსიმალურად ჩარევას ცდილობდა. ამასთან, მხარეებს სხვადასხვა პრიორიტეტი ჰქონდათ, მათი საერთო აზრამდე მისვლა პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანდა. ქვეყნისთვის საზიანო ასეთ ურთიერთობათა სამწუხარო ტრადიცია ჯეიმზ I-ის დროიდან ჩამოყალიბდა.

ჩარლზ I-მა 1625 წელს თავის პირველ სესიაზე ხისტად და იმპერატიულად მოსთხოვა პარლამენტს სუბსიდიები ესპანეთთან ომისთვის. დეპუტატები მეფისთვის მხოლოდ 140 ათასი გირვანქა სტერლინგის გამოყოფას დათანხმდნენ და ამ მიზნით ე.წ. კასრის გადასახადი შემოიღეს, ისიც ერთი წლით. იმედგაცრუებულმა მეფემ პარლამენტი დაითხოვა. რიგით მეორე პარლამენტი 1626 წელს ამოქმედდა. თუმცა არც მას დაუკმაყოფილებია მეფის ბრძანება სუბსიდიებთან დაკავშირებით. მეტიც, დეპუტატები შეეცადნენ, ჰერცოგი ბეკინჰემი სასამართლოს წინაშე წარედგინათ. ჩარლზმა განაცხადა, რომ ჰერცოგის ყველა განკარგულებაზე თავად იღებდა პასუხისმგებლობას. მეფემ კვლავ სასწრაფოდ დაითხოვა პარლამენტი, ოპოზიციონერ დეპუტატთა ნაწილი დააპატიმრეს. მესამე პარლამენტი 1628-1629 წლებში მოქმედებდა.

მეფესა და დეპუტატებს შორის ცხარე კამათი განახლდა, ბეკინჰემის გასამართლებაც კვლავ მოითხოვეს. გარდა ამისა, **„თავისუფლებათა დიდ ქარტიაზე“** (XIII ს.) დაყრდნობით, ოპოზიციურმა თემთა პალატამ მეფეს წარუდგინა **„პეტიცია უფლებათა შესახებ“**. პეტიციის მიზანი იყო მონარქის ხელისუფლების შეზღუდვა ხალხის ინტერესებისთვის. მეფემ, როგორც იქნა, პეტიცია დაამტკიცა. მას შემდეგ ეს დოკუმენტი პარლამენტის მთავარი იარაღი გახდა მონარქიასთან კონფლიქტში. დათმობის მიუხედავად, ჩარლზმა სუბსიდიები ვერ მიიღო, დეპუტატები ბეკინჰემის გასამართლებას ითხოვდნენ (1628 წელს ჰერცოგი ოფიცერმა ფელტონმა მოკლა). მეფემ კიდევ ერთხელ სასწრაფოდ დაშალა პარლამენტი, პეტიცია უარყო და მტკიცედ გადაწყვიტა, ამიერიდან ქვეყანა უპარლამენტოდ ემართა.

1629-დან 1640 წლამდე ჩარლზ I-ის შეუზღუდავი, აბსოლუტური მმართველობის პერიოდი იყო. ის ეყრდნობოდა სამ პირს, რომელთა ოსტატური პოლიტიკის წყალობით ჩარლზმა თავისი აბსოლუტიზმის თერთმეტი წლით გახანგრძლივება შეძლო. ეკონომიკის სფეროში მეფის ტახტს ხაზინადარი ლორდი რიჩარდ უესტონი ამყარებდა. იგი სხვადასხვა ხერხით ახალახალ გადასახადს აწესებდა ქვეყანაში. მისი მიზანი იყო, მეფისთვის პარლამენტისგან დამოუკიდებელი ფინანსური ბაზა შეექმნა. სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში მეფე თავის უსაყვარლეს მინისტრსა და მრჩეველს, გრაფ სტრაფორდს ეყრდნობოდა, რომელიც უკომპრომისო პოლიტიკას ატარებდა ოპოზიციონერებისადმი, აპატიმრებდა ხელისუფლებისადმი უარყოფითად განწყობილთ, უზრუნველყოფდა უესტონის მიერ დაწესებული გადასახადების აკრეფას, აგრეთვე, სამეფო ჯარს აყალიბებდა. საეკლესიო სფეროში მეფის მარჯვენა ხელი იყო ანგლიკანური ეკლესიის პრიმასი, კენტერბერის მთავარეპისკოპოსი უილიამ ლოდი. იგი აქტიურად იბრძოდა სამეფო ეკლესიის გასაძლიერებლად.

ლოდი ასევე ხელს უწყობდა ანგლიკანური ეკლესიის კათოლიციზმთან დაახლოებას. მთავარეპისკოპოსი ყველგან დაუღალავად ქადაგებდა ჩარლზის აბსოლუტიზმის ღვთივკურთხეულობის შესახებ. ლოდი აფრთხილებდა ხალხს, რომ ჩარლზის ხელისუფლებასთან ნებისმიერი სახის დაპირისპირება დიდი ცოდვა იყო. ყველა ეპისკოპოსსა და პასტორს მთავარეპისკოპოსი ავალებდა, კათედრებიდან აბსოლუტიზმის განსადიდებლად ექადაგათ.

მეფის აპარატის მცდელობა, აბსოლუტიზმისთვის მტკიცე საფუძვლები შეექმნა, მხოლოდ დროებით და მოჩვენებით შედეგებს იძლეოდა. წლიდან წლამდე ჩარლზის ხელისუფლება სულ უფრო სუსტდებოდა. ძალას იკრებდა ოპოზიციური საპარლამენტო უჯრედი, ხალხი უარს ამბობდა გამრავლებული გადასახადების გადახდაზე. სამეფო პოლიცია მრავალ ადამიანს აპატიმრებდა. ანონიმი ავტორები მონარქის საწინააღმდეგო პამფლეტებს ავრცელებდნენ. ჩარლზის მოწინააღმდეგეები აბსოლუტიზმის ამ ეპოქას **„თერთმეტწლიან ტირანიას“** უწოდებდნენ.

პროტესტი იზრდებოდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო საბრძოლო კონსოლიდაცია ჩარლზ I-ის ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ოპოზიციურმა სპექტრმა, პურიტანულმა საზოგადოებამ. პურიტანებმა, ფაქტობრივად, საზოგადოებრივი აზრის მიმართულება განსაზღვრეს. ისინი ახლა უკვე ძალიან მკაცრად მოითხოვდნენ ანგლიკანური ეკლესიის სრულად იზოლირებასა და კათოლიციზმისგან გაწმენდას.

პურიტანიზმი პროტესტანტული მოძრაობის ყველაზე რადიკალურ ფორმას წარმოადგენდა, მისი საერო გამოხატულება სახელმწიფოს რესპუბლიკური წყობა იყო. ამგვარად, პურიტანები ჩარლზის აბსოლუტიზმსა და მის დასაყრდენს, ანგლიკანურ ეკლესიას დაუპირისპირდნენ. პურიტანიზმის მიმდევართა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. მთავარეპისკოპოსი ლოდი პურიტანებისადმი რეპრესიებს მიმართავდა, ყოველმხრივ დევნიდა მათ, თუმცა ეს უკუშედეგს იძლეოდა. აშკარა ხდებოდა, რომ პურიტანიზმი მონარქიის გაცილებით საშიში და ძლიერი მეტოქე იყო, ვიდრე პარლამენტი. 1641 წლისთვის აბსოლუტიზმმა სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრახი განიცადა. ამასთან, სამეფო ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო შოტლანდიის 20-ათასიანი არმია ინგლისში შეიჭრა. უსახსროდ მყოფმა ჩარლზ I-მა პარლამენტი მოიწვია.

პირველივე სხდომაზე თემთა პალატამ მეფის თერთმეტწლიანი მმართველობის გამოძიება მოითხოვა. ჩარლზმა ისევ დაითხოვა პარლამენტი. შოტლანდიელთა არმია ჩრდილოეთში გამარჯვებებით მოიწევდა. მეფე იძულებული გახდა, კვლავ მოეწვია **„ხანგრძლივი პარლამენტი“**. ახალი პარლამენტისთვის ეს გახდა შანსი, სერიოზულად შეეტია ჩარლზ I-ისთვის. პურიტანებმაც მასობრივი ანტიმონარქიული აგიტაცია გააჩაღეს, ავრცელებდნენ პამფლეტებს. პარლამენტმა საზოგადოებრივი ძალების მხარდაჭერა იგრძნო. ჩარლზის წინააღმდეგ დიდი ტალღა აგორდა. დეპუტატებმა სასწრაფოდ დააპატიმრებინეს ლოდი, სტრაფორდი და **„თერთმეტწლიანი ტირანიის“** სხვა აქტიური მოღვაწეები. სულ მალე ლოდი და სტრაფორდი სიკვდილით დასაჯეს.

საზოგადოებრივი ოპოზიცია იმდენად დიდი და ძლიერი იყო, რომ ჩარლზმა ხელისუფლების უმთავრესი საყრდენები ვეღარ დაიცვა. გაათავისუფლეს მონარქისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტპატიმრები. პარლამენტი თანამიმდევრულად და სრულად აცლიდა ჩარლზის ტახტს საძირკველს. 1641 წელს გაუქმდა აბსოლუტიზმისთვის მნიშვნელოვანი სტრუქტურები – ვარსკვლავური პალატა (უმაღლესი ადმინისტრაციულ-სასამართლო ტრიბუნალი) და მაღალი კომისია (უმაღლესი საეკლესიო სასამართლო). დაშალეს სამეფო ჯარი. გაუქმდა მეფის ეკონომიკური მონოპოლია და გადასახადები. შეადგინეს **„დიდი რემონსტრაცია“**, დოკუმენტი, რომლის 204 მუხლში წარმოდგენილი იყო ჩარლზ I-ის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შედეგები. 1642 წლის იანვარში მეფემ თემთა პალატის ხუთი წევრი შოტლანდიელებთან ფარულ კავშირში დაადანაშაულა. დეპუტატების დაპატიმრება ჩარლზმა ვერ შეძლო, შერიფები ბრძანებას არ დაემორჩილნენ. განრისხებულმა ბრბომ სამეფო ამალას გზა გადაუკეტა.

ლონდონში ხალხის უკმაყოფილება იზრდებოდა. ჩარლზმა დედაქალაქში დარჩენა სახიფათოდ ჩათვალა და 10 იანვარს ჩრდილოეთით, ქალაქ იორკისკენ გაემგზავრა. ინგლისი სწრაფად უახლოვდებოდა სამოქალაქო ომს.

იორკი იქცა მეფის ერთგული ძალების, როიალისტების მთავარ ცენტრად. ძველი ფეოდალური ტრადიციების თავადაზნაურობა იორკში იყრიდა თავს. 1642 წლის სექტემბრისთვის მეფეს 6 ათასი ქვეითი და 2 ათასი კავალერისტი ჰყავდა. როიალისტების ხელთ იყო ქვეყნის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილები. პარლამენტის გამგებლობაში კი შედიოდა ეკონომიკურად ძლიერი სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიები: ლონდონი და სამრეწველო-სავაჭრო თვალსაზრისით განვითარებული ქალაქები, უმსხვილესი პორტები. პარლამენტმა 20-ათასიანი არმია ჩამოაყალიბა. 1642 წლის 22 აგვისტოს, ნოტინჰემში, ჩარლზ I-მა საზეიმო ვითარებაში აღმართა სამეფო შტანდარტი. ეს ომის გამოცხადებას ნიშნავდა. მეფის თქმით, მისი მიზანი მეამბოხეთა შეჩერება იყო. დაიწყო სამოქალაქო ომი.

თავიდანვე შესაძლებელი ჩანდა როიალისტთა გამარჯვება. 1642-1644 წლებში სამეფო არმიამ მნიშვნელოვანი დარტყმები მიაყენა პარლამენტის ძალებს. ჩარლზის მომხრე თავადაზნაურობა სამხედრო საქმეს ბრწყინვალედ ფლობდა. ამ მხრივ პარლამენტის არმია მოისუსტებდა. თითქოს როიალისტები ახლოს იყვნენ კიდეც საბოლოო გამარჯვებასთან, თუმცა სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. პარლამენტის მხარეს შოტლანდია ომში ჩაება. ჩარლზს ორ ფრონტზე მოუწია ძალების გაყოფამ, სულ მალე კი მეფის წინააღმდეგ პურიტანთა მძლავრი არმია გამოვიდა. **„ხანგრძლივი პარლამენტის“** დეპუტატმა ოლივერ კრომველმა პურიტანული მრწამსით განმსჭვალული, სამხედრო თვალსაზრისით სანიმუშო არმია ჩამოაყალიბა. კრომველის ლაშქარი საპარლამენტო არმიის დამრტყმელ ძალად იქცა. სწორედ ამ ძალამ შეიტანა ომში გარდატეხა.

როიალისტებმა უმძიმესი დარტყმები განიცადეს. 1645 წელს, ნეიზბისთან, კრომველის არმიამ ჩარლზ I საბოლოოდ დაამარცხა. ინგლისის მეფე იძულებული გახდა შოტლანდიაში გაქცეულიყო. 1647 წელს შოტლანდიელებმა 400 ათასი გირვანქა სტერლინგის საფასურად მეფე პარლამენტს გადასცეს. ჩარლზმა პოლიტიკური ინტრიგების გაბმა გადაწყვიტა. იგი ცდილობდა, დეპუტატთა შორის არსებული დაპირისპირებებით ესარგებლა. ამას მოჰყვა ეფემერული როიალისტური ამბოხება სამხრეთ-აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ჩარლზმა შოტლანდიელებიც გადმოიბირა. კრომველმა 1648 წელს, პრესტონთან, შოტლანდიელები დაამარცხა და როიალისტთა გამოსვლები უმალვე ჩაახშო. ვითარებას ამჯერად პურიტანული არმია სრულად აკონტროლებდა. კრომველი დათმობას აღარ აპირებდა. მეფესთან მოლაპარაკების მომხრე დეპუტატები მან პარლამენტიდან განდევნა, მათი ადგილი რადიკალურმა ოპოზიციამ დაიკავა. კრომველი ლონდონში ტრიუმფატორივით შევიდა და უაიტჰოლის სამეფო დარბაზში დაბინავდა.

ოლივერმა გადაწყვიტა, ყოველმხრივ გზამოჭრილი ჩარლზი საბოლოოდ დაემარცხებინა. საგანგებო ბადრაგმა დაპატიმრებული მონარქი უინძორში, შემდეგ კი სენტ-ჯემსის სასახლეში გადაიყვანა. 1649 წელს კრომველმა მეფის გასასამართლებლად 50-კაციანი ტრიბუნალი შექმნა. სხდომები 20 იანვარს უესტმინსტერის სასახლეში გაიხსნა. ჩარლზ I პროცესზე სამჯერ დაიბარეს. თავიდანვე და ყველა გამოსვლაზე იგი თავის მართლებაზე უარს აცხადებდა.

უფლებამოსილად არ ცნობდა ტრიბუნალს, ნებისმიერ სხვა მიწიერ ინსტიტუციას ღვთივდადგენილი მეფის გასასამართლებლად. მონარქი აცხადებდა, რომ ღვთისგან მიიღო ხელისუფლება და არა ხალხისგან, რომ იგი იძულებული გახდა, სამხედრო ძალა ეხმარა მეამბოხეთა შესაჩერებლად, კანონიერების დასაცავად. სასამართლო პროცესი ნორმათა სრული დაცვით რომ წარმართულიყო, ამ საკითხებში სამართლიანი გარკვევა არაერთ თვეს გაგრძელდებოდა, მაგრამ კრომველი ჩქარობდა. 27 იანვარს ტრიბუნალმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: **„ჩარლზ სტიუარტს, როგორც ტირანს, მეამბოხეს, მკვლელსა და ინგლისის სახელმწიფოს მტერს, მიესაჯოს თავის მოკვეთა“**. მეფეს განაჩენის აღსრულებამდე სამი დღე მისცეს.

ეს დრო ჩარლზ I-მა ლოცვებსა და სულიერ განწმენდას დაუთმო. მის გვერდით იყო ეპისკოპოსი ჯონსონი. მთელი ამ დროის განმავლობაში, ვიდრე უკანასკნელ წუთამდე, მონარქს განსაკუთრებული სიმხნევით ეჭირა თავი. 30 იანვარს, უაიტჰოლის სასახლის წინ მოწყობილ ეშაფოტზე ჩარლზ I-მა სტიუარტმა მუხლი მოიდრიკა. მეფეს თავი მოკვეთეს. რამდენიმე დღეში პარლამენტმა მონარქია გააუქმა, ინგლისში რესპუბლიკა გამოცხადდა. ჩარლზ I-ის ცხედარი უინძორის ციხეში წაასვენეს და იქ დაკრძალეს.

მირონცხებული მონარქის გასამართლება და სიკვდილით დასჯა უპრეცედენტო მოვლენა იყო ქრისტიანული ევროპის ისტორიაში. ეს ფაქტი აშკარად მიანიშნებდა დასავლეთ ევროპის საზოგადოების მსოფლმხედველობასა და ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებებს. 1649 წლის 27 იანვრის შემდეგ ევროპა უკვე აღარასოდეს იქნებოდა ისეთი, როგორიც აქამდე ახსოვდათ.

სრულიად ახალი ეპოქა იწყებოდა.

მიხეილ ბარნოვი
ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი "ისტორიანი"

„ილორის“ კომენტარი: ***სამწუხაროდ, ტირანიისა და დიქტატურისადმი მანიაკალური მიდრეკილების მქონე ვაიპოლიტიკოსებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ ახლა XXI საუკუნეა და ქვეყნის მართვა არ შეიძლება მე-18 საუკუნის სტანდარტებით. თუმცა, როგორც მატიანე გვიჩვენებს, დიქტატურას უკვე მანამდეც მიიჩნევდნენ სიმახინჯედ და საკმაოდ მკაცრი მეთოდებით ებრძოდნენ.***

იგივე განმეორდა ახლახან, როცა გამძვინვარებულმა ადამიანებმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს არაბული სამყაროს „გამოჩენილ“ დიქტატორებს. რაც შეეხება, საქართველოში დიქტატურის რეანიმატორ „ნაციონალებს“ და მათ ბელადს, თუ ისინი სათანადო დასკვნებს ვერ გააკეთებენ, გამორიცხული არ იქნება, რომ მათაც მათი წინამორბედი დიქტატორების ხვედრი გაიზიარონ.

ეს კი ნამდვილად ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს ჩვენს ისედაც ავტორიტეტშერყეულ და ნაციონალთა მიერ, შეგნებულად, მოდალატეობრივი პოლიტიკის გატარებით ილაჯგაწყვეტილ და ტერიტორიაჩამოჭრილ საქართველოს!

ამ პროდუქტის მომხმარებლები არიან ქართველი ემიგრანტები, რომელთაც პროტესტის გრძნობა არც კი უჩნდებათ(!).

ეს ამბავი საფრანგეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ შემატყობინა. ქართველ ემიგრანტს საახალწლოდ ქართული სუფრის გაშლა მოუწადინებია, მაგრამ მარცხი უწვნევია! წარმოიდგინეთ, როგორ გაოცდებოდა, როცა ქართულ ხაჭაპურს დანატრებულს მის ნაცვლად ხელში „ხაჩატურიანი“, ჩურჩხელის ნაცვლად – „არმიანსკოე ჩუდო“ და ქართული ღვინის ნაცვლად კი სომხური „საფერავი“ შერჩა!

„ქართველი „ავტორიტეტები“ დამადგნენ თავზე სომეხ ძმებთან ერთად და საქმე გამირჩიეს, არ გაბედო რაიმეს თქმა და ამ ამბავმა პრესამდე არ მიაღწიოს, თორემ ჩვენ ვიცით და ჩვენმა ბიჭობამო“.

მას შემდეგ, რაც „ჩაკრულო“ ჩვენმა მოძმე სომხებმა სომხურ ხალხურ სიმღერად და ანსამბლი „რუსთავი“ სომხურ ხალხურ ანსამბლად მონათლეს, მეგონა, აღარაფერი გამიკვირდებოდა, მაგრამ საკვირველი და საგანგაშო უფრო სხვა რამ არის და სულ ტყუილად ვბრაზობთ მეზობლებზე, როცა ყველაფრის მიზეზი ჩვენსავე უნიათობაშია საძიებელი.

ნუგზარ სულაშვილი: – ცოტა ხნის წინ საფრანგეთის ქალაქ მონტობანში რუსულ სუპერმარკეტში შევედი. ემიგრანტი ქართველებისაგან გაგებული მქონდა, ქართული პროდუქცია რუსულ სუპერმარკეტებში იყიდებაო. **„საფერავს“** რომ მოკარი თვალი, ფრთაშესხმულმა რამდენიმე ბოთლს დავავლე ხელი, ვიფიქრე, სამშობლოდან შორს საახალწლო სუფრას ქართული ღვინით დავამშვენებ-მეთქი. სანამ სალარომდე მივიდოდი, იმდენი ვეფერე ბოთლებს, იმდენი ცრემლი ვაპკურე...

– ჰაეს? – გამეკრიჭა გრძელცხვირა მოლარე.

– ნოუ, ჯეორჯიან, – გავიკრიჭე მეც და **„საფერავის“** ბოთლები გამომწვევად ჩამოვულაგე დახლზე.

– ეს სომხური ძვირფასი ღვინოების კოლექციიდან არის,– მითხრა თავდაჯერებულად გამყიდველმა და კიდევ ერთხელ გამიღიმა.

გავშტერდი! რას ამბობთ, არ არსებობს სომხური **„საფერავი“**-მეთქი. როგორ გეკადრებათო, შეიცხადა მოლარემ და ეტიკეტზე მიმითითა, აგერ წაიკითხეთო. მერედა დავაკვირდი. ეტიკეტზე გერმანულად კარგა მსხვილი ასოებით ეწერა: სომხური ღვინო **„საფერავი“** და მივხვდი, რომ ვარსკვლავთმრიცხველების ნაწინასწარმეტყველები მზის დაბნელება ჩემთვის 4 იანვარს კი არა, 26 დეკემბერს დაიწყო!

გულმოკლული და ნირწამხდარი მაღაზიის ადმინისტრაციას ვეცი, რას ჰქვია **„საფერავს“** სომხური ღვინო აწერია-მეთქი. მიპასუხეს, ჩვენ არაფერი ვიცით, ეს ღვინო საფრანგეთში გერმანიიდან შემოაქვთო. მწარმოებელი აღმოჩნდა ფირმა **„არამე“,** რომელიც **„საფერავს“** აწარმოებს წარწერით **„ძვირფასი სომხური ღვინოების კოლექციიდან“.** როგორ დავიჯერო, რომ სომხებს **„საფერავის“** წარმოების ექსკლუზივი მიჰყიდა საქართველომ?!

არ ვიცი, ამ ფაქტზე რა რეაქცია ექნება საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ მე კი დავრჩი საახალწლოდ ნირწამხდარი და სომხური **„საფერავის“** ამარა!

ხომ არ შეიძლება, ისეთ ცნობილ ბრენდებს, როგორიც **„ხვანჭკარა“, „საფერავი“** და **„ქინძმარაულია“,** ევროპელები საუკეთესო სომხურ ღვინოებად იცნობდნენ?

„ბედნიერება“ თურმე წინ მელოდა: როცა **„საუკეთესო სომხური ღვინოების კოლექციის“ „საფერავი“** გავსინჯე, კიდევ უფრო წამიხდა ხასიათი. საკმარისია, ერთხელ გასინჯოთ და არათუ **„საფერავს“,** მგონი, ღვინოსაც აღარასოდეს გაეკარებით!

მოკლედ, ამ საახალწლო სიურპრიზის შემდეგ დავინტერესდი და აღმოვაჩინე, რომ ასეთივე **„ქართული“** პროდუქტები იყიდება ყველა იმ ქალაქში, სადაც რუსული სუპერმარკეტებია, მათ შორის – პარიზში, ლიონში, ბორდოში, სტრასბურგში, მარსელში. საფრანგეთში მასობრივად იყიდება სომხურ ანსამბლ **„სუხიშვილების“** კონცერტების კომპაქტდისკები, ხოლო ხაჭაპურს – **„ხაჩატურიანი“,** აჩმას – **„აჩმეიადინი“,** ჩურჩხელას – **„არმიანსკოე ჩუდო“,** შოთის პურს – **„აშოტას პური“,** გოზინაყს კი – **„აინუში“** ჰქვია!

ყველაზე გულსატკენი კი ის არის, რომ ყველა ამ პროდუქტის მომხმარებლები არიან ქართველი ემიგრანტები, რომელთაც პროტესტის გრძნობა არც კი უჩნდებათ (!).

სხვას რა უნდა მოვთხოვოთ, როცა არც ის აღარ ვიცით, რა არის სამშობლო ან მისი სიყვარული. რამდენიმე წლის წინ ამერიკაში ვიყავი. კალიფორნიაშიც აღმოვაჩინე სომხური **„ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“** და **„ბორჯომი“,** რომელიც მაღაზიასა და აფთიაქებში იყიდებოდა, როგორც საუკეთესო თვისებების მქონე სომხური სამკურნალო მინერალური წყალი. **„ბორჯომს“** ყველა წარწერა სომხურ ენაზე ჰქონდა, მხოლოდ მსხვილად წაწერილი **„ბორჯომი“** იყო ინგლისურად.

დავინტერესდი **„ხვანჭკარისა“** და **„ქინძმარაულის“** წარმომავლობით და რამდენიმე დღეში კალიფორნიაში სომხების ფირმას მივაგენი. ეს ამბავი სასწრაფოდ შევატყობინე საქართველოს საელჩოს, რამდენიმე დღეში კი ქართველი **„ავტორიტეტები„** დამადგნენ თავზე სომეხ ძმებთან ერთად და საქმე გამირჩიეს, არ გაბედო რაიმეს თქმა და ამ ამბავმა პრესამდე არ მიაღწიოს, თორემ ჩვენ ვიცით და ჩვენმა ბიჭობამო. მივხვდი, რომ მწარმოებლებმა ჩამიშვეს, წყლის ნაყვა იყო ყველაფერი – ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა და წილშიც იჯდნენ!

საახალწლო არდადეგების შემდეგ საფრანგეთშიც ვაპირებ ამ ამბის გაპროტესტებას, მაგრამ, მგონი, აქაც ქართველების ხელი ურევია და რითი დამთავრდება ეს ამბავი, ღმერთმა იცის.

მე თუ მკითხავთ, ეს სომხების ბრალი სულაც არ არის. გასდით და რატომაც არა! იმისათვის, რომ უცხოეთის ბაზრებზე ქართული დასახელებები და სავაჭრო ნიშნები დავიცვათ, ამ ქვეყნების კანონების ცოდნა და სულ ცოტა პატრიოტიზმის გრძნობაა საჭირო (მართალია, ახლა დროებას ჩამორჩენილი პატრიოტები აღარ არიან მოდაში, მაგრამ მაინც).

ეს ერთადერთი იარაღია, რაც საქართველოს სჭირდება ცივილიზებულ სამყაროში ამგვარ სიურპრიზებთან საბრძოლველად. ბრძოლის არენა კი, ცხადია, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოა და ამ არენაზე გამარჯვებასაც ცოდნა და სახელმწიფოს (სწორედ მას ევალება ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა) მხარდაჭერა ესაჭიროება. სამწუხაროდ, ქართულ კომპანიებს არ შეუძლიათ უცხოეთის სამართალდამცველ სტრუქტურებში საქმის აღძვრა, ძვირად ღირებული იურისტების დაქირავება სასამართლო პროცესისთვის, რომელიც ზოგჯერ თვეების განმავლობაში ჭიანურდება.

საქართველოს კანონმდებლობით, 18 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოა დაცული, მათ შორის **„საფერავიც“.** ამ დასახელებების დაცვა ევროკავშირის ქვეყნებში გარანტირებულია ლისაბონის ხელშეკრულებით, რომელსაც საქართველოც არის მიერთებული.

ხათუნა პაიჭაძე

ევროპელებს ვერ წარმოუდგენიათ, რატომ უნდა აწამო ბორკილდადებული ადამიანი

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ აღმასრულებელი დირექტორი ქალბატონი მანანა კობახიძე და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი 24-29 ოქტომბერს სხვა ევროპელ უფლებადამცველებთან ერთად მიწვეული იყვნენ ქალაქ სტრასბურში, ევროკომისარ თომას ჰამარბერგთან, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში სამართლის სფეროში დაგროვილი მტკივნეული პრობლემები გააცნეს.

მანანა კობახიძე: – სტრასბურში სამი დღის განმავლობაში შეხვედრები გვქონდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ თომას ჰამარბერგთან. ასევე შევხვდით წამების საწინააღმდეგო, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტების წარმომადგენლებს. ჰამარბერგთან, ძირითადად, განიხილებოდა ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობა ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში.

ბოლო ჯგუფურ შეხვედრაზე მე გამოვკვეთე საქართველოს ციხეებში არსებული სიტუაცია და როგორც აღმოჩნდა, პატიმართა რაოდენობის მიხედვით, ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს შორის საქართველო ლიდერობს.

არც ერთ ქვეყანაში ასეთი საგანგაშო მდგომარეობა არ არის. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელი უფლებათა დამცველები ალიევის რეჟიმს ღამის ლუკაშენკოსას ადარებდნენ და ამბობდნენ, რომ აზერბაიჯანს მართავს მაფიოზური კლანი, მათაც კი გაუკვირდათ, რომ პატიმართა რაოდენობა საქართველოში ოფიციალური მონაცემებით, 23 ათასს აღემატება. აღმოჩნდა, რომ მეზობელ აზერბაიჯანში პატიმართა რიცხვი 5 ათასია. ჩვენ თუ პროცენტულად ერთ სულ მოსახლეზე გავთვლით, პატიმართა რიცხვით რუსეთზე წინაც ვართ.

– კიდევ რა თემები წამოსწიეთ შეხვედრების დროს?

– ჩვენ წამოვწიეთ საქართველოს სასამართლოში არსებული მდგომარეობა, პროკურატურის ზეწოლა სასამართლოზე, ასევე დღემდე გამოუძიებელ საქმეებზე.

მე მათ გავაცანი საქართველოს ციხეში გარდაცვლილი პატიმრის, კახაბერ თედლიაშვილის საქმე, ყველას ძალიან გაუკვირდა, რომ ასეთი რამ დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება. სხვათა შორის, თომას ჰამარბერგი იმაზე აკეთებდა აქცენტს, რომ ასეთი საქმეები, ანუ ციხეში ჩადენილი მკვლელობები, უნდა გამოიძიონ დამოუკიდებელმა უწყებებმა და არა „დაინტერესებულმა“ სასჯელაღსრულების სამინისტრომ.

თომას ჰამარბერგი ინფორმირებულია, რომ საქმეებზე, რომლებიც მან თავის ანგარიშში მოიხსენია, რეალურად არაფერი შეცვლილა. ევროკომისარს გადავეცი ვახტანგ მაისაიას წერილი, რომელიც სრულიად უდანაშაულოდ იხდის სასჯელს ჯაშუშობის ბრალდებით. მან მითხრა, რომ დეტალურად განიხილავს ამ ფაქტებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღებს ყველა ზომას, ქვეყანაში ამ ადამიანების უფლებები რომ დაცული იყოს. ასევე წავიღე მამაშვილი დოლიძეების საქმე.

ვლადიმერ დოლიძე მეორედ იხდის სასჯელს დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, როგორც განმიმარტეს, მომავალი წლისთვის ბევრ საქმეზე უნდა ველოდოთ გადაწყვეტილებას, მათ შორის, დოლიძის საქმეზეც.

არა მარტო თომას ჰამარბერგი, ევროკავშირის ყველა იქ მყოფი წარმომადგენელი არაოფიციალურ საუბრებში, გვირჩევდა, უფრო აქტიურად იმუშავეთ ევროკავშირის სტრუქტურებთან, რადგან თქვენი ხელისუფლება ევროკავშირის მიმართვებს უფრო უსმენსო. გვითხრეს ისიც, რომ თქვენი პრობლემების მოგვარებაში გადამწყვეტი როლი თქვენვე გაკისრიათ და, უმთავრესად, თქვენ უნდა მიხედოთ საკუთარ პრობლემებსო.

– რა მდგომარეობაა ევროპის ქვეყნებში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ?

– ჩვენთან შედარებით მათ მსუბუქი პრობლემები აქვთ, რომელთა გადაჭრაც უფრო ადვილია. ევროპელებისთვის ჩვენი პრობლემები სრულიად წარმოუდგენელია – ვერ ხვდებიან, რატომ უნდა სცემონ და აწამონ ბორკილდადებული ადამიანი ციხეში. თუ ჩვენ ვილტვით ევროპისკენ, ბევრი რაღაც უნდა ვისწავლოთ მათგან. ჩვენ ორი ქვეყანა მოვიარეთ – გერმანიიდან საფრანგეთში ავტობუსით ვიმგზავრეთ, სტრასბურში 5 დღე დავყავით და ამ ხნის განმავლობაში იქ არც პოლიციელი, არც პოლიციის მანქანა, პოლიციის შენობაც კი არსად არ მინახავს.

ისეთი რა კრიმინალური და საშიში ერი ვართ, რომ ყველა ნაბიჯზე პოლიციელმა უნდა გვდიოს, თანაც ამდენი ფული რატომ უნდა იხარჯებოდეს პოლიციის შენახვაზე?!

ნანა ფიცხელაური

სერგეი ესენინი

ბინდმა დაჰკრა, დღეს ეყრება ღამე
ყვავილები ეფინება ფერდობს,
საყვარელო, გთხოვ, მიმღერე რამე,
ხაიამი რომ მღეროდა ერთ დროს.
ყვავილები ეფინება ფერდობს.
შირაზს შუქს ფენს მთვარე ნება-ნება,
ვერ ვაშორებ ამ ვარსკვლავეთს თვალებს,
მე არ მომწონს სპარსთა ჩვეულება,–
სახეს ჩადრით რომ უბურვენ ქალებს,
მე არ მომწონს სპარსთა ჩვეულება.
შეიძლება, თუმცა აღარ ამხელს,
მიტომ ხმარობს ჩადრს სპარსელი ქალი,
სურს დაიცვას მზით დაწვისგან სახე,
რომ ზედ დაგვრჩეს მის ნახვაზე თვალი.
მიტომ ხმარობს ჩადრს სპარსელი ქალი.
კარგო, ჩადრი აიხადო უნდა
და გახსოვდეს ეს მარტივი მცნება:
არ იქნება ქვეყანაზე მუდამ
სიცოცხლის და სიყვარულის ნება.
დაიხსომე ეს მარტივი მცნება.
ჩემო კარგო, ნუღარ რიდობ ამდენს,
თვალსაჩინოდ დაანახვე ყველას,
შენი ლოყა რანაირად ელავს.
ნუ იფარებ, მაშ, სახეზე ბადეს,
შენებრ ტურფას ხომ ბუნება ბადებს.
გულს სხვა მხარე მოენატრა უკვე,
ყვავილები ეფინება ფერდობს
მე გიმღერებ ახლა მასზე უკეთ,
ხაიამი რომ მღეროდა ერთ დროს.
ყვავილები ეფინება ფერდობს.

მკოცნე, მკოცნე...

მკოცნე, მკოცნე, სანამ დროა,
სანამ მკერდქვეშ გვიძგერს გული,
ტუჩებიც რომ დამედადოს
ნუ გექნება სიბრალული.
ტოლჩის მსხვრევას სვიანთ შორის
თვალი უნდა გავაყოლოთ,
დაიხსომე, ჩემო კარგო,
ქვეყნად ერთხელ ვცოცხლობთ მხოლოდ.
თვალი ირგვლივ მიმოავლე
ნახე ნისლით სავსე არე,
როგორც ყვავი ოქროსფერი,-
დასტრიალებს მიწას მთვარე.
მკოცნე, რადგან ასე მინდა
უკვდავებას ვინ ისურვებს,
ახლოს ვხედავ მე ჩემს სიკვდილს,
ზემოდან რომ გადმომყურებს.
თუ სიკვდილი ერთ დროს ყველას
სამუდამოდ დაგვაყუჩებს,
მინდა სულის ამოსვლამდე
სულ ვკოცნიდე შენს ტკბილ ტუჩებს.
მაშ, ნურაფრის ნუ გრცხვენია,
მთლად თამამი შეიქენი,
შორთხვის ყოველ შარიშურზე
ჩამესმოდებს: „მე ვარ შენი“.
ტოლჩის ზემოთ მჩატე ქაფსაც
თვალი უნდა გავაყოლოთ.
დალიე და თან იმღერე:
ქვეყნად ერთხელ ვცოცხლობთ მხოლოდ.

თარგმნა:
ფაუსტ ნადარაია

კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს

ჰომეროსის შემდეგი დროინდელი მწერლების (ჰეკატე მილეთელის, ჰელანიკე ლესბოსელის, ჰეროდოტეს, სტრაბონის და სხვების) თხზულებებში ვხვდებით მითითებებს იმის შესახებ, რომ უძველესი საბერძნეთის მკვიდრნი **"ბარბაროსები"** იყვნენ და არა ელინები.

ჰეკატე მილეთელი (ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნე), რომლის სახელითაც ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე ცნობამ ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანების შესახებ, უძველეს აბორიგენულ მოსახლეობად (პელასგებს) ბარბაროსებს მიიჩნევს. ჰეკატეს ეს მითითება შემოგვინახა სტრაბონმა. ჰეკატე მილეთელი პელეპონესის შესახებ ამბობს, რომ ელინებზე უწინ მასზე მოსახლეობდნენ **"ბარბაროსები"**, თავის მხრივ სტრაბონი დასძენს, მართლაც მთელი ელადა **"ბარბაროსთა"** სამკვიდრებელი იყო ძველად. ჰეროდოტე, ეგეოსის რაიონის ავტოქთონებად ასახელებს პელასგებს.

არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ და წინაბერძნული პოეზიის საკითხების დამუშავებამ გამოარკვია, რომ წინაბერძნული მოსახლეობა პელასგებისა და სხვა მონათესავე ტომების სახით მადალი კულტურის შემოქმედი იყო. პელასგური მოდგმის ხალხებმა, უძველეს ხანებში, წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე და სამხრეთ ევროპაში, დიდი კულტურული ცენტრი შექმნეს.

მცირე აზიისა და სამხრეთ ევროპის უძველესი კულტურის შემქნელ მოსახლეობას, ინდო-ევროპელი ბერძნები მოევლინენ როგორც დამპყრობნი. განსაკუთრებით დამარბეველი იყო მომხვდურთა ძალა პელეპონესსა და კრეტაზე, რამაც პელასგების მიგრაცია გამოიწვია. ელინურმა ტომებმა აიძულეს ისინი აყრილიყვნენ ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან და მცირე აზიის სანაპირო ზოლის ზოგიერთი ნაწილიდან, სადაც იონელები დასახლდნენ. განსაკუთრებით ძლიერი იყო პელასგების კვალი, ბერძენ ავტორთა გადმოცემით, თესალიის ველზე, ეგრეთ წოდებულ პელასგიკურ არგოსში.

ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან, რომლებიც თავის მხრივ უძველეს გადმოცემებს ეყრდნობოდნენ, ხშირად ვხვდებით არაპირდაპირ მითითებებს, ზოგჯერ პირდაპირ მნიშვნელობითაც, პელასგების და კავკასიურ, კოლხურ ტომების იდენტურობის შესახებ, პელასგი თესალიელები, მცირე აზიელი ტროელები, კუნძულ ლემნოსის მკვიდრი პელასგი სინტიები, ფესკების ტომიც და სხვებიც კოლხთა მონათესავე ტომებადაა მიჩნეული.

ძველ ბერძნულ ეპოსში, როგორც ჩანს, არგონავტთა თქმულების უძველესი კორინთული ვერსია იყო გადმოცემული. დაცული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ამ ვერსიაში ასახული იყო კოლხური წარმომავლობის ტომთა მჭიდრო კავშირი პელასგურ სამყაროსთან და ამ ტომთა განსახლების უძველესი სურათი: კიკლიკურ პოემაში **"ექალიის აღება"** კოლხეთის მეფის აიეტის ასული მედეა, კორინთოსთან მჭიდროდ დაკავშირებული სახეა. კორინთო – ანუ ეფირე-ევბეა კი პელასგების ოდინდელი სამკვიდრებელია. ევბეას ერქვა მაკრისი, საიდანაც მაკრონი შერქმევია პელასგურ ტომს. შემთხვევითი როდია, რომ ევმელოსი, სიმონიდე და სხვა ავტორებიც კორინთოს პელასგთა ღვთაების – ჰელიოსის ძის კოლხთა გამგებლის აიეტის უძველეს სამფლობელოდ ასახელებდნენ. ლიკოფრონის ცნობით აიეტი კორინთოს, ესე იგი კუნძულ ევბეას და მთლიანად კოლხეთის გამგებელია. მისი ასული მედეა კორინთოში ჩადის როგორც მამის სამფლობელოში, ერთხანს კიდევაც განაგებს მას იაზონთან ერთად, სანამ ელინები შვილებს არ დაუხოცავენ და იქედან არ გააძევებენ.

კორინთო-ეფირე აიეტის წილხვედრი მხარე იყო, რომელიც ჰომეროსის პოემიდანაც ჩანს. **"ოდისეაში"** მოხსენიებულია ეფირეს (კორინთოს) პატრონი ილოსი მერმეროეს ძე, რომელთანაც ოდისევსი სტუმრად იყო და სთხოვდა ისრის წვეროზე წასასმელ **"მამაცთა შემმუსვრელ შხამს"**. აქ მოხსენიებული ილოსი მედეას შვილისშვილად უნდა ვიგულოთ. გადმოცემის თანახმად მერმეროსი მედეას ვაჟს ერქვა. ილოსი რომ მედეას შვილისშვილი იყო, ამას მხარს უჭერს შემდეგი გარემოებაც – ილოსი გრძნეულ წამალთა მკეთებელია. ესე იგი ამ ხელობის მიმდევარია, რომლითაც სახელგანთქმული იყო მედეა.

მაკრონები, სხვაგვარად, მაკრო-კეფალების, ანუ გრძელთავიანების სახელით მოიხსენიებიან. მაკრონების ძველი სახელი მაკრისელები ან მაკრალები ყოფილა, რაც მ-აგრ-ალ-ი-ს შესატყვისისა და ბერძნული მორფოლოგიის კვალობაზე არის გაფორმებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მაკრონი მეგრელთა სარომო სახელი იყო. მაკრონებად იწოდებოდნენ აგრეთვე სანები, უფრო მდაბიურად ჭანები (ლაზები). მაკრონები ან მაკრისელები ცხოვრობდნენ კუნძულ ევბეაზე. მაკრონების შესახებ საყურადღებო ეთნიკური გეოგრაფიული ხასიათის ცნობები მოიპოვება ანტიკური ხანის მწერლობათა თხზულებებში. ეს ცნობები საშუალებას გვაძლევს მაკრონთა ტომის განსახლების, სხვა კოლხურ ტომებთან მათი ურთიერთობების და ზნეჩვეულებების შესახებ ვიმსჯელოთ. ბერძნული წყაროების მიხედვით მაკრონები ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებაში შემავალი ერთ-ერთი კოლხური ტომია.

ევსტათი თესალონიკელი დიონისეს განმარტებაში აღნიშნავს, მაკრონებს პონტოელ ტომს, მცხოვრებს ბექირების სამხრეთით, უწოდებენ სანებს, უფრო მდაბიურად ჭანებს. სანების ქვეყანასაც ჭანიკეს ეძახიან, ისინი, ვინც მდაბიურ გამოთქმას ხმარობს. დიონისეს ქალკიდელი მაკრონებზე ამბობს, რომ ეწოდებათ მაკრონები, ვინაიდან ევბეათაგან არიან გადმოსახლებულნიო. ზოგიერთები კი ამბობენ, რომ ისინი იწოდებიან მაკრონებად იმიტომ, რომ მათში ბევრზე ბევრია გრძელთავიანები, როგორც სპარსეთში არწივის ცხვირიანები. ჰეროდოტემ მეორე წიგნში, მაკრონების ლაშქარი პელასგებად მოიხსენია.

პოემა **"არგონავტიკა"**-ში როდოსელმა მაკრონების ლაშქარი პელასგებად მოიხსენია, ვინაიდან ისინი ევბეადან არიან გადმოსახლებულნი. ევბეა კი მდებარეობს მახლობლად პელეპონესისა, რომელსაც ძველად პელასგისი ერქვა. ზემოთ მოტანილი ცნობებიდან გამომდინარეობს შემდეგ:

მაკრონები, იგივე მაკრისელები ან მაკრელები არიან;

მაკრონები-მაკრისელები პელასგური ტომია, რომელსაც უძველეს ხანებში, არგონავტების ავტორის მიხედვით, პელეპონესის მახლობლად მდებარე კუნძულ ევბეაზე უცხოვრიათ;

მაკრონთა ოდინდელ სამკვიდრებელს ევბეას ერქვა მაკრისი;

ევბეას ძველი სახელისაგან მაკრისისაგან შეერქვა სახელი მაკრონების ტომს;

ევბეადან მაკრონები მცირე აზიაში გადმოსახლებულან, აპოლონიოს როდოსელის ხანაში, როგორც ეს არგონავტების მარშრუტიდან ჩანს. მაკრონების ადგილ-სამყოფელი ტრაპეზუნის სანახებით განისაზღვრება.

კუნძული ევბეა, არა მარტო კოლხი მაკრონების ძველი საცხოვრისი იყო, არამედ ამ კუნძულზე მადნეულის დამუშავებით სახელგანთქმულ ქართველურ ტომს – ხალიბებს უცხოვრიათ. ხალიბები ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ლტოლვილი პელასგები არიან. ვერგილიუსის **"გეორგიკების"** განმარტებაში ნათქვამია, ხალიბების ტომს პონტოში, რომელმაც რკინა აღმოაჩინა, სახელი ეწოდათ ევბეას სოფლიდან, რადგანაც აქეთ გადმოსახლდნენ. ხალიბებიც მაკრონებთან ერტად ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებაში შემავალი ტომი იყო. აპოლონიოს როდოსელის და ანტიკური ხანის სხვა ავტორების მიერ წარმოდგენილი სურატი გვიჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა დასავლურ-ქართული წარმომავლობის, მათ შორის მეგრულ-ჭანური ტომების ოდინდელი სამკვიდრებელი ვრცელი ტერიტორიის თანდათანობით დავიწროება.

პროფესორ აკაკი ურუშაძის მიერ წარმოებული კვლევა ზემოთ განხილულ საკითხებზე, გვიმტკიცებს იმას, რომ კოლხურ ტომებს: მეგრელებს და ჭანებს (ლაზებს) სხვა პელასგურ ტომებთან ერთად ძვ. წელთაღ. მეორე ათასწლეულში ეგეოსის ზღვის კუნძულებზე უცხოვრიათ და დასაბამიდან მეგრელებისა და ჭანების თავდაპირველი სამშობლო კუნძული ევბეა ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, ინდო-ევროპული ბერძნები თავს დასხმია კოლხურ ტომებს, დაურბევიათ ისინი და დამარცხებულნი იძულებული გაუხდიათ აყრილიყვნენ თავიანთი ოდინდელი სამშობლოდან და გადასახლებულიყვნენ სხვა ტერიტორიაზე. დაუსახლებელი და მოხერხებული ადგილი უპოვიათ კოლხებს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე და, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ამ ადგილზე დამკვიდრებულან და დაუდგიათ საბოლოო ბინა.

ამბროსი კილასონია

(გაგრძელება იქნება)

გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნისა და ლიტერატორის, ბატონ გივი ბოჯგუას მიერ შედგენილი წიგნიდან "მეგრული ხალხური პოეზია – 100 ლექსი".

ქორძირუნქინი, გური მაჭუ

ქორძირუნქინი, გური მაჭუ,
ვარძირუნქინი – უფურაში.
შურ(ი) დო გურით ვიჭუუქი,
მუდა დრაშა ვორდა თაში?
ჩქიმი გური სქანწკუმა რე,
სქანი გური შხვაწკუმა რე,
ჩქიმ დო სქანი გოჯოგაფა
ნტერიშ(ი) აკუნაწყ(უ)ა რე.
ჩქიმი გური თეში იჭუ,
ობედი ვაჭვე საკვეცის,
ჩქიმი გური თეშ მიკობუ,
მუჭოთი ჩხომი ანკესის.
ბედინერო დუს ვორწყედი,
თურმე მიჭოფუნო ჭირი,
სქანი ნათხორა სამარეს
კისერიშა გობძუ კირი.
მეურქია, შიივტყვი დო
მუშ იმედის დომიჩინანქ,
თი ზომაშა ქომიყორქი,
გურსუ ჭლექის გომირჩქინანქ.
სერით ლურსუ ვამარძენს,
სიზიმარი მაფოცეწნსი,
ჩქიმი დო სქანი ყოროფა
ღურადღაშახ ვაკოცენსი.
ხეს მიკებუნი – ვარდი რე,
გურსუ მიღუნი – დარდი რე,
ჩქიმ დო სქანი ართო რინი,
ნანა, მუჭომი მარდი რე!

რომ დაგინახავ, გული მტკივა

რომ დაგინახავ, გული მტკივა
რომ არ გნახავ – უარესი.
სულითა და გულით ვიწვი,
სანამ (რა დღემდე) ვიყო ასე?
ჩემი გული შენთანაა,
ჩემი და შენი შეძულება
მტრის მოწყობილია.
ჩემი გული ისე იწვის,
აბედს ვერ დაწვავს კვესი,
ჩემი გული ისე ჰკიდია,
როგორც თევზი ანკესზე.
ბედნმიერად თავს ვთვლიდი (ვხედავდი),
თურმე დამიჭერია ჭირი,
შენს მიერ გათხრილ საფლავში
ყელამდე მაკრავს კირი.
მოვდივარო, შევიტყვე და
რა იმედს დამიბარებ
იმ ზომამდე მიყვარხარ,
გულში ჭლექს გამიჩენ..
ღამე ძილს არ მაძლევს,
სიზმარი მაკრთობს,
ჩემი და შენი სიყვარული
სიკვდილამდე არ დაირღვევა.
ხელში რომ მიჭირავს – ვარდია,
გულში რომ მაქვს – დარდია,
ჩემი და შენი ერთად ყოფნა,
დედა, რა მადლია!

პუტინი პლანეტის ყველაზე გავლენიანთა შორის მეორე ადგილზეა

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ჟურნალ **„ფორბსის"** მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების რეიტინგში ლიდერობს. რეიტინგში მეორე ადგილი რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა დაიკავა. შარშანდელ რეიტინგში პუტინი მეოთხე ადგილზე იყო. გავლენიანთა რეიტინგში სულ 70 პიროვნებაა.

როგორც ჟურნალი წერს, ობამას წყალობით, შეერთებული შტატები დღემდე მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოა. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებები ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ობამას გავლენა **„ალ-ქაიდას"** ლიდერ ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციამ და ლიბიაში ნატოს ოპერაციის წარმატებამ გაზარდა.

ვლადიმერ პუტინი, რომელიც რუსეთის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იღებს მონაწილეობას, **„ფორბსის"** რეიტინგში მეორე ადგილზეა, ხოლო რუსეთის მოქმედი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი – 59-ე ადგილზე.

მესამე ადგილი შარშანდელი რეიტინგის ლიდერმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხუ ძინტაომ დაიკავა. შარშან ის რეიტინგის პირველ ადგილზე იყო. რეიტინგის ავტორებმა ხუ ძინტაოს დაქვეითება იმით ახსნეს, რომ პოლიტიკოსი მალე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობას დატოვებს. როგორც მოსალოდნელია, მისი მემკვიდრე გახდება სი ძინპინი, რომელიც ამჟამად რეიტინგში 69-ე ადგილი უკავია.

მეოთხე ადგილი გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს ხვდა წილად, ხოლო ლიდერთა ხუთეულს მაიკროსოფტის დამფუძნებელი ბილ გეიტსი აგვირგვინებს.

რეიტინგში ყველაზე ახალგაზრდა სოციალური ქსელი **„ფეისბუქის"** დამფუძნებელი, 27 წლის მარკ ცუკერბერგია (მეათე ადგილი). შარშან ანალოგიურ რეიტინგში მან მე-40 ადგილი დაიკავა.

ამგვარად, ერთი წლის განმავლობაში დაწინაურების მხრივ ცუკერბერგმა რეიტინგის დანარჩენ ყველა წარმომადგენელს გაუსწრო.

ქართული სიმღერისა არ იყოს: **"შენ კი სადა ხარ, ჩემო მიშიკო"?**

გაზეთ "ილორის" მთავარ რედაქტორს,

ბატონ როლანდ ჯალაღანიას

ბატონო როლანდ!

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის წარმომადგენლობის, აგრეთვე, ჩვენი მოძრაობის მხარდამჭერებისა და გაზეთ "ილორის" მკითხველი საზოგადოების სახელით, მაქვს პატივი გულითადად მოგილოცოთ 70 წლის იუბილე!

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს!

კვლავაც ასე ამაყად, ჩვეული შემართებით და უანგაროდ გეღვაწოთ მამულის საკეთილდღეოდ. უფალმა მოგასწროთ მამულის აღორძინებას!

პატივისცემით,

ზურაბ კვარაცხელია,

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს"

ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი

იერი
ეროვნული ბიბლიოთეკა

“რამკიანი” პრეზიდენტი

შემოდგომაზე **“სპეციალურმა რეპორტაჟმა”** საზეიმოდ გახსნა სატელევიზიო სეზონი და სხვა მრავალ **“იმედის გმირს”** კიდევ ერთი – პრეზიდენტი სააკაშვილიც მიამატა. შალვა რამიშვილისგან განსხვავებით, ლაშა ხარაზიშვილი პრეზიდენტის კარ-მიდამოში უპრობლემოდ შეუშვეს,– არც კამერა წაურთმევიათ და არც მიკროფონი, თუმცა პრობლემამ მაინც იჩინა თავი: სახლი მხოლოდ ერთი რაკურსით და ისიც მოჭრილად იყო ნაჩვენები. როგორია მთლიანობაში ნაგებობა, ამას, ალბათ, სიტყვიერად თუ მოყვებიან გადამღები ჯგუფის წევრები, თუმცა ამას შალვა რამიშვილიც მოახერხებს.

პროფესიის ანბანია, რომ ნებისმიერი რესპონდენტი (მით უფრო – პრეზიდენტი) ვიზუალურად საინტერესო გარემოში უნდა ჩაწერო, მაგრამ, როცა კადრის ერთ ნახევარში ნახევარი შენობაა, ხოლო მეორეში – ერთფეროვანი ვენახის რიგები, იძულებული ხდები, რაღაც მოიფიქრო. **“იმედელებმაც”**, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, კადრს დამუქებული ჩარჩო გაუკეთეს და საქართველოს პრეზიდენტი **“რამკიან პრეზიდენტად”** აქციეს.

თუმცა მარტო ჩარჩომ არ უშველა და რეჟისორმა სპეცეფექტებსა და **“აღმშენებლობითი”** ხასიათის ჭრებს მიმართა; კომბაინიდან წვიმასავით წამოსული ხორბალი, მშენებარე და აშენებული ობიექტები, ჰესები და წყალსაცავები, მთავრობის სხდომა ვერტმფრენში, მოსავლის აღება, ანაკლია, საირმე, მესტია... ამგვარი იყო 80-იანი წლების სატელევიზიო ესთეტიკა, სწორედ ასე იქმნებოდა ქვეყნის წინსვლის სურათი საბჭოთა ტელევიზიის ეკრანებზე. **“იმედმა”** ისევე ამოიღო ნაფტალინიდან ეს ტელეხერხები, როგორც მმართველმა პარტიამ – ლოზუნგი **“გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია”!**

“კომუნისტებს არაფერი გაუკეთებიათ”!

სააკაშვილმა გაიხსენა კომუნისტები და მათი 70-წლიანი რეჟიმი, **“ნაცმოძრაობის”** 8-წლიანი მოდვაწეობისგან განსხვავებით, მკაცრად შეაფასა: **“კომუნისტებს არაფერი გაუკეთებიათ, რასაც აკეთებდნენ, თავისთვის აკეთებდნენ. ერთი პიცუნდა გააკეთეს და ისიც იმიტომ, რომ მოსკოვთან ახლოა”!** 1800 კილომეტრი თუ ახლოა, 1645 კილომეტრი შორია? არადა, ბიჭვინთამდე სწორედ 1800 კილომეტრია, თბილისამდე კი – 1645. თუმცა ეს ყველაფერი პირობითია, რადგან თბილისიდან ბიჭვინთამდე დღეს გაცილებით შორია, ვიდრე თბილისიდან – შიდა ქართლში მდგომ რუსულ ჯარამდე.

სააკაშვილის გეოგრაფია ყოველთვის პოლიტიკურ ქვეტექსტზე დგას და ამ წვრილმანზე ნუ შევედავებით. ამ ტირადაში უფრო სხვა რამ არის საინტერესო: მსხვილი პრივატიზაცია, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება ინვესტიციების მოზიდვის სურვილით ხსნის, სწორედ იმ ობიექტების გაყიდვაა, რომელიც კომუნისტებს **“არ აუშენებიათ”.**

“ყველგან ხალხი ფუსფუსებს”

ხშირად გამეორებული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ გზები და ინფრასტრუქტურა სწორედ უმუშევრობის დაძლევას ემსახურება, სააკაშვილმა რამდენიმეჯერ გაამყარა ფრაზით **“ყველგან ხალხი ფუსფუსებს”**!

“იმედის” თანამშრომლებს უნდა შევახსენოთ, რომ ასეთ შემთხვევაში ვენახში ხალხს უშვებდნენ და **“აფუსფუსებდნენ”** იმ ეპოქაში, რომელსაც **“უძრაობის ხანა”** ერქვა და რომლის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო პროგრამასაც სულ უფრო ემსგავსება ნაციონალური არხების ტელეპროდუქცია. ხოლო როცა პრეზიდენტის ზურგს უკან კარგად მოვლილი, მაგრამ უკაცრიელი ვენახია, ფრაზა **“ყველგან ხალხი ფუსფუსებს”** მთელ დანარჩენ ინტერვიუსაც არადამაჯერებელს ხდის.

აღმშენებლობის მაგალითების ჩამოთვლისას ლაშა ხარაზიშვილი **“წაეხმარა”** კიდეც პრეზიდენტს: **“პროგრესია, სერიოზული”**! მანაც მიიღო ეს კომპლიმენტი და საკუთარი ხალხი გაიხსენა: **“მე ვიცი დედა, რომელსაც მთელი ზაფხული თბილისში ჰყავდა ორი შვილი იმიტომ, რომ საშუალება არ ჰქონდა, სადმე გაეყვანა. ახლა ის რომ ტელევიზორში უყურებს, როგორ ვარეკლამებ მესტიას, თხილამურებზე ვსრიალებ, მერე ანაკლიაში ვყვინთავ (უფრო სწორად,– ბათუმში), ის ღიზიანდება, რა თქმა უნდა”**. ამ ინტერვიუში სააკაშვილმა, ყველასთვის მოულოდნელად, ბევრი ილაპარაკა იმაზე, რომ ხალხს უჭირს. ნუგეშის მომტანი კი ის არის, რომ **“სახელმწიფომ ეს იცის”.**

“ბევრი სამართლიანი საყვედური მოვისმინე”

ადამიანურად, დაღლილი სახით, მან შეცდომებსა და გადაცდომებზეც ილაპარაკა. საგადასახადოს **“გოგოებსა და ბიჭებს”** ბიზნესზე **“მიწოლა”** დაუწუნა, საკუთარ თავს კი – ხისტი გამონათქვამები. **“ვადიარებ, რომ გამონათქვამები ხანდახან ზედმეტი მომდის, მერე ვნანობ, რომ ჯობდა, არ მეთქვა, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ, ჯერ ერთი, ყველას, მათ შორის მეც, გვაქვს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, პატივი ვცეთ ყველას აზრს”** (საინფორმაციო სააგენტოებმა ამ ინტერვიუდან, ბეჭდური სახით გავრცელებისას, მორცხვად ამოიღეს ის, რაც სააკაშვილმა დაამატა: **“თუმცა ჩემი სიტყვის თავისუფლება უფრო შეზღუდულია, რა თქმა უნდა”**. რაღა მაინცდამაინც იმას ამოიღებენ ხოლმე, რაც სიმართლეა?).

შემდეგი სიმართლე ასე გამოიყურება: **“ზედმეტად გაგვიტაცა რეიტინგებმა. ყველა თავს ვიწონებთ, რომ საქართველო მსოფლიოს პირველი რეფორმატორია, კორუფციის დაბალი დონეა. ეს მართალია, მაგრამ ერთია, ქაღალდზე რა წერია, და მეორე,– რაც ხდება რეალობაში.**

...ჯარიმები იყო უსამართლო, სახელმწიფო კი – ჩასაფრებულის პოზიციაში”, თუმცა მან იქვე დასძინა, რომ ახალი ეკონომიკური კურსის შედეგად ვითარება შეიცვალა.

“ჩემი მთავარი ელექტორატი ბავშვებია”

სააკაშვილმა ისიც გაიხსენა, რომ მომავალ პარლამენტში დეპუტატების რაოდენობა სწორედ ოპოზიციამ მოითხოვა. **“ბევრ რაღაცას არ ვეთანხმები იმ მოლაპარაკებებში, რომლებიც ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის შედგა. მთელი ოპოზიცია ითხოვდა დეპუტატების რაოდენობის გაზრდას და მე არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ბევრი კამათის შემდეგ გადავდგით ეს ნაბიჯი. მერე ამ ოპოზიციის ნაწილი გამოხტა და თქვა, რომ ეს რეფერენდუმის შედეგებს ეწინააღმდეგებოდა. სინდისიც ხომ კარგი საქონელია, თუ გინდა თანხმობა, რაღაცაში შევთანხმდეთ. ჩემი ინიციატივა იყო პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირება, მაგრამ ასევე ხალხის დაკვეთაა, რომ ჩვენ რაღაცაზე შევთანხმდეთ და ეს ხალხი ითხოვს ოპოზიციის პარლამენტში მოხვედრას. თუ გაიზრდება დეპუტატების რაოდენობა, მეტი შანსი აქვს ოპოზიციას პარლამენტში მოხვედრის”.**

აქ სააკაშვილმა მთელი ოპოზიცია გააშიშვლა და ის, რასაც ხალხი გუმანით გრძნობდა, ხელისგულზე გადაუშალა. ერთის მხრივ, იგი ხალხის მხარესაა და არ ეთანხმება დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას, ხოლო მეორეს მხრივ, ისევ ხალხის მხარესაა და ყაბულს არის, რაკი **“ხალხი ითხოვს ოპოზიციის პარლამენტში მოხვედრას”.** მერედა, თუ ითხოვს, შეუშვით, ამას რად უნდა პარლამენტარების რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდა? თუმცა ყველაზე გონებამახვილური პასაჟი მაინც ის ხუმრობა იყო, რომელიც ხარაზიშვილმა სერიოზულად არ აღიქვა:

“მე პირადად ყველაზე პოპულარული ვარ ბავშვებში. ჩემი მთავარი ელექტორატი ბავშვებია. თუ გამიჩნდა შანსი, რომ პარლამენტში გავიტანო კანონი, აუცილებლად სამი-ოთხი წლის ბავშვებს უნდა მივცეთ საარჩევნო უფლება. მაშინ სულ “ნაციონალური მოძრაობა” გაიმარჯვებს. ვხუმრობ, ამას ნამდვილად არ ვაპირებ”.

არადა, ეს სულაც არ არის ხუმრობა. ჯერ ერთი, ეს საკუთარი ამომრჩეველის შეურაცხყოფაა, რადგან, მიუხედავად მოწიფული ასაკისა, ოფიციალური მონაცემებით, ისინი ზუსტად ისე აძლევენ ხმას, როგორც სამი-ოთხი წლის ბავშვები. და მეორეც: ეს ბავშვები გაიზრდებიან და 2026 წლისთვის ხმის უფლებას ისედაც შეიძენენ. მთელი ეს ხუმრობა სინამდვილეში იმაზე მეტყველებს, რომ სააკაშვილი არათუ 2013 წელს, არამედ 2026 წლის შემდეგაც არ აპირებს ძალაუფლების დათმობას. თუ იმასაც გაიხსენებთ, რომ ამას წინათ მან 2025 წლის გეგმებზე ილაპარაკა, ნათელია, რომ იგი იმედებს სწორედ დღევანდელ ბავშვებზე ამყარებს.

“სპეციალური რეპორტაჟის” სატელევიზიო სეზონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სააკაშვილმა უკვე გახსნა წინასაარჩევნო მარათონი. ხალხზე ზრუნვით დაღლილი, თმაშეკვერცხლილი, სახელმწიფოს მართვაში დაბრძენებული სააკაშვილი სულ სხვა გზავნილს სთავაზობს ხალხს: **“დიახ, იყო შეცდომები, გადაცდომები, მეც ბევრჯერ მინანია რაღაც, ყველაფერი არც ისე კარგადაა, მაგრამ წინსვლა გვაქვს** (იმდენად, რომ ელექტროენერგიას რუსეთზე ვყიდით, ოღონს რესტორნებში რუსულ სიმღერებს ვკრძალავთ. – ნ. დ.). **ოპოზიცია კი ბევრად უფრო უარესია და ეს პატარა ბავშვებსაც ესმით, ამიტომ სხვა არჩევანი ქართველ ხალხს არ აქვს.”**

“იმედის” ჟურნალისტებისთვის ნაგვიანევია იმის ახსნა, რომ რეპორტაჟი ინტერვიუ არ არის. რეპორტაჟის დანიშნულებაა, რომ ოპერატიულად და დამაჯერებლად მოგვითხროს კონკრეტული მოვლენის შესახებ და მაყურებელი ამ მოვლენის მოწმედ, თანამონაწილედ აქციოს. სააკაშვილის ინტერვიუ არც მოვლენაა და არც ამბავი. ის მხოლოდ ინტერვიუა, უკეთეს შემთხვევაში, **“აქტუალური ინტერვიუ”**. მისი თანამონაწილე კი ჩვენ ვერ გავხდებით, ისევე, როგორც მის მიერ ბევრჯერ მონათხრობი მიღწევებისა და წარმატებების.

ამერიკაში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამგზავრების წინ ჩაწერილი ინტერვიუს პათოსი ეთერში გასვლის დღესვე გააქარწყლა რუსეთის მმართველი პარტიის ყრილობამ, რომელზეც მედვედევმა პუტინის პრეზიდენტობას დაუჭირა მხარი, ხოლო პუტინმა მას საპარლამენტო სიის პირველი ნომერი და პრემიერ-მინისტრობა შესთავაზა. ყველა, ვინც მათ დაპირისპირებაზე აპირებდა ხელის მოთბობას და მეტიც, **“რუსეთის ჩამოშლას”** წინასწარმეტყველებდა, თითქმის შოკში აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილის მეგობარ მაკკეინს ეს არ დაუმალავს.

ამიტომ არ შეიძლება ერთი კვირის წინ ჩაწერილ ინტერვიუს **“სპეციალური რეპორტაჟი”** დაარქვა და სწორედ იმ დღეს გაუშვა ეთერში, როცა ერთსა და იმავე დროს – მტერი და ბიზნეს-პარტნიორი ქვეყნის მმართველი პარტია წინასაარჩევნო განაცხადს აკეთებს. დღეს უკვე ცხადია, რომ სააკაშვილს თავისი ტაქტიკის რადიკალურად შეცვლა მოუწევს, მაგრამ მან ხომ ეს ერთი კვირის წინ არ იცოდა!

ნანა დევდარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერიდე ეშმაკს

სახლიდან გასულ კაცზედა, ამბობენ, რომ წასულია,
ვინ როგორ უნდა იცოდეს, ფეხზეა თუ დასმულია,
იქნებ ჯაბნიან, გატეხეს, უჭირს და ჩამუხლულია,
ან ორ ზღვას შორის საცდელად ხერხემლით გაქაჩულია.

ნათლად რომ რაცხავ სინათლეს, იქნებ ის ღამეულია,
შენ გზაი სწორი გგონია, იქნებ და იქ უფსკრულია,
ხვეულ-ხვეული ბილიკნი, ლამაზ-ლამაზად წნულია,
როგორ გაუგებ ეშმაკსა, სად რა აქვს დამარხულია.

ხელს ვერ წაავლებ, ვერ იჭერ, თითქოსდა გასაპნულია,
თავს უპატრონოდ გაჩვენებს, ვითომდა დაკარგულია,
გიყურებს, მხსნელად მოსულსა, სახე აქვს გაბადრულია,
თვითონ კი ფიქრობს, ზეიმობს, – “მოგსვლია დასასრულია”.

როცა ბოროტი მსხვერპლს იჭერს, ლხინი აქვს გამართულია,
მოცომილი აქვს საცხობად, საძღომად ქერ-ბურღულია,
თითქოსდა მისგან სიკეთე ბლომად არს დაფანტულია,
ცდილობს აჩვენოა, ამქვეყნად არვინ ჰყავს გაკაწრულია.

იარაღად აქვს სისწრაფე, უფრორე ვით შურდულია,
ჩამკეტად საშინელება, დამჭერი ვით ურდულია,
სხვისი ტანჯვით და წამებით ერთობა, სულგართულია,
ბედნიერებას მაშინ გრძნობს, როცა სხვა დაჟამულია.

ეშმაკი უფრო მას სდევნის, ვინც იცის, ღვთის დასმულია,
ვინც კი წმინდაა, უებრო, უმანკო ღვთის ასულია,
ვინც სიმდიდრესა უარყოფს, თუნდ იყოს მეფისწულია,
ამას კი ვერსად იშოვი, თუ არ ხარ მიმადლულია.

შეხედავ, კაცის სახე აქვს, ისე კი გადაცმულია,
გიცინის, თავს იკატუნებს, სახე აქვს გადასულია,
თავს მოგაჩვენებს სანთლად და, ისე კი გასანთლულია,
ცდილობს ედემის მეფობას ჯოჯოხეთს ჩაკარგულია.

რა მოხდა, ხმა რომ არ მესმის, ნეტავი რა დუმილია,
ყველა გზა აქეთ მავალი, რა ხვანჯით დაბურდულია?
ამ საღვთო ოკეანეში ვით მოხვდა ეს კუნძულია,
ყოველი თვალთმაქცობაა, ეშმაკის წარმართულია.

ახარებს კაცისა სახე, წამებით დაღარულია,
სული რომ გოდებს, სხეული, უსაზღვროდ წამებულია.
ეს მინდორ-ველი გულდაგულ მისგან არ დანაღმულია,
მიტომაც თვალნი უბრწყინავს, სახე აქვს გაბადრულია.

ეშმაკს აფურთხე, არ შედრკე – ნაბიჯი გადადგმულია.
წუთი – ცხოვრების სოფელი, წამებით გავსებულია,
ღმერთს რაი დაემალების, უფლისგან ასე თქმულია, –
გაცხადდეს რაი ყოველი, არ არს რა დაფარულია.

ჯემალ ჯიქია

“გალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”

საქართველოს პათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ხსოვრება და მოღვაწეობა. ჟუბლიკატნიკ ხორხილდებან საქართველოს საპატრიარქოს ჯყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.

„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.



ყაზანში სწავლისას თანამემამულე ახალგაზრდებთან ჰქონდა ურთიერთობა, საქართველოში მიმდინარე ამბების გაგება უადვილებდა ყოფას. კვირის განმავლობაში რომელიმე მათგანი ბარათს იღებდა, ჟურნალ-გაზეთებს ერთად ჩაჰკირკიტებდნენ... მჯელობდნენ ერის საჭირბოროტო საკითხებზე, პირად ცხოვრებაზე, სწავლის პრობლემებზე.

უსტ-მედვედიცაში ყოველივე ამისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ერთფეროვანი ადგილობრივი ყოფა მოსაწყენი აღმოჩნდა. ხშირად იმეორებდა **„შეუძლებელია წუთისოფელში ყველაფერი გქონდეს, უფალი არასდროს მიატოვებს ადამიანს. რაც კი შეიქმნა უფლისაგან შეიქმნა, მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვას იგი“.** იოანეს სახარების ეს წმინდა სტრიქონები აძლებინებდა. თუმცა დათმენას მისთვის არასდროს უღალატია.

გვიან ღამემდე ლოცულობდა და კითხულობდა. ფიქრობდა იმაზე, რომ ყოველმა ადამიანმა განსაკუთრებით ახალგაზრდობაში უნდა შექმნას თავისი ეპიტაფია და ცხოვრების დარჩენილი წლები მისი ღირსი და შემსრულებელი იყოს.

დილით და სადამოს ლოცვებს ქართულად წარმოთქვამდა. ჰქონდა დიდი ძალა რწმენისა და იმედი უფლის მფარველობისა.

რწმენა საღი და ლოგიკური, ყოველ საქმეში გამარჯვების საწინდარია. იობის წიგნში ლაპარაკია მთების დაძვრაზე. ისიც ეუბნება მოციქულებს **„უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაი, ვითარცა მარცვალი მდოგვისაი, ჰრქვათ მთასა ამას: მიიღვაწე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარა შეუძლებელ იყოს თქვენ მიერ“** (მათე 17. 20).

მაცხოვარმა მართლაც გადმოხედა ამბროსის. გარდაცვლილი მასწავლებლის სანაცვლოდ მოვიდა ორმოცდახუთიოდე წლის ლათინური ენის მცოდნე ნოვიკოვი, რომელიც საქართველოში ნამყოფი აღმოჩნდა.

ოქტომბრის სუსხიანი დღეები იდგა. ამბროსი ნოვოჩერკასკში გაემგზავრა სასწავლებლის საქმეებთან დაკავშირებით, სასწავლებელში მის არყოფნაში მოსულიყო ქართველი ახალგაზრდა, რომელსაც სწავლის გაგრძელება სურდა, მაგრამ ჩარიცხვა უკვე დაგვიანებული იყო, რის გამოც უარი უთქვიათ და ურჩევიათ ორიოლში წასულიყო.

გაიგო ამის შესახებ ამბროსიმ თუ არა, იცოდა, რომ ორიოლში იმყოფებოდა ეპისკოპოსი კირიონი, მას მეგობრული ბარათი მისწერა:

„ყოვლად უსამღვდელოესო მწყემსმთავარო!

სასწავლებლის საქმის გამო, შემიხდა ნოვოჩერკასკში ჩამოსვლა. მოვინდომე თქვენთან წამოსვლა, მაგრამ დაბრკოლება დიდი დამხვდა. ჩემს სურვილს არ უთანაგრძნო არქიეპისკოპოსმა და არც მომცა ნება. კარგი იყო ერთი კვირით მაინც თქვენთან გამოსეირნება, გულით და სულით მსურდა თქვენი ნახვა. მაგრამ რა გაეწყობა. სხვა დროისათვის იყოს „უსტმედვედიცა“ ისეთი მიყრუებული და რკინის გზის მოშორებული ადგილია, რომ ძნელია ზამთრობით აქედან წასვლის გაბედვა. მეტადრე თქვენ სიცივე-ყინვებს არაჩვეულისთვის. ამნაირი მიყრუებულ ადგილას გადამაგდეს, მაგრამ ჩემი ბრალია, რათ მინდოდა ეს ბერობა. ისეთ გარემოებაში ჩამაგდეს, რომ შვილებსაც ვერ მივხედავ. თუმცა ისევ მოთმინება. აქ ხმა დაუგდიათ ჩემი რექტორად გადაყვანაზე. ეს რასაკვირველია ჭორებია. მაგრამ თუნდაც მართალი იყოს, ახლანდელ დროში რექტორობა არ არის სახარბიელო. ახლა სხვა ნიავი ქრის სემინარიაში. ამ დღეებში აქ ჩამოსულა ერთი სემინარიელი გვარად გაწერელია, მაგრამ ცოტა დაგვიანებია და ამ მიზეზით არ მიუღიათ.

როგორც დღეს მითხრეს, ახლა თქვენთან გამომგზავრებულა და იმედია აღმოუჩენთ შემწეობას. თუ მოახერხებთ და მისცემთ სწავლის გაგრძელების საშუალებას სემინარიაში შესვლა-მიღებით. მეც ჩემის მხრით დიდი მადლობელი ვიქნები. თუმცა თვითონ მას ვერ ვიცნობ, მაგრამ სწავლისთვის აქეთ გადმოიხვეწოს და აქაც ვერ მიაღწიოს მიზანს ცოდვაა. მამამისს მე კარგად ვიცნობ, იმედი მაქვს თქვენი მწყემსმთავრული და მეტადრე ქართველური გული არ დატოვებს უშემწეოდ... ბოდიშს ვიხდი თქვენს მეუფებასთან, რომ ტფილისში მეორედ ვერ გნახეთ. იმ დღეს გვიანობამდე არ მობრძანებულხართ ბინაზე. და მეორე დღეს მოცდა არ შემეძლო, რადგან შვილები გზაზე მყავდა დატოვებული და მელოდნენ.

გთხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას, ღმერთს ვთხოვ თქვენს მრავალჟამიერ სიცოცხლეს. ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს სასარგებლოდ.

თქვენი ყოვლადუსამღვდელოესობის
ერთგული – ამბროსი
4 ოქტომბერი“.

ბარათში აშკარად სჩანს, როგორ განიცდის ამბროსი სამშობლოდან დაშორებასა და საკუთარ შვილებზე მზრუნველობის შესუსტებას. თუმცა საქართველოდან შორს მყოფი ცდილობს სასარგებლო საქმეები აკეთოს.

ლათინურის მასწავლებლის მოსვლა სასწავლებელში აღმოჩნდა მისთვის შვების მომგვრელი. შეეძლო საკუთარ სამშობლოზე ესაუბრა პიროვნებასთან, რომელიც მსჯელობდა პირადული შეხედულებით, ზერელედ, მაგრამ ისიც საინტერესო იყო წარმოსახვისთვის.

ნოვიკოვი ნიჭიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სასმელზე უარს ვერ ამბობდა, განსაკუთრებით ქართული თეთრი ღვინო მოსწონდა, ჭაჭის არაყზე ხომ ჭკუა ეკეტებოდა. იმერული ხაჭაპურისა და რაჭულ ნიგოზს **„თითს ვატანდიო“** ამბობდა.

ამგვარი საუბრებით, გრძნობებს ითბობდა საქართველოზე. ტერიტორიული დაშორების სიმძიმის ნოსტალგიას თავისებურად ანელებდა. ბევრისგან განსხვავებით ნოვიკოვს სრულებით არ წარმოედგინა კავასიელები, მხოლოდ მთიელ ხალხებად, ხანჯლების ტრიალითა და ნაბდებით. კოლხეთის დაბლობი და მათზე მცხოვრები იმერლები, მეგრელები და გურულები უფრო ევროპული ტიპის ადამიანებად ესახებოდა. ზღვა და ზღვით გასასვლელი ევროპაში, აზიასა და ცივილიზირებულ მსოფლიოსთან კავშირების ხიდად მიაჩნდა.

ლათინურის მასწავლებელი ოჯახით ცხოვრობდა საქართველოში. მეუღლე ციმბირელი ჰყავდა. ქალი თავიდან თურმე ძნელად შეეგუა ქართულ ყოფას, ვერ გაეგო ქართველი ქალები ასე განსაკუთრებულ მოკრძალებას რად იჩენდნენ ოჯახისა და ქმრების მიმართ. უმეტესწილი რუსული ჩაცმულობას თვალმიჩვეულს, ეხამუშებოდა ჩოხა-ახალუხსა და წელზე ქამარ-ხანჯალ დაკიდებული, აზიურებში გალიფეშარვალ-ჩატანებული, გრძელულვაშიანი მამაკაცები. თუმცა ნელ-ნელა შეეჩვია კავკასიურ გარემოს და ადგილობრივ მცხოვრებლებზე და მათ კულტურაზე შეხედულება შეიცვალა.

ნოვიკოვის მეუღლეს კითხვა უყვარდა, ამიტომ ზოგი რამ იცოდა **„ვეფხისტყაოსანზე“**. ახალგაზრდობაში თავადაც უცდია ლექსების დაწერა, თუმცა უფრო იგავ-არაკული ჟანრი იტაცებდა და კრილოვი პოეტთა ქურუმად მიაჩნდა. ხშირად ვინმე რატი წულუკიძეს ახსენებდა და მისგან ცდუნების აღიარების არც რცხვენოდა.

სასწავლებლის ზედამხედველი ნოვიკოვთა ხშირი სტუმარი გახდა და პირიქით.

დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს ბარათი მიიღო. ცხადია, ახლობლებისგან იქნებოდა. გარეთა ნაწერს დააცქერდა.

„ნუთუ ნინო მწერს, მისი პირველი წერილია?“

მკერდში ჩაიკრა, შემდგომ ეამბორა ოთხად გაკეცილ ქაღალდს. **„უფალო მადლობა შენდა“** გაცმაცუნდა მისი ტუჩები და მოუთმენლობამ სძლია **„ჩემო შვილო, ჩემო ძვირფასო“.**

ბარათი ჩვეულებრივ მოკითხვით იწყებოდა და უსაზღვრო მონატრებით მთავრდებოდა.

„უკვე ქალიშვილია, საკმაოდ გონებანათელი“. თითქოს უფროსი შვილის ასაკი დავიწყებოდა. ხელის თითებზე გადაითვალა ნინოს წლები, შემდეგ... ალექსანდრესა და ბოლოს ანის. **“ჩემი ძვირფასი შვილები, ღმერთო გევედრები, დამიფარე“.**

ოთახში მიმოდიოდა მკერდზე ბარათმიკრული. ამ წუთებში ყველაზე ბედნიერი მამა იყო. ერთი სული ჰქონდა წერილის თვითოეული ბწკარი ნოვიკოვებისათვის წაეკითხა, ეთქვა ჩემი ქალიშვილი აი რას მწერსო, მაგრამ თავშეკავებამ სძლია.

შვილებზე ფიქრობდა. უფრო მეტს იმაზე მალე საქართველოში დაბრუნებულიყო და მღვდელმსახურება სამშობლოში გაეგრძელებინა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გარდა, ამბროსის შემოქმედებითი ინტერესი ეძალებოდა. თავისუფალ დროს ქეთევან დედოფალზე და დემეტრე მეორეზე მასალებს აგროვებდა და აანალიზებდა. ეს იყო იმ ჩანაფიქრის გაგრძელება, რომელიც ჯერ კიდევ აფხაზეთში ყოფნისას დაიწყო, შემდგომ ზოგი რამ დაამატა. შინაგანი მოთხოვნილება აიძულებდა ჩანაფიქრი ბოლომდე მიეყვანა. თუმცა ზოგჯერ სწუხდა, რომ პროფესორ მალოვისა და აკადემიის რექტორის რჩევა ბოლომდე ვერ მიიყვანა.

მიუხედავად ნაშრომების დამთავრების დაგვიანებისა, მიაჩნდა რომ ქეთევანისა და დემეტრე მეორეზე არსებული გამოკვლევები არასრულყოფილი იყო და აუცილებლად მოითხოვდა მათ შევსებას. **„ჩვენ მათ თაყვანისცემას ნუ შევასუსტებთ, დაე მათებრ გვეძნელებოდეს ცხოვრება, მით უფრო დასაფასებელია და მით უფრო მოგვეცემა მადლი. კეთილი საქმეების კეთებას ღმერთთან ყოფნის შეგრძნება მოაქვს“.**

ერთხელ გვიან ღამე, დაწოლის წინ ცალკე ფურცელზე მიაწერა **„აუცილებლად ყოველდღე უნდა გამოვყო დრო იმაზე, რომ ჩავიწერო ნაფიქრ-ნააზრევი“.**

საკუთარ მოსაზრებებს მუდმივად ინიშნავდა და შემდგომ იყენებდა ნაწერებში **„უნდა გადავაქციოთ ჩვენი ფიქრები მარადის და მათში ვიპოვოთ მხოლოდ წარსული ან მომავალი... ამავდროულად ვიფიქროთ აწმყოზე... არა, ფიქრი მხოლოდ ფიქრად არ დარჩეს, ფიქრს საქმიანობა უნდა მოჰყვეს“.**

„არქიმანდრიტ ამბროსი (ხელაიას) ფიქრები“.

აი, ასე დაასათაურა საკუთარი ნააზრევი, რომელიც დაიწყო სიტყვებით **„ერთ დროს მაცხოვარი ჩვენი, უფალი იესო ქრისტე ასწავლიდა ერსა და მოწაფეთა თვისთა და ეტყოდა ფარისეველთა და მწიგნობართა შესახებ. „ყოველსა უკუე, რაოდენსა გეტყოდიან თქუნ დამარხვად, დაიმარხეთ და ჰყავთ, საქმეთა მათთაებრ და ნუ იქმთ, რამეთუ ჰთქვან და არა ჰყვიან... ყოველსა საქმესა მათსა იქმან საჩვენებლად კაცთა“.** მოყვანილი აქვს ავტორის სხვა ციტატები მაცხოვრის დარიგებებიდან. შემდეგ აგრძელებს:

„რამდენს მეტს ცხოვრობდა კაცი ქვეყანაზე, იმდენს უფრო და უფრო რწმუნდები ბოროტი სულიერების – ეშმაკების არსებობაში – მათ უბედურ შურიანობაში, ავსა და ბოროტ საქციელში. ევას შესაცდენად ეშმაკმა იარაღად იხმო გველი, მან მთელი კაცობრიობა დაღუპა და ცოდვაში ჩააგდო. მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ სძლია ეშმაკი და დაამხო მისი მეუფება – ძალა, მაგრამ ის ბოროტი სული დღესაც არაა დამარცხებული და რადგან უბედურებას სჩადის, ვინ მოსთვლის, ვინ მოსთვლის თუ რა დაუცხრომლად შფოთავს იგი და რამდენ სუსტ ადამიანს გაიხდის იარაღად?“

და კიდევ ერთი ამონარიდი **„ფიქრებიდან“**:

„არა მჯერა, რომ ვინმეს შეხვედროდეს იმდენი ბრძოლა ეშმაკების იარაღად ქცეულ კაცებთან, რომელნიც ჩვენ ჩვენს ცხოვრებაში შეგვხვედრია. ვერ დავიწყეთ ვერც ერთი კეთილი საქმე, ვერ გამოვთქვით ვერც ერთი კეთილი აზრი, რომ არ შეგვხვედროდეს დიდი ბრძოლა და მწუხარება ამ კეთილ აზრთა, კეთილ განზრახულებათა და საქმთა აღსრულებისათვის. მაგრამ მადლობა და დიდება უფალს, რომ ყოველი მანქანება ეშმაკისა, ყოველი მავნე განზრახულობა ბოროტ სულთა და მის მორჩილ ყმა-არაწმინდა პირთა, დამხობილა და ყოველი მეცადინეობა მათი შერცხვენილა!.. რომელი ერთი ჩამოვთვალო ამისთანა მანქანება ეშმაკ პირთა, ჩვენ წინააღმდეგ აღჭურვილთა. მრავალ ამისთანა მოქმედებათა შორის მოვიხსენიებთ ორ-სამ შესამჩნევ შემთხვევას.

საღმრთო წერილი ვალად გვიდგენს ყოველთა ჭეშმარიტ ქრისტიანთა, რათა მართალს ვლოცულობდეთ და ვევედრებოდეთ უფალსა. ამისის აღსრულება ძლიერ ადვილია იქ, სადაც წერა-კითხვა გავრცელებულია. ამ მოსაზრებით, ერთ დროს ჩვენ განვიზრახეთ გამოცემა ლოცვის წიგნების და სხვადასხვა წიგნებისა, და მუქთად და ფასადაც მათი გავრცელება ხალხში. გავრცელდა ხალხში სამი ათასი ცალი ამ წიგნაკებისა უფასოდ. გამოცხადდა თანაგრძნობა რამოდენიმე პირთაგან და სურვილიც ამ წიგნების სყიდვისა და ხალხში გავრცელების შესახებ. ეს შეშურდა ეშმაკს, ამ დაუძინებელ კაცის მტერს, დუშმანს ყოველი კეთილი საქმისას; მან შთაუნერგა გულსა შინა თვისსა შური, ღვთის წინააღმდეგი ბოროტი აზრი ზოგიერთ პირთა და აალპაარაკა და აამხედრა ჩვენი აზრის და წიგნაკების წინააღმდეგ. იქამდის მივიდა საქმე, რომ ეს სასარგებლო წიგნაკები მოამზადებინა დასაწვავად და გასაქრობად. მაგრამ კეთილი ანგელოზების შეგონებით, შეტყობილ იქნა ეს მზაკვრობა და გამოაშკარავდა ეშმაკის მანქანება და თავის დროზე შეჩვენებულ, უარყოფილ და დამხობილ იქნა ყოველი ცილის წამება ამა კაცისა – გაიმარჯვა სიმართლემ და დაიმხო სიცრუე.

მაგრამ რამდენადაც გამოირკვა სიმართლე, რამდენადაც გამოქვეყნებულ იქნა ეშმაკთა მანქანება, რამდენადაც შერცხვენილ შეიქმნენ ბოროტნი პირნი, ცილის მწამებელნი, მეშურნენი, იმდენად უფრო გამწარდნენ იგინი და უმეტესად აღიჭურნენ მზაკვრებითა თვისითა და მზად შეიქმნენ შთანთქმად ჩემდა. განამზადეს ლახვარნი თვისნი განგმერად გულთა, მოსპობად ცხოვრებისა ჩვენისა და მოავლინეს ჩვენზედა სხვადასხვანი პირნი აღსაგველად პირისაგან ქვეყნისა, ამისთანა გაჭივრების დროს ჩემი გამამხნევებელი, ჩემი მანუგეშებელი, ჩემი დამტკბობი არის დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა კითხვა... არაა ქვეყანაზე ისეთი რამ საკითხავი, რომელსაც შეეძლოს შენი გულის დამშვიდება, შენი სულის დაწყნარება და დატკბობა ისე, როგორც ამ ფსალმუნთ.“

ამბროსის მთელი ყურადღება საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და პეტერბურგისკენ ჰქონდა გადატანილი, სადაც იხილებოდა ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი.

თანაც ორჯერ სინოდს წერილი გაუგზავნა, საკუთარი უდანაშაულობისა და საქართველოში დაბრუნების შესახებ.

საქართველოს სამღვდელოებამ კიდევ უფრო გააქტიურა მოქმედება. მათ მხარს უჭერს ქართველი ინტელიგენცია და რუსეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები და მოღვაწეები. არც კეთილმოსურნე რუსი ქომაგნი აღმოჩნდნენ ჩრდილში. მათაც აღიმაღლეს ხმა ეკლესიის სამართლიანი მოთხოვნის დასაცავად.

ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლებმა მთელი რიგი მოთხოვნები წარუდგინეს სინოდს. მათ შორის იყო ასეთი პირობა: **„სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის შემთხვევაში ქართველთა მონაწილეობა მასში მოხდეს იმ პირობით, თუ მანამდე ქართლი, კახეთი, აფხაზეთი და გურია მიიღებდნენ თავინთ ეპისკოპოსებს მშობლიური სულითა და ენით. ქართველ სამღვდელოებაზე, მრევლზე ძალადობის გაგრძელების შემთხვევაში, საჩივარი გაეგზავნოს აღმოსავლეთის პატრიარქებს. შეწყდეს წმინდა სინოდის, რუსი ეგზარქოსებისა და ეპისკოპოსების მოხსენიება წირვა-ლოცვის დროს“.**

ბორის დავითაია,
სენაკი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იერი
ერეკლეული ბიბლიოთეკა

მიხეილ სააკაშვილის ანამნეზი ჯონ ბასის შესრულებით

ირონიული სტრიქონები

სკანდალურად ცნობილმა **viciliksma** ახალი დოკუმენტი გამოაქვეყნა. საქართველოში **აშშ** ელჩი ჯონ ბასი სახელმწიფო დეპარტამენტს მიხეილ სააკაშვილის ანამნეზს უგზავნის, რომელშიც ნათქვამია:

„თქვენს მიერ დასმულ კითხვაზე პაციენტი №1–ის შერაცხადობის შესახებ გპასუხობთ: მიხეილ სააკაშვილი დაიბადა 1967 წელს საბჭოთა საქართველოში. ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა. მიაჩნია, რომ ჩაგრავდნენ. სკოლის პერიოდში დააფუძნა საბჭოთა კავშირში პირველი სამოყვარულო პორნოსტუდია, რომელშიც თანაკლასელ გოგონებს იღებდა. ამის გამო მას თბილისური ოჯახების კარიც გამოუკეტეს და სახელმწიფო უნივერსიტეტისაც. იძულებული გახდა, სწავლა ბიძამისის – **კგბ**–ს კადრის ოფიცრის რეკომენდაციით კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში გაეგრძელებინა. როგორც თავად უთითებს, იქაც პრობლემები შეექმნა, როგორც დისიდენტს და ამის გამო უშიშროების ჯარში მოუწია სამსახური.

პაციენტის მტკიცებით, მან მოკლე ხანში – 1994–1995 წელს მოასწრო კოლუმბიის და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტების დამთავრება და იმავე წელს – სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დიპლომის მიღება. 1995 წლიდან ბრუნდება საქართველოში და სწრაფად წინაურდება პოლიტიკაში. ამას წინათ მის ბიოგრაფიაში კიდევ ერთი ცნობა გაჩნდა იმის შესახებ, რომ იგი საერთაშორისო სამართლის დოქტორია, მაშინ, როცა მას მაგისტრის დიპლომიც არა აქვს. მან, როგორც სჩვევია, აქაც მოხერხებულად აუარა გვერდი სიმართლეს. საყოველთაო პრაქტიკაა, როცა სახელმწიფოს მეთაურებს საპატიო დოქტორის წოდებას

ანიჭებენ. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ეს საკუთარი ბიოგრაფიის გაყალბების ერთადერთი ფაქტი როდია საქართველოს ხელისუფლებაში (იხ. ვერონიკა ქობალიას, ნინო კალანდაძის, ლადო ვარძელაშვილის, მამუკა ახვლედიანის და სხვათა დოსიეები, რომელიც უკვე გაახლეთ).

ისევე, როგორც ამერიკაში, საქართველოშიც სააკაშვილი უსწრაფესად იცვლის უმაღლეს თანამდებობებს: 1999 წელს შევარდნაძის პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერია, 2000 წელს – იუსტიციის მინისტრი ხდება, 2001 წელს თანამდებობიდან მიდის და იმავე ვაკის ოლქში იყრის კენჭს, რომლიდანაც 1999 წელს მოხვდა პარლამენტში. პრაქტიკულად, მან ორ წელიწადში სამჯერ გამოიცვალა თანამდებობა, თანაც ერთი მოწვევის პარლამენტში ორჯერ მოახერხა მაჟორიტარ დეპუტატად შესვლა. ჩვენ კი გვასწავლიდნენ, რომ **„ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“!** 2002 წელს იგი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ხდება, ხოლო 2003 წელს – **„ვარდების რევოლუციის“** ბელადი. რაკი სახელმწიფო დეპარტამენტი უშუალოდ გეგმავდა და ახორციელებდა იმ რევოლუციას, ამ თემაზე აღარ დავწერ.

სააკაშვილი კონტროლიდან აშკარად გამოვიდა 2007 წლის ნოემბერში, რასაც ჩვენი მოთხოვნით მისი გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვა. ჩვენი უშუალო ჩარევითა და დახმარებით მისთვის პრეზიდენტის სავარძლის შეენარჩუნება მოხერხდა, თუმცა დაავადება, რემისიულ ფაზაში გადასვლის ნაცვლად, სულ უფრო მწვავე ფაზაში გადადიოდა და დღეს იგი კრიტიკულს უახლოვდება.

კონსტიტუციის გადაწერისა და ოპოზიციასთან გარიგების შემდეგ პაციენტის მდგომარეობა ერთგვარად დასტაბილურდა, მაგრამ 26 მაისის აქციის დარბევისას პირადად ჩემს მიერ გაწეული მხარდაჭერის მიუხედავად, ვერ ვახერხებ მის გაკონტროლებას, რადგან იგი თავადაც ვერ აკონტროლებს საკუთარ თავს. საფრანგეთის ლიდერის თბილისში ვიზიტისას მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ პაციენტი სრულიად არაადეკვატური გახდა. მისი ჩივილებია: შფოთიანობა, პერიოდული პანიკა, დეპრესიულობა, ფობიები, მანიაკალური გამოხდომები.

ანამნეზის შედგენისას დავინტერესდი, აკმაყოფილებს მას თუ არა მისი დღევანდელი სტატუსი, რაზეც მიპასუხა, რომ 2015 წლისთვის სამოქმედო პროგრამაზე მუშაობს. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ პრეზიდენტისთვის შეუფერებელი მეწვრილმანეობით ცდილობს, ივანიშვილის მილიარდებს რაიმე დააკლოს და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისგან 1 მილიარდზე მეტი თავად და მის სამოხელეო აპარატს აქვს მიღებული!

პაციენტი აშკარად ვერ მიჯნავს რუსეთს და ივანიშვილს, ეჩვენება, რომ იგი პუტინის დავალებებს ასრულებს, თუმცა თავად, ჩვენი არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, სწორედ რუსებს მიჰყიდა ყველა ის სტრატეგიული ობიექტი, რომელთა გასხვისებას ჩვენ ვაპროტესტებდით.

ობიექტური ანამნეზის შედგენა ვერ ხერხდება, რადგან მისი ოჯახის წევრები, პოლიტიკური გარემოცვა და ჩვენს მიერ მისთვის შერჩეული ოპოზიცია ზუსტად იმას იმეორებს, რასაც თავად პაციენტი. ჩემი დასკვნით, მათ ანალოგიური დაავადებები სტანჯავს, რაც სააკაშვილს, თუმცა დღემდე ისინი გადამდებ დაავადებათა ჯგუფს არ განეკუთვნებოდა. ასევე ვერ ხერხდება იმ მონაცემების მიღება, რომელსაც თავად პაციენტი მალავს. ამას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: პირველი – დამალული აღარაფერია, მეორე – ყველაფერი უკვე გაყიდულია.

პაციენტის განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია ჩემმა ვიზიტმა (დანარჩენ 18 ელჩთან ერთად) ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში. მართალია, მე არ გამიპროტესტებია იქ პაციენტის პირადი ემისარის – ლუის ნავაროს ყოფნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, როგორც მანამდეც, ამჯერადაც სანაქებოდ შეასრულა ენის მიმტანს ფუნქცია. ზოგადად, ამ სუბიექტზე ადრეც შემიტყობინებია, – ნავარო ისეთი გულუხვობით უწერს სოციოლოგიურ გამოკვლევებში სააკაშვილს გაზრდილ მონაცემებს, რომ პაციენტმა სრულიად ირწმუნა ეს პროცენტები და ხელისუფლების დატოვებას აღარ აპირებს. მისი ვერსიით, ძალაუფლების ერთი ხელიდან მეორეში გადატანაც კი **„ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემა იქნება“.**

რაკი პროცესებზე ზემოქმედება ჩემი მხრიდან შეუძლებელი ხდება, გთხოვთ განიხილოთ პაციენტის ვაშინგტონში, გაფართოებულ კონსილიუმზე ტრანსპორტირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის შემდგომ მდგომარეობასა და კავკასიაში ჩვენი ნაციონალური ინტერესების განხორციელებაზე პასუხისმგებლობას სრულიად ვიხსნი.

პატივისცემით, ჯონ ბასი.

***P.S.** გთხოვთ არ დაგავიწყდეთ, რომ პაციენტს ტრანსპორტირებისას ყოველ მიზეზგარეშე უნდა ვახლდე, რადგან ჰაერში მისი საქციელი კიდევ უფრო აგრესიული და უპროგნოზო ხდება. არც ჩემი მდგომარეობა ექვემდებარება პროგნოზს საქართველოში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ.*

პოეზიის კუთხე

არა გაქვთ სხვა გზა

ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**

ერთ რამეს გეტყვით, ბატონო ბიძინა:
სემინარი არ გვინდა ძიები.
მათ ხელში ქართველებს საკმაოდ
გვეძინა,
ახლა კი დროა –
დრო გამოღვიძების!
და, აჰა, უფალმა ამგვარად ინება:
სხვა გორის არ გვყავდეს მორდუდ
და ძიებად,
თქვენ წმიდა სამებით უფალმა გირჩიათ
მძინარე ქართველთა გამოსაღვიძებლად.
ზედაპირზე ხომ, იცით, რაც ყრია,
მარგალიტები? –
ზღვის ფსკერზე წვანან,
თუმც მათი პოვნა ძნელია ფრიად,
ნიჟარები ხომ ერთმანეთს ჰგვანან?
გულს ნუ გაიტეხთ, მრავალს თუ
არა,
ასიდან ერთში მარგალიტს ჰპოებთ.
თქვენ კარგად არჩევთ ერთმანეთისგან
კარის პოეტს და ჭეშმარიტ პოეტს.
გვერდში დაუდგეთ, უპოვარს ეძმოთ,
ტკივილიანი იკითხოთ არზა
ძნელია, თუმცა ეს უნდა შეძლოთ,
ეს უნდა შეძლოთ! –
არა გაქვთ სხვა გზა!

ზურაბ ქობალია

დეტალებში დამალული ეშმაკი და წესები, რომელთაც საერთაშორისო ხულიგანი ამკვიდრებს

მაშინ, როცა გილაური რუსეთის **ვმო**-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას წინ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს, როგორც ჩანს, მდგომარეობა სულ სხვაგვარია.

მან განაცხადა, ქართულ მხარეს კონკრეტული მოთხოვნები ჰქონდა და მისასალმებელია, რომ შვეიცარული მხარის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ეს მოთხოვნები გათვალისწინებულია.

რაც შეეხება საერთაშორისო მონიტორინგს, მისი განცხადებით, მონიტორინგს მესამე მხარე შვეიცარია განახორციელებს და ის გაუწევს კონტროლს სავაჭრო ტვირთბრუნვას.

„მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ერთგვაროვანი სავაჭრო რეჟიმია საქართველოს მთელ ტერიტორიასა და რუსეთს შორის. ის, რომ ინფორმაცია რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში არ ვფლობდით, თუ რა ტიპის ვაჭრობა არსებობს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რუსეთს შორის, ახლა ეს ინფორმაცია სრულად იქნება მოწოდებული საქართველოსთვის. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია უსაფრთხოების კუთხითაც“, – განაცხადა გილაურმა.

მაგრამ, ქართველ ექსპერტებს სულ სხვა აზრი გააჩნიათ ამის თაობაზე.

„შვეიცარიული მხარის მიერ საქართველოსთვის შემოთავაზებულ ვარიანტში არის წვრილმანები, სადაც ეშმაკი იმალება“, – ამბობს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში სოსო ცისკარიშვილი. როგორც მოგეხსენებათ, **ვმო**-ში რუსეთის გაწევრებასთან დაკავშირებით, თბილისი შვეიცარიული მხარის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს დათანხმდა. საქართველოს სახელისუფლებო წრეების ინფორმაციით, ამ კომპრომისული შემოთავაზების საფუძველზე შესაძლებელი ხდება საერთაშორისოდ აღიარებულ საქართველო-რუსეთის საზღვარზე შემოსული ყველა ტვირთის საერთაშორისო მონიტორინგი, რისი განხორციელებაც აქამდე შეუძლებელი იყო. შვეიცარიის პრეზიდენტმა მიშელინ კალმი-რეიმ სააკაშვილს შვეიცარიის მიერ შეთავაზებულ კომპრომისულ დოკუმენტზე რუსეთის შეხედულება უკვე გააცნო. თუმცა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ აკონკრეტებს, როგორია მოსკოვის პოზიცია. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ ელექტრონულ მონიტორინგს შვეიცარია განახორციელებს.

– ბატონო სოსო, რატომ ასაიდუმლოებს საქართველოს ხელისუფლება მოსკოვის პოზიციას და რატომ გადაწყდა, რომ საზღვარზე მებაჟეების ჩაყენების ნაცვლად, ტვირთის შემოტანაზე ელექტრონული მონიტორინგი უნდა განხორციელდეს?

– საქართველოში წესად იქცა ხალხისთვის ნამდვილი ინფორმაციის დამალვა. რაც უნდა მალოს ხელისუფლებამ, ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვში მედვედევი და კალმი-რეი დიდ სიამტკბილობაში იყვნენ; ისიც ვიცით, რომ კალმი-რეისა და სააკაშვილის შეხვედრის დეტალები საგულდაგულოდაა დამალული. მგონი, სწორედ კონტროლის მექანიზმი – ანუ საზღვარზე შემოსული ტვირთი ელექტრონული საშუალებებით რომ უნდა შემოწმდეს, არის ის წვრილმანი, რომელშიც ეშმაკი იმალება.

– რას გულისხმობთ?

– თავდაპირველად საზღვარზე ქართველი მებაჟეების ჩაყენებაზე იყო ლაპარაკი, შემდეგ – ევროპელი მებაჟეების, ბოლოს არჩევანი ელექტრონულ მონიტორინგზე შეჩერდა. დარწმუნებული ვარ, ის ადამიანები, რომლებმაც შვეიცარიელების მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს მოაწერეს ხელი, ელექტრონული მონიტორინგის რაობაში ვერ გარკვეულან. კონტროლის ასეთ მექანიზმს რაიმე უპირატესობა რომ ჰქონდეს, მებაჟეებისა და მესაზღვრეების დაქირავებაში ამდენ თანხას არავინ დახარჯავდა. განსაჯეთ, როდესაც ჩვენი პლანეტა ატომური ელექტროსადგურების მწყობრიდან გამოსვლისგანაც კი არ არის დაცული, რა გარანტია გვაქვს, რომ **„ელექტრომაკონტროლებელი“** რამდენიმე საათით მაინც არ გაითიშება? ასეთ შემთხვევაში, რუსული სამხედრო ტექნიკა სრულიად უპრობლემოდ **„შემოგრიხინდება“** აფხაზეთში ან ცხინვალში.

– თუ „ელექტრომაკონტროლებელი“ ვერ გააკონტროლებს ტვირთებს, რუსეთი რატომ აყოვნებს დოკუმენტზე ხელის მოწერას?

– ეს რუსეთის შიდაპოლიტიკური უთანხმოების შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს საკუთარი ეკონომიკური საზღვრების გაკონტროლების უფლება გვაქვს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რუსეთის ხელისუფლება. თუ ისინი ამ კომპრომისულ ვარიანტსაც არ მიიღებენ, ეს იქნება არა საქართველოს მტკიცე პოზიციის შედეგი, არამედ რუსეთის შიდაპოლიტიკური უთანხმოება.

– რუსეთის ვმო-ში გაწევრების საკითხი კრემლში უთანხმოების მიზეზად რატომ იქცა?

– ვმო-ში გაწევრების შემდეგ, რუსეთს დამატებითი შემოსავლის სახით 13 მილიარდი დოლარი გაუჩნდება. ამ ქვეყნის მოსახლეობა და პოლიტიკურ ძალთა სოლიდური ნაწილი დარწმუნებულია, რომ ეს თანხა ოლიგარქებს მოხმარდება და არა – ხალხს. გარდა ამისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების შემდეგ მოსკოვს სამუშაო ადგილების შემცირება, უხარისხო პროდუქციის წარმოებიდან ამოღება, დაბალი ტექნოლოგიების საწარმოების დახურვა და ა.შ. მოუხდება. ასე რომ, **ვმო**-ში გაწევრების პირველი ეტაპი რთული იქნება არა მარტო რუსეთის მოსახლეობისთვის, არამედ **ვმო**-სთვის. პუტინი და მედვედევი ხშირად ამბობენ, რომ რუსები **ვმო**-ს გარეშეც კარგად ცხოვრობენ. მათ სურთ, ყველაფერი ისე წარმოაჩინონ, თითქოს ამით მხოლოდ დასავლეთია დაინტერესებული.

– ფიქრობთ, რომ ევროპისთვის რუსეთი შესაძლოა, მალე „თავში სახლელი“ გახდეს?

– ამას არ გამოვრიცხავ. მოსკოვში უკვე ამბობენ, რომ **ვმო**-ს მოთხოვნის მიუხედავად, ევროპას ციმბირის საჰაერო სივრცის გამოყენებისთვის დაწესებულ ტარიფს 2013 წლამდე არ გაუიაფებენ.

– რატომ არ ითვალისწინებს ევროპა რუსეთის ასეთ მიდგომებს?

– დღეს ევროკავშირის ორასამდე ქალაქში სოციალური პროტესტი **„დუღს“**. ევროპა იძულებულია, უზარმაზარი სესხი აიღოს, რათა ტრილიონევროიანი სარეაბილიტაციო ფონდი შექმნას იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებსაც ეკონომიკური კრიზისი ემუქრება. ამ ქვეყნებს შორისაა: საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია, ესპანეთი და იტალია. ევროკავშირში იმედოვნებენ, რომ ტრილიონი ევროს შეგროვებაში ჩინეთისა და რუსეთის რესურსებსაც გამოიყენებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ახლა ჩინეთს თავად შეექმნა სერიოზული პრობლემები და საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტი მკვეთრად შეამცირა, ამიტომ ჩინეთის იმედზე ყოფნაც აღარ შეიძლება. მსოფლიო ეკონომიკაში დღეს არსებული სიტუაცია ან ევროს კრახითა და ევროკავშირის გარკვეული კონფიგურაციის შეცვლით დასრულდება, ან კრიზისს დაძლევენ და რამდენიმე წელიწადში საერთაშორისო ეკონომიკა ისევ **„დაიქოქება“.**

– თქვენი აზრით, როგორი იქნება საქართველო-შვეიცარია-რუსეთის მოლაპარაკებების საბოლოო შედეგი, რუსეთი ვმო-ს წევრი გახდება?

– ვფიქრობ, გახდება. თუმცა, კრემლი არ აპირებს ამ ორგანიზაციის წესდების მორჩილად შესრულებას, **ვმო**-ში ის საკუთარი წესრიგის დამყარებას შეეცდება...

ხათუნა ბახტურიძე

საქართველო (კოლხეთი) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.
პროფ. ლევან სანიკიძე
"...დღეს მეცნიერების მიერ დადგენილი ყველა ხანა, ქვის ხანის გარდა, შექმნილი ყოფილა ბანანური ენის მატარებლის ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე." – წერს ბ. სოფია.

1975 წელს ჟურნალში **„ტეხნიკა მოლოდეჟი"** (№6) გამოქვეყნდა იბერიული ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გამოგზავნა მეცნიერებათა დოქტორმა მანუელ დე დრანეგიმ (რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გაუშიფრავი იყო). სამი თვის შემდეგ თბილისელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ ჟურნალს გაუგზავნა ძველი ქართულ-იბერიული დამწერლობის განვითარების შედარებითი ტაბულა, რომლის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალში.

ინგლისელმა პროფესორმა ჟეკუბ ჰარისონმა განაცხადა, რომ ტექსტზე ორ ათეულზე მეტი წელი იმუშავა, ჰქონდა დიდი ცნობისმოყვარეობა და დიდი სიჯიუტე, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე – ვერ გავშიფრეო.

1975 წლის 11 დეკემბერს **თსუ** მაშინდელი რექტორის პროფ. დავით ჩხიკვიშვილის მიერ მოწვეულ მეცნიერთა დიი შეხვედრაზე, სადაც მოსმენილი იქნა შ. ხვედელიძის ვრცელი მოხსენება, აკად. ა. ჩიქობავამ ტექსტის გაშიფრვა-წაკითხვა ჩათვალა სრულიად სწორად და სარწმუნოდ; ბასკური ენის სპეციალისტმა კუიბიშეველმა მეცნიერმა იური ზეიცარმა ხაზგასმით მიუთითა, რომ შ. ხვედელიძის მიერ ჩატარებული გაშიფვრა აბსოლუტურად სწორია და ამის დასადასტურებლად გაშიფრული ტექსტიდან ბევრი მაგალითი მოიყვანა; რუსი აკადემიკოსი ა.ა. ბელოპლედევსკი დეტალურად გაეცნო შ. ხვედელიძის გაშიფვრის მასალებსა და დასკვნებს, აღტაცებულმა ჩასწერა: **„გაშიფვრა, ტექსტის წაკითხვა სწორადაა მომხდარი"**. ასეთივე შეხედულება ჰქონდა ცნობილ ისტორიკოსს ილია ბარაჟკოვსაც და ბევრ სხვა რუს ენათმეცნიერსა და ისტორიკოსს.

აკად. ა.ა. ბელოპლედევსკი წერდა: თუ დადასტურდა (საბედნიეროდ დასტურდება) შ. ხვედელიძის ჰიპოთეზა, მაშინ რამდენიმე საუკუნით, 3479 წლით, გადაიწევს ქართული დამწერლობის საწყისი ისტორია და ჩვენი შეხედულებანი უძველესი ხმელთაშუაზღვისეული და კავკასიური (ქართული) ცივილიზაციის ურთიერთობის საკითხებში.

შოთა ხვედელიძემ ტექსტი ალაპარაკა: დაახლოებით ძვ.წ. XV საუკუნეში საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინასწარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა, რომ მიწისძვრის მოლოდინში მთაში ყვავილი ფურისული ყვავილობას წყვეტს და კვდება, და ხალხს მოუწოდა დაეტოვებინათ საქართველო; 400 ათასზე მეტი ადამიანმა დატოვა ქვეყანა და გაემართნენ მზის ჩასვლის მიმართულებით. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად წოდებულ ტერიტორიაზე, კათაგენსა და კორსიკაში, პირინეის მთების კალთებზე და ბისკაის ყურის ნაპირზე. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ უნიჭიერესი სარდლის, ბრწყინვალე მეომრის, დიდი სტრატეგის ჰანიბალის არმიის ავანგარდში რჩეული და მამაცი მეომრები იბერები იყვნენო. შეიძლება ვიფიქროთ, თვით ჰანიბალიც ხომ არ იყო იბერიელი?

ზოგიერთი შოვინისტი მეცნიერი შეაწუხა აკად. ა. ბელოპლედევსკის დასკვნებმა, რომ შეიძლება დაახლოებით 4 ათასი წლით გადაიწიოს ქართული დამწერლობის საწყისმა ისტორიამ და ხმელთაშუაზღვისეული ცივილიზაციის საკითხებმა. რეაქციონერ მეცნიერებს იმის დადასტურება არ უნდოდათ, რომ 4 ათასი წლის წინ ქართველებს დამწერლობა ჰქონდათ. ამის დამტკიცება არ უნდოდათ, აგრეთვე, ზოგიერთ ქართველ მეცნიერსაც, რადგან საქმე ეხებოდა ბასკურ-მეგრულ დამწერლობას. ამიტომ ზოგიერთი გავლენიანი ქართველი მეცნიერი ცდილობდა საკითხის საჩქაროდ, ზერელე გამოკვლევებით, ფაქტების დადასტურების გარეშე საქმის დამთავრებას.

კვლავ მინდა ვთქვა, რომ კ. შმიდტი ჩანს არ იცნობდა შ. ხვედელიძის შრომას. მით უმეტეს არ შეიძლებოდა ცოდნოდა გია კვაშილავას მიერ **„ფესტოსის დისკოს"** გაშიფვრის შედეგები. დისკო, რომელიც 2008 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა კუნძულ კრეტაზე – კოლხთა საცხოვრისში და რომელიც თიხის ფირფიტაზე ორივე მხარეს ოქროს ყალიბით ამოტვიფრულია 244 ნახატი ნიშანი და 63 სიტყვა-კომპოზიტი. თიხის ფირფიტა 100 წლის განმავლობაში ვერავინ გაშიფრა, ეს ბედნიერება წილად ხვდა ჩვენს თანამემამულეს, ახალგაზრდა მკვლევარ-მათემატიკოს-ლინგვისტს ბატონ გია კვაშილავას.

2008 წლის 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს ლონდონში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში და ანტიკვარულ საზოგადოებაში – ბერლინგტონის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერები ღებულობდნენ მონაწილეობას; კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო ჟურნალ **„მინერვას"** დამფუძნებელი ფილოსოფიის დოქტორი ჯერომ აიზერბერგი და ამავე ჟურნალის მთავარი რედაქტორი მარკ მერონი. თორმეტი მოხსენებიდან, რომელიც მთლიანად ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა, მხოლოდ გ. კვაშილავას მოხსენება გახლდათ იუბილის გვირგვინი და მშვენება, რომელშიც წარწერებიანი დისკო ამეტყველებული იქნა პროტოქართულ-კოლხურ ენაზე.

მას შემდეგ რაც გ. კვაშილავას უდიდესი აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინტერნეტში, ავტორმა 7ათასზე მეტი წერილი მიიღო მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნანა შეგელაია აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციის ერთერთ მხცოვან მონაწილეს უთქვამს: მოთმინება ახალგაზრდავ, მოთმინება! ყოველივე რაც აქ მოვისმინეთ, გამოწვდილივით ანალიზი სჭირდება. გარწმუნებთ სამ წელიწადში თქვენ მსოფლიოში აღიარებული ადამიანი იქნებით.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ მისი პრეზიდენტი ჯენომ აიზენბერგი წერს: ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! ნამდვილად ბედნიერი ვიყავი თქვენთან და თქვენს კოლეგებთან შეხვედრით ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციაზე გასულ კვირას. გილოცავთ გამარჯვებას!

2007-2008 წლებში (ტირაჟის ბეჭდვა გრძელდება) გამოვიდა პროფესორების მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიას და ვლადიმერ ვახანიას შვიდტომეული, **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა"**, რომლის ავტორები აღნიშნავენ, რომ მეგრული ლექსიკა-სიტყვობრივი მარაგი 100 მილიონზე მეტია, აქედან ზმნურ ფორმას განეკუთვნება 99,9 პროცენტი.

ეს ფაქტები დაუჯერებელს გავს, მაგრამ იგი რეალურია. ასეთი მდიდარი ლექსიკა გააჩნია მეგრულ ენას. ყველაზე მდიდარ ინგლისურ ენას მხოლოდ 600 ათასზე მეტი ლექსიკური მარაგი აქვს.

ენათმეცნიერებს მიაჩნდათ, რომ ენის წარმოშობის საკითხის კვლევა უშედეგოა, რომ ჩვენ მას ვერასოდეს გავიგებთ, რომ ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა შეუძლებელია. შვიდტომეულის ავტორები ამ პრობლემას წარმატებით წყვეტენ. ამ სახის ლექსიკონი პირველია ლექსიკოგრაფიის, მთლიანად ენათმეცნიერების ისტორიაში. წიგნებზე **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობაზე"** რამდენიმე კეთილმოსურნეთა რეცენზია გამოქვეყნდა პრესაში, რომლის ავტორებმა ნაშრომს **„გადატრიალება ენათმეცნიერებაში"** უწოდეს.

მაგრამ ქართველ მეცნიერთა **„მამები"** აღნიშნულ შვიდტომეულს **„არ ამჩნევენ, ცდილობენ ხმა არ ამოიღონ და ამით მხარი დაუჭირონ აღნიშნული ნაშრომის მოწინააღმდეგეებს. მაგრამ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, შვიდტომეული და მისი დებულებები ფართოდ გაიკაფავს გზას მეცნიერებაში და მის მსოფლიო აღიარებას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. ასევე, 2004 წელს კოჩა კოლხმა გამოსცა 600 გვერდიანი წიგნი „კოლხური ენის საიდუმლოებანი"**, რომლის ავტორმა რამდენჯერმე ოფიციალურად მიმართა ქართველ მეცნიერთა **„მამებს"**, მათ შორის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, შეფასება მიეცათ წიგნისათვის, ეთქვათ: წიგნი კარგია თუ არა, წიგნში მოცემული დებულებები სწორია თუ არა? ასეთივე მდგომარეობა ანზორ შონიას, ნათელა ფოფხაძის, ბადა სოფიას და სხვათა მიმართ. მართლაც ამ ავტორთა საინტერესო შრომებს რომ დადებითი შეფასება მისცენ, ფიქრობენ რომ, მათ საკუთარ შეხედულებებსა და შრომებს ზიანი მიადგება.

გ. კვაშილავას და ძაძამიებისა და ვახანიას აღმოჩენები, კ. შმიდტის გიობეკლიტეპეს არქეოლოგიური გათხრების შედეგები. ნამდვილად მიმართულებას უცვლის მსოფლიო მეცნიერების განვითარებას. დღეს თუ ხვალ, ერთი თუ რამდენიმე წლის შემდეგ ქართული და მსოფლიო მეცნიერებას ამ აღმოჩენების აღიარება აუცილებლად მოუხდება. ეს აქსიომაა.

***

ლაზ-მეგრელებს უძველეს დროში „ეფუთი" ჰქონდათ

რომელიც დაკარგულად ითვლება. **„ეფუთი"** არის ისტორიულ ხანაში შექმნილი საკაცობრიო მნიშვნელობის ნამოღვაწრების, ე.ი. შედევრების წიგნის სახელი, იგივე **„სიბრძნის კრებული"**.

სამეგრელოში დიდმა და პატარამ იცის, რომ ძველ დროში არსებობდა სიბრძნის წიგნი **„ეფუთი"** (ფუთი). მეგრელი გლეხი ამას ისე გამოხატავს, რომ ვითომ გუშინ ხელში ეჭირა აღნიშნული წიგნი, შინაარსი ზუსტად არ იციან მაგრამ ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ამ წიგნში გადმოცემული იყო ქვეყნის წარსული და მომავალი, რომელიც ზუსტად სრულდებოდა და რომ ეს აღნიშნული ქვეყანა იყო ჩვენი სამყაროს დასაწყისი. ჩანს, რომ **„ანუნაკი"** უნდა ნიშნავდეს **„ეფუთს"**.

მკვლევარი ი. კვეკვესკირი წერს, რომ ქართული წარმართული ეპოქა 7 ათას წელზე მეტს ითვლის, რომ **„ბიბლიამდე"** ხუთი ქართული წიგნი არსებობდა: 1. **„ეფუთი"** – 7 ათასი წლის; 2. **„მარგალითი"** – 7 ათასი წლის; 3. **„ტოფშა"** – 3500 წლის, 4 **„ტაბუ"** – 3500 წლის; 5 **„ოქროს საწმისი" („კვიბარი")** – 3300 წლის და შემდეგ აგრძელებს:

„ეფუთ"-ს სამეგრელოს მკვიდრნი **„პირველ ბიბლიას"** ეძახდნენ, რადგან **„ათი მცნება"** პირველადვე იქ იყო ჩამოთვლილი.

ის მთელი 4 ათასი წლით უსწრებდა ამ აღიარებულ წიგნს. მკვლევარი ასაბუთებს ამ ხუთივე **„წიგნის"** წარმომავლობის ისტორიას.

1722 წ. 6 აპრილს ჰოლანდიელმა მოგზაურმა, ადმირალმა როგევენმა აღმოაჩინა ყველა კონტინენტიდან დაშორებული პატარა კუნძული, რომელსაც აღდგომის კუნძული უწოდეს (აღმოჩენის დღე, 6 აპრილი აღდგომა იყო).

ნორვეგიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა დიდი ექსპედიციით, 1955-1956 წლებში იმოგზაურა აღდგომის კუნძულზე, რომ გაერკვია ვინ იყვნენ კუნძულის თავდაპირველი მოსახლენი, ვინ შექმნა გრანდიოზული ქვის ქანდაკებები, შორეული წარსულის უცნობი კულტურა, და გამოაქვეყნა შესანიშნავი წიგნი **„აღდგომის კუნძულის საიდუმლოება"**, რომელიც მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა.

ექსპედიციამ გამოიკვლია და აღწერა 400-ზე მეტი გოლიათური ქვის ქანდაკებები, რომლებიც ქვის უზარმაზარ პედესტალებზე იდგნენ, ქანდაკებების სიმაღლე 8-10 მეტრს აღწევდნენ, კერპებს ჰქონდათ მოკლე წვერები, ზეცას მიპყრობილი თვალები და გრძელი ყურები.

კუნძულის მაცხოვრებლები თავიანთ ენაზე კუნძულს რაჰანუს-დიდი კლდეს უწოდებდნენ, ხოლო უძველეს პრეისტორიულ თქმულებებსა და ლეგენდებში მას ეწოდება **ტე პოტო ო ხენუა** – დედამიწის ჭიპი, უფრო გვიან ადგილობრივი მცხოვრებლები კუნძულს **„თვალს", „ზეცის მიჯნას"** უწოდებდნენ. კუნძულის პირველი აღმომჩენნი და მცხოვრებლები იყვნენ **ხოტუ მატუა** და მისი თანამგზავრები, პირველი მეფეც იყო **ხოტუ მატუა.** მასზე კუნძულის მცხოვრებლები სიყვარულით და მოწიწებით ლაპარაკობენ; მცხოვრებლებმა ჰეიერდალს უჩვენეს მიწაში შემონახული საძირკველი მეფის უძველესი სადგომისა, რომლის იქით ჩანდა ხუთწახნაგოვანი ქვის ღუმელი – ნიშანი იმისა, რომ ამ ადგილას მეფის სამზარეულო იდგა – **„აქ ყველგან ჩანდა ოდინდელი სიდიადის ნაკვალევი".**

ტ. ჰეიერდალი წერს: ხალხს, რომელსაც ჯერ თავი არ გამოეჩინა კულტურის სხვა სფეროებში, მოეცა ესოდენ გენიალური ინჟინრები და უნიჭიერესი მხატვრები? როგორ შეძლეს ქვის ერთიანი მონოლითების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, აღმართზე ატანა და აღმართვა. როცა არ იყო ამწეები, მანქანები, კუნძულზე კი ტყე არ არის? მიწაზე დაგდებული ქვის გოლიათის, სხეულზე, მუცელზე, სახეზე, ასვლა ძალიან ძნელია, შეიძლება თავისუფლად გაისეირნოთ ან წამოწვე მის ცხვირზე, რომელიც თავისი ზომით საწოლს არ ჩამოუვარდება, მათ შორის მიწაზე დაგდებული ყველაზე დიდი ფიგურის სიმაღლე ოცდაორ მეტრს აღწევს. გოლიათებს თავზე ადგამდნენ ცილინდრის ფორმის განსხვავებულ მოწითალო ქუდს, რომლის წონა ორიდან ათ ტონაზე აღწევდა და რომელსაც **პუკაო** ერქვა (ორი ჩამოშვებული წვერით), რაც ნიშნავდა თმის კულულს. ეს თავსაბური მეგრული **„ყაბალახია"**, რომელიც ჰეიერდალისათვის უცნობი იყო.

„პუკაო" – ყაბალახის მოცულობა იყო ექვსი კუბური მეტრი: კუნძულის მცხოვრები ჰეიერდალს ასე მიმართავს: **მე ლეგენდარული ჰოტუ მატუას მემკვიდრე ვარ და ეს მიწები მუდამ ჩვენს გვარს ეკუთვნოდაო;** მოსაუბრეს შორის იყო სახელად **„ხათა"-ხათა, ხოთო** მეგრული სახელებია.

ადგილობრივი მცხოვრებლები **ხოტუ მატუაზე** ასე მღეროდნენ: **ტე ტერე, ტე ვაკა ტა ხოტუ მატუა. ო, გო-გო! ტერე ტე ვაკა ტა ხოტუ მატუა.**

საინტერესოა ჰეიერდალის შემდეგი ნათქვამი: **„მშენებლობის ტექნიკა რითაც თავი ისახელეს ინკებმა, შეტანილი იქნა აღდგომის კუნძულზე იმ დროს, როცა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ის შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე... პირველ რიგში მე გამაოცა იმან, რომ მიწაში მდებარე საგანი საოცრად მოგვაგონებდა ინკების წინადროინდელი პერიოდის კოლონა-ქანდაკებებს, რომლებიც ანდებში გვხვდება."**

(გაგრძელება იქნება)

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

გივი კარტოზია

(გთავაზობთ წერილს (ნაწყვეტებს) ბატონ არჩილ გოგელიას წიგნიდან "ასეთია სპორტული ცხოვრება")

იგი იყო პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ჩვენი სპორტის ისტორიაში... იგი გახლდათ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის პირველი მფლობელი, პირველი ოლიმპიური ჩემპონი კლასიკური სტილით ჭიდაობაში... იგი გახლდათ ჭეშმარიტად პირველი, ვინც ამაყად ააფრიალა ქართული სპორტის ალამი...

გივი კარტოზია იმ უნიკალურ სპორტსმენთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც მოდიდან არასდროს გამოდიან, რომლებიც საგრძნობლად უსწრებენ დროს და ამიტომ სამაგალითონი არიან მომავალი თაობებისათვის. მისი გვარი მაგნიტივით იზიდავდა მაყურებლებს, რომელთაც გულით ეწადათ ენახათ დაუმარცხებელი მოჭიდავე, ხალიჩაზე სასწაულებს რომ სჩადის.

გივი მართლაც განუმეორებელი მოვლენა იყო. მისი თაობა ომის მკაცრ ქურაში გამოიწრთო. ლეგენდა გივი კარტოზიაზე ალბათ იმ წლებში იღებს სათავეს, როცა თხუთმეტი წლის ბიჭი ომის გზებს დაადგა, რათა მეომარი მამა ენახა. არის ამ ფაქტში მეტად საგულისხმო და ნიშანდობლივი მომენტი; გივი კარტოზია იმთავითვე დამოუკიდებელი ადამიანი იყო, რომელსაც შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება სხვების დაუხმარებლად და, რაც მთავარია, მიზნის მისაღწევად ბოლომდე ებრძოლა.

კარტოზიას თანდაყოლილი სიამაყე განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდებოდა საჭიდაო ხალიჩაზე. იგი ნიადაგ ლეიბის შუაგულში იდგა და რა ძალა იყო ისეთი, მისთვის ფეხი მოეცვლევინებინა. ასეთი ახსოვთ გივი კარტოზია მისი თაობის მაყურებლებს. სიჯიუტე, რომელიც სპორტში კეთილ თვისებადაა მიჩნეული, მას ზოგჯერ შეუძლებელს შეაძლებინებდა. ერთხელ, დიდი შეჯიბრების დროს, მეტოქემ კარტოზია ხიდურზე გადაიყვანა და გივის მეტოქიანად წამოდგომა ერთი იყო. ეს ჭიდაობაში ჩახედულ კაცს შესაძლოა დაუჯერებლადაც მოეჩვენოს. ხიდურზე გადაყვანილი კაცი, რომელსაც მთელი მასით აწვება მოწინააღმდეგე, ჯერ ხალიჩიდან არ წამომდგარა. მაინც რა ძალებს მოუხმო მაშინ კარტოზიამ?

აი, სწორედ აქ იბადება ხოლმე ლეგენდები!

გავიხსენოთ კარსლრუეს მსოფლიო ჩემპიონატი. უიღბლო კენჭისყრამ გივი კარტოზია ზედიზედ ხუთჯერ გამოიყვანა სარბიელზე. ხუთჯერ ერთ დღეს! არც ასეთი რამ ახსოვს ჭიდაობის ისტორიას, მით უმეტეს – უმაღლესი რანგის შეჯიბრებაში. საინტერესოა, როგორ შეძლო გივიმ ხუთჯერ გამოსვლა და ხუთი ერთიმეორეზე ლამაზი გამარჯვების მოპოვება. ეს მის **"საფირმო საიდუმლოდ"** დარჩა. აქედან იღებს სათავეს ერთ-ერთი ლეგენდა გივი კარტოზიაზე.

იგი მხოლოდ გამარჯვების გზებით ვიდოდა, თუ არ ჩავთვლით ორად-ორ მარცხს საერთაშორისო სარბიელზე. 96 საერთაშორისო შეხვედრიდან გივი კარტოზიას 94 მოგებული აქვს. ეს ახლაც განსაცვიფრებელ შედეგად ითვლება. იგი მუდმივად თავის დასანან დამარცხებებზე ლაპარაკობდა, გამარჯვებებზე კი ვერაფერს ათქმევინებდი, თითქოს ეს ყოფილიყო ყველაზე მთავარი მის სპორტულ ბიოგრაფიაში...

აღნაგობით იგი ჰგავდა და არც ჰგავდა გოლიათს, რომლის რკინის მარწუხებს მსოფლიოს ვერც ერთი ფალავანი ვერ გადაურჩა. მასში უმაღლესი სპორტული დიდების ჟამსაც კი ამპარტავნობისა და **"ვარსკვლავომანიის"** ნიშანწყალიც არ ყოფილა. დადიოდა როგორც ჩვეულებრივი ადამიანი და არაფრით გაგრძნობინებდათ, რომ ის იყო ფალავანთა ფალავანი. ერთხელ, თურქეთში გუნდ-გუნდად ასდევნებიან ჭიდაობის მოყვარულნი. ამ დროისათვის იგი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იყო და უცხოეთის სპორტულ პრესას მისი ფოტოსურათები არ სცილდებოდა. ერთი სიტყვით, გივი კარტოზიას სახელი ჭიდაობის სამყაროში ქუხდა, მით უმეტეს თურქეთში, იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდა მისი მუდმივი მეტოქე ათლი. ჰოდა, ადევნებულ ხალხს საკუთარი თვალებისა არა სჯეროდა – ნუთუ ეს არის გურჯი კარტოზიაო. მოკლესახელოიან პერანგში, მაოდა განსაცვიფრებლად, არ მოსჩანდა რკინის კუნთები. ცნობისმოყვარე თურქები მკლავში ჰკიდებდნენ ხელს კარტოზიას, ამოწმებდნენ მის ძალას, მაგრამ გაწბილებულნი იქნევდნენ თავს. ალბათ, მათი განცვიფრება გაორკეცდა, როცა ოცდახუთი ათასი მაყურებლის თვალწინ სტამბულის სტადიონზე გივი კარტოზიამ ბეჭებით ხალიჩას გააკრა თურქების კერპი ათლი.

მაგრამ გივი კარტოზიას აღნაგობა მაცდური იყო. სინამდვილეში ამ დიდ მოჭიდავეს ბუნებამ დაამადლა ფენომენალური ჯანი, თვალშეუვლები სისწრაფე, ღვედისებრი მოქნილობა... ყოველივე ამას ემატებოდა მისი საჭიდაო ინტელექტი და უტეხი ნება. ამათი ერთიანობა იძლეოდა მართლაც განსაცვიფრებელ სპორტსმენ ფენომენს.

ალბათ ამ თვისებით მოხიბლული მაყურებლები ამტკიცებდნენ, რომ გივი კარტოზია მოჭიდავედ დაიბადა და ვარჯიში ისერიგად არ სჭირდებაო. ეს გახლდათ სწორედ ის ლეგენდა, რომელსაც არც გივი ეთანხმებოდა და არც ისინი, ვინც მას კარგად იცნობდა. ტიტანური ვარჯიში რომ არა, იგი ვერ იქნებოდა უებრო მოჭიდავე, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფალავანი. მის აღმზრდელებს დღემდე უყვართ მოწაფეებთან გივი კარტოზიას სამაგალითო შრომისმოყვარეობაზე საუბარი – აი, თურმე ვინ ვარჯიშობდა, ეს კარტოზია იყოო. განსაკუთრებით ბევრს ვარჯიშობდა იგი დიდი შეჯიბრების წინ. ამ დროს გივი კარტოზიასთვის ჭიდაობის გარდა სხვა არაფერი არსებობდა. იგი ცხოვრობდა ჭიდაობით, რომელშიც ეძებდა უფრო მეტს, ვიდრე სპორტული გმირობაა. ჭიდაობა გივისთვის იყო რაინდობის, ვაჟკაცობის, კეთილშობილების თავისებური ინსტიტუტი იგი ყოველდღე აღებდა ამ ინსტიტუტის კარს, რათა შეესისხლხორცებინა ყოველივე საუკეთესო, რაც კი ჭიდაობას მოქმედება.

გივი კარტოზიას ენამზიან კაცს ვერ დაარქმევდი, არ უყვარდა ჭარბსიტყვაობა და გატეხლარჭული, ფერადოვანი საუბარი. მას უნარი ჰქონდა მოკლედ, სხარტად, და რაც მთავარია, ზუსტად გადმოეცა სათქმელი... მისი აზრები უაღრესად ორიგინალური და მისეული იყო. გივი გახლდათ საკუთარი ხელწერის მქონე პიროვნება, რომელიც სხვის გზაზე არასოდეს გაივლიდა, მუდამ თავისას ეძებდა და პოულობდა კიდეც.

გივი კარტოზიამ ორმოცდაათიან წლებში დატოვა საჭიდაო ხალიჩა. მას შემდეგ ჭიდაობაში რამდენიმე თაობა მოვიდა, რომელთაც მისი შერკინებები არ უნახავთ, მაგრამ მოჭიდავეთა შორის გივი კარტოზიას ავტორიტეტი დღემდე შეუვალი და უდავოა. ჰკითხეთ ნებისმიერ ფალავანს, ძველსაც, ახალსაც, ვინ არის მათი აზრით ყველა დროის საუკეთესო ქართველი მოჭიდავე. პასუხი ერთი იქნება – გივი კარტოზია. თავად გივი კარტოზიასათვის რომ გეკითხათ, გეტყოდათ, რომ ლევან თედიაშვილზე დიდი ოსტატი ქართულ ჭიდაობას არ ჰყოლიაო. ალბათ სწორედ ეს გახლდათ მისი პიროვნული თავმდაბლობა, რაც ადამიანისათვის, პირველ ყოვლისა, სპორტსმენისათვის, დაუფასებელი თვისებაა.



იუმორი

* * *

– ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი კბილები?

– მე ბებია კი არა, ექიმი-ნარკოლოგი ვარ.

* * *

პოლიციელს მიჰყავს თახა. შეხვდა ჭიჭიკია.

– სად მიგყავს მაი ძაღლი?

– ეს ძაღლი კი არა, თხაა.

– მე თხას ვეკითხები...

* * *

ორი ზღარბი ხვდება ერთმანეთს, ერთს თათი აქვს დაზიანებული.

– რა მოგივიდა? – ეკითხება მეგობარი.

– ისეთი არაფერი, უბრალოდ, თავის მოფხანა მინდოდა.

* * *

ორი შინაბერა ეზოში ზის და ყურადღებით უყურებს მამალს, რომელიც დედალს მისდევს, მაგრამ ვერ დაუჭერია. უცებ, დედალი ქუჩაში გადახტა, მანქანამ გადაუარა და მოკლა.

– აი, ქალი, მან სექსს სიკვდილი ამჯობინა! – პათოსით წამოიძახა ერთმა შინაბერამ.

* * *

– ო, გრიშა, საყვარელო, რა საოცარი თმები გაქვთ, იშვიათი თმები... მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან იშვიათი თმა გაქვთ, აი, ნახეთ, სულ ორი ცალიღა დაგრჩათ...

მაშ მტყუნის?

ვახტანგ კიკაბიძე: სტურუა არავის გაუგდია

მაშინ, როცა ხელისუფლებამ რობერტ სტურუა სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლა, ვახტანგ კიკაბიძეს ძეგლი დაუდგა – საქართველოს ხელისუფლების ამ ორ პარადოქსულ გადაწყვეტილებას რუსულმა გამოცემამ **„ოგონიოკმა"** სტატია მიუძღვნა.

„ოგონიოკის" კორესპოდენტმა სტურუას გათავისუფლების შესახებ აზრი ვახტანგ კიკაბიძეს სთხოვა და ასეთი პასუხი მიიღო:

„ის არავის გაუგდია, მას დარჩენა სთხოვეს და დიდი ჰონორარებიც შესთავაზეს, იმიტომ რომ გენიალური რეჟისორია. მაშინვე გავიფიქრე, ალბათ, რუსეთში უნდა წასვლამეთქი", – ასე აფასებს კიკაბიძე სტურუას თეატრიდან წასვლას და იქვე დასძენს, რომ გარდაქმნები ძალიან ბევრი ადამიანის განაწყენებას იწვევს.

„ერთ დღესაც საქართველოდან გაქრა „ბაი". გათავისუფლებულ ხალხს ზოგს დაუნიშნეს პენსია, ზოგს არ ეკუთვნოდა... ღიპიან თანამშრომლებს ის საკვები მოაკლდათ, რასაც გზებზე შოულობდნენ. ახლა კი პოლიციაში ლამაზად ჩაცმული ახალგაზრდა ხალხი გამოჩნდა. ჩვენთან ლოცულობენ პოლიციაზე. ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება და ჩვენი საკუთარი წყენა სიტუაციას არ უნდა დავაბრალოთ", – განუცხადა კიკაბიძემ ჟურნალ **„ოგონიოკს"**.

თემურ ქეცბაიამ ბაზაზე გოგიტა გოგუას სურათები ჩამოახსნევინა

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გოგიტა გოგუას მარტის შემდეგ აღარ იწვევენ. მიზეზი დღემდე ყველასთვის უცნობია, თუმცა კულუარებში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ფეხბურთელმა მწვრთნელის მითითება არ შეასრულა, რასაც ორმხრივი სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა. 29 მარტს, ისრაელთან ევროშესარჩევი მატჩის წინ, შეკრებიდან გოგუა დაითხოვეს.

მოგვიანებით ქეცბაიამ განაცხადა, რომ ამ საკითხზე საუბარი არ სურდა და საჭიროდ ჩათვალა, გოგუა გაეშვა. არადა, საქართველოს ნაკრები გოგუასნაირი ფეხბურთელებით განებივრებული რომ არ არის, ცხადზე ცხადია (ქართველი ნიუნი-ნოვგოროდის **„ვოლგაში"** ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია და მისი სატრანსფერო ფასი 2 მილიონია).

როგორც საქინფორმის კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, ეროვნული ნაკრების თავკაცმა, რომელმაც ევროპის 2012 წლის შესარჩევ ციკლში აღებული 10 ქულა უნამუსოდ **„წარმატებულად"** ჩათვალა, ნაკრების ბაზაზე – **„ბაზაზე"** გოგიტა გოგუას ყველა ფოტო ჩამოახსნევინა. პირადი კონფლიქტის საფუძველზე ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებისთვის ბევრი უშრომია, ხელის მოსმით მოიშორა. მიზეზებზე გოგუასთვის არაფერი უკითხავთ, ქეცბაია კი, როგორც ყოველთვის, მართალია.

რაც შეეხება ფეხბურთელს, იგი ნაკრებს, სულ მცირე, 4 წლით ჩამოშორდება, სანამ ქეცბაიას კონტრაქტი არ ამოწურება.

საქინფორმი

სტურუა მოსკოვში ქართველ მსახიობებს წაიყვანს

რობერტ სტურუა მოსკოვში თეატრ **„ეტ სეტერაში"** ქართულ სპექტაკლებს დადგამს. როგორც სტურუამ რუსულ გამოცემა **„ვზგლიადს"** განუცხადა, ახალ სამუშაო ადგილას მას მცირე სცენაზე ქართული სპექტაკლების განხორციელების უფლება მისცეს. თეატრის ხელმძღვანელობა სტურუას თბილისელი მსახიობების მიწვევის ნებასაც რთავს.

სტურუას განცხადებით, ის რუსთაველის თეატრს აღარასოდეს დაუბრუნდება, თუმცა თბილისის სხვა თეატრებში სპექტაკლების დადგმას არ გამორიცხავს. **„ძალიან შეურაცხყოფილი ვარ", – განუცხადა სტურუამ „ვზგლიადს".**

სტურუა, რომელიც მილიარდელი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას მხარს უჭერს, თავად არცერთ პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებას არ გეგმავს.

შეგახსენებთ, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან **"ქსენოფობიური განცხადებების"** გამო გაათავისუფლეს, იგი მოსკოვში თეატრ **„ეტ სეტერაში"** მუშაობას ერთი თვის წინ შეუდგა. მართალია, საქართველოს პროსომხურმა ხელისუფლებამ რობერტ სტურუა ჩვეული თავხედობითა და სრული მორალური ეროზიის გამოისობით გააძევა ჯერ თეატრიდან, შემდეგ კი – საქართველოდანაც, მაგრამ ფაქტია, რომ სტურუას მიერ სააკაშვილის მისამართით ნათქვამმა ერთმა, თითქოსდა სრულიად უწყინარმა ფრაზამ **"სომეხია და, რა ვქნათ?"** ღრმა ძილისაგან გამოაფხიზლა მთელი ქართველი ერი და სერიოზულად შეურყია საფუძველი ხელისუფლებაში **"სამუდამოდ"** მოსულ ნაციონალებს და მათ ნეტარდიმილიან ბელადს.

რობერტ სტურუა სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, მან უკვე დაამტკიცა, რომ საქართველოს დიდი გულშემატკივარია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით სააკაშვილსა და მის დანაშაულებრივ გარემოცვაზე. ჯერჯერობით სომხები ერეკებიან საქართველოდან ქართველებს, მაგრამ, იმედია, ქართველი ერი საბოლოოდ განთავისუფლდება სააკაშვილისა და **"ნაციონალების"** დიქტატისაგან და მოძალადეებს ისე გაუხდის საქმეს, რომ მათ არამც თუ საქართველოში, არამედ სომხეთშიც არ დაედგომებოდეთ!

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge